პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან
ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34,
ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

ოთხშაბათი, 26 იანვარი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 19 (1774)

დღიური

— სამხრეთ-სლავიაში არჩევნებთან დაკავშირებით გამეფებულია საშინელი ტერორი.
— იტალიის შრომის რეფორმისტულმა ფედერაციამ თავი დაშლილად გამოაცხადა.
— ალბანეთში ამბოხების მეთაურებს საჯაროთ სჯიან სიკვდილით.
— საფრანგეთის პოლიციამ გადაასახლა იტალიელი ჟურნალისტი კანოვა.
— შესდგა ლატვიელ ნაციონალისტების ყრილობა.
— ხანკოუში დაარსდა კანტონის მთავრობის ბანკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათს, იანვრის 26, საღამოს 6 საათზე, შესდგება
საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა სავალდებულოა.
ცაკის მდივანი—ს. თოდრია.

იანვრის 27 საღამოს 6 საათზე შინსახკომის კაბინეტში მოწვეულია
სრულიად საქართველოს
ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა
აღნიშნული კომისიის ქვემოდ ჩამოთვლილი წევრების დასწრება სავალდებულოა:

1) მათიკაშვილი შ., 2) მაშკევიჩი, 3) ჯაფარიძე ვ., 4) ფანცხავა, 5) ლოლობერიძე ლ., 6) სვანიძე, 7) რატნეკი, 8) ალიაშვილი. 9) გობეჩია, 10) სტეფანოვი, 11) ჯაფარიძე ალექსანდრე, 12) ლომაშვილი ზ., 13) უსოვი, 14) კოჩლავაშვილი, 15) ბარბაქაძე, 16) ახითიანი ნინა და 17) ასლანიშვილი ანასტასია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ს. თოდრია.
მდივანი ი. ჯავახია

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 8—81

მნიშვნელოვანი დადგენილება

გლეხობის კულტურულ - სამეურნეო მოთხოვნილებები სულ უფრო და უფრო იზრდება. სკოლების, საავადმყოფოების თუ კლუბების აშენება, გზების გაყვანა და ხიდების აგება, აბანოების მოწყობა, სასმელ წყალის გამოყვანა და მრავალი სხვა,—აქ საითკენაა მიმართული როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე მოწინავე ელემენტების საქმიანობა. ყველა ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ჯერ-ჯერობით არ არის საკმარისი თემის ბიუჯეტით გათვალისწინებული საშუალებები. კიდევ დიდი დრო გაივლის, სანამ სახელმწიფოს და ადგილობრივი ბიუჯეტი იმდენად მოღონიერდება, რომ ის სავსებით გასწვდეს მოსახლეობის ადგილობრივ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს.

აქედან ბუნებრივად წარმოიშვა თვითდაბეგვრის გზით დამატებითი საშუალებათა გაღების მოთხოვნილება და აუცილებლობა, რომ სოფელმა რაც შეიძლება უფრო სრულად და დროულად გადაჭრას მშენებლობის ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხები. რა თქმა უნდა, მოსახლეობას უნდა ჰქონდეს თვითდაბეგვრის უფლება, უფლება თავისი გადაწყვეტილებით გაიღოს საკუთარი ფული ან გასწიოს პირადი შრომა ადგილობრივ საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის. ეს უფლება მას უდავოდ აქვს და, სხვათა შორის, ესეც მისი თვითმოქმედების გაშლის, თაოსნობის და აქტივობის განვითარების ერთ-ერთი პირობაა.

თვითდაბეგვრას სოფლად ჰქონდა და ეხლაც აქვს ადგილი. ამ გზით შეგროვილი საშუალებებით არა ერთი და ორი სასარგებლო საქმე გაკეთებულა. ერთ დროს თვითდაბეგვრის პრაქტიკაში საგრძნობი გადაჭარბების მოწმენიც კი ვიყავით. ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრა ალაგ-ალაგ ფაქტიურად აქციეს იძულებითი ხასიათის და არა იშვიათად საგრძნობი რაოდენობის გადასახადად, რომელსაც ძალიან ხშირად მიმართავდენ ფართე აღმშენებლობის სურვილით გატაცებული ადგილობრივი მუშაკები. ამან სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში. უმაღლესმა ხელისუფლებამ ამ მოვლენის წინააღმდეგ გადაჭრილი ზომები მიიღო, და ამ დარგში არსებული მრავალი ნაკლულევანება, უკანონობა და შეცდომა აღმოფხვრილ იქნა.

მაგრამ მაინც დღემდე არ იყო ეს საკითხი სათანადოთ, ადგილობრივ პირობებთან სრული შეფარდებით გადაჭრილი. ადგილობრივ ხომ კვლავ არა მცირე გაუგებრობათ ჰქონდა ადგილი თვითდაბეგვრის გარშემო. თვითდაბეგვრის საქმეში საჭირო წესრიგის და გარკვეულობის შესატანად, ამ მხრივ მტკიცე ნორმების შემოსაღებად ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ ამა წლის 12 იანვრის თარიღით გამოსცა დადგენილება, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ერთის მხრივ სოფლის სამეურნეო-კულტურულ აღორძინებისათვის, მეორე მხრივ — რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებისათვის.

ამ დადგენილების თანახმად, თვითდაბეგვრის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს მოქალაქეთა საერთო კრებას, რომელსაც იწვევს თემის საბჭო, ან სათემო აღმასრულებელი კომიტეტი თავისი ინიციატივით, ან მოქალაქეთა განცხადებით. საერთო კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ მას დაესწრება საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა არა ნაკლებ ორი მესამედისა. კრებას დადგენილება გამოაქვს დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით და ეს დადგენილება სავალდებულოა სათანადო ტერიტორიულ თუ ადმინისტრატიულ ერთეულის ყველა მოქალაქისათვის. უკანასკნელ მომენტს, ე. ი. დადგენილების სავალდებულო ხასიათს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სოფლად ყოველთვის გამოიძებნება ცალკე პირები, ან მოქალაქეთა მცირე ჯგუფი, რომელნიც ნებაყოფლობით არ მოისურვებენ მოსახლეობის უმრავლესობის დადგენილებისათვის დამორჩილებას, თუ ის სავალდებულო არ იქნა მათთვის. ეს ან იმიტომ, რომ მათ არაფრად ეჭაშნიკებათ ჩვენს პირობებში აღმშენებლობის წარმატება, რაც თვითდაბეგვრას მოჰყვება, ან იმიტომ, რომ თვითდაბეგვრა მოითხოვს მათგან ერთგვარ წვლილის გაღებას ფულით თუ ნატურით. ამავე დროს კი ასეთი ელემენტები, ცხადია, შემდეგ „მოუჯდებიან მზა სუფრას“, ე. ი. სხვებზე ნაკლებ არ ისარგებლებენ თვითდაბეგვრის ნაყოფით, გზა და ხიდი იქნება ეს, სკოლა და წყალსადენი, თუ სხვა რამე. ამიტომ უდავოა, რომ უმრავლესობის ნებისყოფას უნდა დაუქვემდებაროთ უმნიშვნელო უმცირესობა.

არა ნაკლებ საყურადღებოა მთავრობის დადგენილების ის ადგილი, რომელიც განსაზღვრავს თემის საბჭოს და თემაღმასკომის, აგრეთვე სამაზრო აღმასკომის როლს თვითდაბეგვრის საქმეში. ცხადია, რომ სოფლის მოსახლეობის თვითმოქმედება საბჭოთა კალაპოტში უნდა გაიშალოს, საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით უნდა წარიმართოს. თვითდაბეგვრაც არ შეიძლება გამონაკლისს შეადგენდეს. მოქალაქეთა საერთო კრება იწვევა, როგორც ვსთქვით, თემსაბჭოს ან თემაღმასკომის ინიციატივით, თვითდაბეგვრის ცხოვრებაში გასატარებლად. კრების მიერ არჩეულ კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ადგილობრივ სათემო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელიც თავმჯდომარეობს ამ კომისიას. კომისიის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და შეკრებილ საშუალებათა მიზანშეწონილ გამოყენებაზე მეთვალყურეობა ეკისრება სათემო აღმასკომს, საერთო კრების დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ თემაღმასკომის მიერ წარედგინება დასამტკიცებლად სამაზრო აღმასკომს და სისრულეში იქნება მოყვანილი მხოლოდ მისი დამტკიცების შემდეგ. ყველაფერი ეს უზრუნველყოფს საბჭოთა სათანადო ორგანოების ხელმძღვანელ როლს და კონტროლს თვითდაბეგვრის საქმეში და გარანტიას წარმოადგენს, რომ ამ მხრივ რამე უსამართლობა, უკანონობა და მიზანშეუწონელი ნაბიჯი არ იქნება გადადგმული.

რას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ თვითდაბეგვრის საკითხში რაიმე გადახრას არ ექნეს ადგილი? სოფელს, ცხადია, მრავალი სხვადასხვა საჭიროება აქვს, რომელთა დაკმაყოფილება ერთბაშად არ შეიძლება. საჭიროა წინასწარ გათვალისწინებულ იქნეს, თუ პირველ რიგში რის გაკეთებაა ყველაზე უფრო აუცილებელი და ამისათვის უნდა იქნას გაწეული კამპანია თვითდაბეგვრის მოსახდენად. კონკრეტული საზოგადოებრივი საჭიროების დასახელება და მის დასაკმაყოფილებლად აუცილებელ საშუალებათა რაოდენობის განსაზღვრა, რის შეგროვება განზრახულია თვითდაბეგვრის გზით,—ეს პირობა უნდა იქნეს პირველ ყოვლისა დაცული. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას, რომ სპეციალური დანიშნულებისათვის შეგროვილი თანხა უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ ამ დანიშნულებას. გარდა ამისა თვითდაბეგვრა უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ კულტურულ და სამეურნეო საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და არა ადმინისტრატიულ ხარჯების გასასტუმრებლად.

უაღრესი მნიშვნელობა აქვს თვითდაბეგვრის განაწილებას ცალკე მოქალაქეთა შორის. ეს შეიძლება მოახდინოს ან თვით საერთო კრებამ ან მის მიერ არჩეულმა კომისიამ. საჭიროა აქ კლასობრივი პრინციპის მტკიცედ დაცვა და თვითდაბეგვრის გატარება თვითეულ გლეხის სამეურნეო შეძლებლობის სწორი ანგარიშის ნიადაგზე. უეჭველია, რომ ამ მხრივ შეცდომებს ჰქონდა ადგილი. აქა-იქ შეუძლო, ღატაკი გლეხობაც იბეგრებოდა ღონიერ და კულაკურ ელემენტებთან თანაბრად. უღარიბესი გლეხობა, ცხადია, უნდა განთავისუფლდეს დაბეგვრიდან და საერთოდ თვითეული მეურნეობა უნდა დაიბეგროს მის შემოსავლიანობის კვალობაზე.

კლასობრივი პრინციპის დაცვა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობას გაუწევენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები საერთო კრებას, თუ როგორი იქნება თვითდაბეგვრის კომისიის შემადგენლობა, მოვახერხებთ თუ არა ჩვენ აქაც ღარიბ-საშუალო გლეხობის გაერთიანებას და კულაკების გარიყვას, კულაკების, რომელნიც ან თვითონ, ან თავისი „ძმა-ბიჭების“ საშუალებით შეეცდებიან თვითდაბეგვრიდან თავის დაძვრენას, თვითდაბეგვრის ნიადაგზე გლეხობის უკმაყოფილების გამოწვევას ხელისუფლების მიმართ, თვითდაბეგვრის სიმძიმის ნაკლებათ შეძლებულ ფენებზე გადატანას და სხ. ამიტომ თვითდაბეგვრის საქმეშიც პარტორგანიზაციებმა საჭიროების მიხედვით ჯეროვანი ხელმძღვანელობა უნდა გასწიონ სოფლად და სათანადო სააგიტაციო-საორგანიზაციო მუშაობა უნდა ჩაატარონ.

მთავრობის აღნიშნული დადგენილება ამ დარგში მუშაობისათვის ქმნის საერთო ხელსაყრელ ნიადაგს. ამასთან, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს დავალებული აქვთ გამოსცენ დაწვრილებითი ინსტრუქცია მის გასატარებლად ცხოვრებაში. საჭიროა ამომწურავი ინსტრუქციის მოკლე ხანაში გამოქვეყნება, რაც უფრო გაადვილებს თვითდაბეგვრის საკითხის მოგვარებას ადგილებზე.

დამოკიდებულება ინტელიგენციასთან

საქართველოს კომპარტიის თბილისის მეშვიდე პარტკონფერენცია შემდეგს ამბობს თავის დადგენილებაში ინტელიგენციასთან დამოკიდებულების შესახებ: „განგრძობილ იქნას ბრძოლა ინტელიგენციის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც გარკვევით მტრულად ეპყრობა საბჭოთა ხელისუფლებას, აღზრდილ იქნას საბჭოთა ნიადაგზე ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ რაღაცას მოლოდინში იმყოფება, ყოველი საშუალებით შეეწყოს ხელი და წაქეზებულ იქნას ინტელიგენციის იმ ძირითადი ნაწილის საქმიანობა, რომელიც ჩვენთან მუშაობს და აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენს აღმშენებლობაში. ამავე დროს აუცილებლად სერიოზულად უნდა შეუდგეთ ახალი მუშური ინტელიგენციის კადრების შექმნას“.

ამნაირად ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხი ჩვენ შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილათ: ერთია არსებულ ინტელიგენტურ ძალების საბჭოთა ხელისუფლებასთან შემდეგი დაახლოვება და მისი სოციალისტურ აღმშენებლობაში მასიურად ჩაბმა, მეორეა—ახალ ინტელიგენტური კადრების მომზადება, მუშური ინტელიგენციის აღზრდა-განვითარება.

საკითხი ინტელიგენციის შესახებ თავისთავად რთული და მტკივნეულია. ეს სირთულე აიხსნება იმ თავისებურობით, რომელიც ახასიათებს ინტელიგენციას, როგორც განსაკუთრებულ სოციალურ კატეგორიას. ინტელიგენცია პირველყოვლისა არ წარმოადგენს ერთფეროვან მასას. ის როგორც მატერიალური პირობებით, ისე თავის გონებრივი განვითარებით და პროფესიულ დაჯგუფებით უაღრესად მრავალფეროვანია. აქედან გამომდინარეობს სხვათა შორის ის სხვადასხვა სულიერი განწყობილება, რომელსაც ადგილი აქვს ინტელიგენციის სხვადასხვა ფენებში და რომელზედაც მიგვითითებს თბილისის მეშვიდე პარტკონფერენცია.

საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი თავიდანვე ნათელი იყო. ამ დამოკიდებულობის დედა-აზრი შეიძლება მოკლეთ ასე გამოვთქვათ: „იმუშავე კეთილსინდისიერათ მშრომელი მოსახლეობის საკეთილდღეოთ, ხელს ნუ შეუშლი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება-გამაგრებას“. ასეთია მოთხოვნილებათა ის მინიმუმი, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელია ინტელიგენციის ნორმალური თანამშრომლობა ხელისუფლებასთან. ამაზე მეტს მუშებისა და გლეხების სახელმწიფო არ მოითხოვს ძველ ინტელიგენციისაგან.

ამავე დროს ხელისუფლება არავითარ ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ შეუქმნას ინტელიგენციას მუშაობის რაც შეიძლება უკეთესი პირობები. ბურჟუაზიულ მეცენატობის და ქველმოქმედების ნაცვლად საბჭოთა ხელისუფლებამ კულტურის განვითარების საქმე მტკიცე ორგანიზაციულ საფუძველზე დააყენა და ის სოციალისტურ აღმშენებლობის ორგანიულ ნაწილად გადააქცია. საბჭოთა ხელისუფლებამ იცის რა ფასი აქვს ამ საქმეში ინტელიგენციას. ინტელიგენციის ამგვარ დაფასების მაგალითების ჩამოთვლა ჩვენ შორს წაგვიყვანდა.

მაგრამ ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლებამ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაც იცის. ის არ დაუშვებს, რომ ინტელიგენციამ თავისი ცოდნა და მომზადება რევოლიუციის წინააღმდეგ გამოიყენოს. ჩვენდა სამწუხაროდ ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წელში ჩვენ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, როცა ინტელიგენციის ერთი ნაწილი კიდევ არ განთავისუფლებულა კონტრ-რევოლიუციონურ იდეოლოგიისაგან და მტრულ განწყობილებას იჩენს საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ცხადია ასეთ ელემენტებს ვერ მივსცემთ უფლებას პრეტენზია განაცხადონ იმ კეთილმეგობრულ დამოკიდებულებაზე, რომლითაც ხელისუფლება ეპყრობა საბჭოთა აღმშენებლობის სასარგებლოდ სინიდისიერათ მომუშავე დანარჩენ ინტელიგენტებს. ამ ელემენტების საპასუხოდ თბილისის პარტკონფერენციამ გამოიტანა დადგენილება. ეს დადგენილება გვავალებს: „გავაგრძელოთ ბრძოლა ინტელიგენციის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც გარკვეულად მტრულად ეპყრობა საბჭოთა ხელისუფლებას“.

არის ამავე დროს ინტელიგენციის მეორე ჯგუფიც. ესაა პოლიტიკურად თვითგაურკვეველი, მოქანავე ელემენტები, რომელთაც ჯერ თითქოს საბოლოო არჩევანი არ მოუხდენიათ, რომელნიც კიდევ „შავი ზღვის“ სუნით სულდგმულობენ. ინტელიგენციის ამ ნაწილში უნდა გაძლიერებულ იქნას საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობა. ამ მხრივ ჩვენს კულტურულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს დიდი სამუშაო უძევთ წინ. აღსანიშნავია, რომ როგორც ინტელიგენციის პირველი ჯგუფი, ისე ნაწილობრივ ეს უკანასკნელიც დიდი უმრავლესობით არატექნიკურ ინტელიგენციას წარმოადგენს. ესაა უმთავრესად ის ხალხი, რომელიც საბჭოთა აღმშენებლობაში უშუალო პრაქტიკულ მუშაობას არ ეწევა. უსაქმურობა უმთავრესად ყოველგვარ უკმაყოფილების მიზეზია. ამიტომ საჭიროა ინტელიგენციის ასეთი წარმომადგენლების ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში აქტიურად ჩაბმა, მათი საბჭოთა საზოგადოებრივობის სკოლაში გამოხალხვა. აქ ჩვენს სახელმწიფო, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების უნარზე და მონდომებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

ჩვენ გვყავს აგრეთვე ინტელიგენციის მესამე ჯგუფი. ესაა ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც გარკვევით სდგას საბჭოთა პლატფორმაზე, რომელსაც თავისი ბედ-იღბალი სინიდისის და არა შიშის ქვეშ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ბედთან დაუკავშირებია. ინტელიგენციის ასეთ ჯგუფებს ჩვენ ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ მიმართულ მათ მუშაობაში. საბჭოთა ამ ინტელიგენტებს უნდა შეუქმნათ წამახალისებელი პირობები. მათი საშუალებით ჩვენ უნდა ვეცადოთ ინტელიგენციის დანარჩენ ჯგუფებთან კავშირის გაბმას.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ინტელიგენციის შორის მუშაობის საკითხი. ამასთან ერთად, როგორც ეს ნათქვამია თბილისის პარტკონფერენციის დადგენილებაში, უნდა ვიზრუნოთ ახალი, მუშურ-გლეხურ ფენებიდან გამოსულ ინტელიგენციის შექმნაზე. ეს არც ისე ადვილი და სწრაფად დასაძლევი ამოცანაა. გარდა უკვე აღნიშნულ პოლიტიკურ მოსაზრებებისა, ახალი ინტელიგენციის შექმნის საჭიროება გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ეკონომიურ პირობებითაც. ჩვენ ღარიბი ვართ კვალიფიციურ მუშა-ხელით საზოგადოთ და ძირითად კვალიფიციურ ინტელიგენციით. ცრუსპეცობა, რომელიც ჩვენი ინტელიგენციის ერთ მტკივნეულ მხარეს წარმოადგენს, ამ სიღარიბის შედეგია.

ამიტომ მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მიმართულ იქნას იქითკენ, რომ მტკიცე საფუძველი ჩაუყაროთ ახალ მუშურ-გლეხურ ინტელიგენციის კადრების შექმნას. საბჭოთა სწავლა-განათლების ორგანოებმა ეს საკითხი თავიანთი მზრუნველობის განსაკუთრებულ საგნად უნდა გაიხადონ. პარტია აქეთკენ მოუწოდებს მათ.

ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხი განსაკუთრებით ჩვენს პირობებში, სადაც ინტელიგენცია მნიშვნელოვან რაოდენობას წარმოადგენს, არის დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხი. საბჭოთა საქართველოს კულტურული და სამეურნეო წინსვლა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად კარგად შევასრულებთ ჩვენ პარტიის დავალებას ახალი ინტელიგენტურ ძალების მომზადების შესახებ და რამდენად სისწორით შევსძლებთ ძველი ინტელიგენციის კონტიგენტის ახალ საზოგადოების აღმშენებლობაში გამოყენებას.

მ. ლ—ძე.

ვარშავა-კოვნო-ვოლმარი

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა სავსებით სწორად შეაფასა ლიტვაში მომხდარი გადატრიალება, როგორც ფაშისტური საფრთხის გაძლიერება საერთაშორისო მასშტაბით, როგორც ფაშისტურ ძალების მობილიზაციის სტიმული, როგორც სიგნალი ახალ ფაშისტურ გამოსვლებისათვის. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ამასთანავე სავსებით სწორად და გარკვევით განსაზღვრა თავაშვებულ ფაშიზმის მოქმედების უშუალო ასპარეზი. რამდენად უფრო სწრაფად იზრდებიან საბჭოთა რესპუბლიკები, რამდენად უფრო ენერგიულად ვითარდება საბჭოთა კავშირში შეუჩერებელი სოციალისტური მუშაობა, რამდენად უფრო მტკიცდება საბჭ. ხელისუფლება და მისი საერთაშორისო პოზიციები, იმდენად საერთაშორისო ბურჟუაზია მოწადინებულია გამიჯნოს ევროპის „ცივილიზაცია“ საბჭოთა კავშირისაგან შეიარაღებულ ფაშისტურ ბარიერის შექმნით. დააყენონ პროლეტარული დიქტატურა პირის-პირ მის დაუძინებელ და მოსისხლე მტერთან—ფაშისტური რეაქციის დიქტატურასთან და შექმნან საბჭოთა კავშირისათვის მუდმივი საფრთხის და ავანტიურების ატმოსფერა გარედან—ასეთია თანამედროვე ევროპის პოლიტიკის რეაქციონურ მესვეურთა სავსებით შეგნებული განზრახვა.

ისწრაფვიან გარს შემოგვარტყან მტრული ფაშისტური რკალი. მაისის გადატრიალებამ ვარშავაში მოგვცა თეთრების—პილსუდსკის დამქაშების ფაშისტური პოლონეთი. ვარშავიდან მიღებული ბრძანების თანახმად ლონდონის კაბინეტის ხელქვეითმა პოლონეთ - ლიტვის თეთრ - ემიგრანტულმა „ვაენშჩინამ“ უკუ აგდო პარლამენტი, დემოკრატია და კონსტიტუცია ლიტვაში. ლიტვაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნავდით ფაშისტური საფრთხის გაძლიერებას ლატვიაში, რამაც ბუნებრივად თავი იჩინა. ცხოვრებამაც ბევრი არ დააყოვნა. უკანასკნელი ამბები ლატვიის ქალაქ ვოლმარში—პირველი ფაშისტების გამოსვლა ლატვიაში—საუკეთესოდ მოწმობს, რომ სავსებით სწორი იყო კომუნისტური ინტერნაციონალის გაფრთხილება.

ვოლმარის ეპოპეის გმირი აღმოჩნდა ლეიტენანტი ოლინი, რომლის შესახებაც ვიცით მხოლოდ ის, რომ ის წინად მეფის არმიაში იყო პრაპორშჩიკად და აგრეთვე იყო კოლჩაკის ოფიცრად. ის უბადრუკი პიგმეი, მაგრამ სავსებით შესაფერი პიროვნება იმისათვის, რომ შექმნას ლატვიის ისტორია, დაეწაფოს მუშების სისხლს და იყოს რიგის კავენიაკობის კანდიდატი.

პირველი ფაშისტური გამოსვლა დამარცხდა, ლეიტენანტ ოლინის 18 ბრიუმერი აღმოჩნდა ვოდევილი, რომელმაც ვერ მოასწრო სისხლისმღვრელ დრამათ გადაქცევა, რაც შეგნებულად მიზნათ ჰქონდა დასახული ამ ფაშისტურ არამზადას. (1-ლ აქტს, რომელიც ვოლმარის რამდენიმე დაწესებულების ხელთ ჩაგდებაში გამოიხატა, ტყუილად კი არ წარმოადგენდა იმათი სიების მოთხოვნა. ვისაც ეჭვით ბრალს სდებდენ ბოლშევიზმში).

მიუტევებელი სისულელე და დანაშაული იქნებოდა ვოლმარის ამბების მნიშვნელობის ოდნავ შემცირება. ლატვიის რეაქციონური პრესა, რომელსაც აშკარად სურს კვალის დაფარვა, ყოველივე ამბებს ხსნის უბრალოდ— როგორც ვიგინდარა ლოთი ოფიცრის გამოსვლას. უგუნურებისა და ლატვიელ მეშჩანებისათვის მოიგონეს თვით ზღაპარიც კომუნისტურ პროვოკაციის შესახებ (აქ სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ დროს მენშევიკურმა მატყუარებმა „ფორვერტს“-იდან და „სოციალისტიჩ. ვესტნიკ“-იდან ყოველგვარ ზომიერებას გადააჭარბეს; „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ის უკანასკნელ ნომერში მენშევიკურმა იუდამ აბრამოვიჩმა დასწერა ვრცელი წერილი, სადაც ამბობს, რომ კოვნოს გადატრიალების პირდაპირი ორგანიზატორი, თურმე, სხვა არავინ არის, გარდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტბიუროსი).

ფაშისტური შეთქმულება ლატვიაში ჯერ-ჯერობით გადადებულია. ვოლმარელ მეტიჩარა ოლინის ამბოხება,—ეს მხოლოდ ნიადაგის წინასწარ გასინჯვაა. პირველ გამოსვლას აუცილებლად მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები, თუ ფაშიზმის წინააღმდეგ არ იქნა მიღებული ძირითადი, გადამჭრელი, ნამდვილი ზომები. ამას წინად შედგენილ ლატვიის მთავრობის სოციალ-დემოკრატი მინისტრები ტყუილად იღებენ ფაშიზმის დამმარცხებელთა ამაყ პოზას. ცელენსი—სოციალ-დემოკრატი, გარეშე საქმეთა მინისტრი, დიდი რიხით იწმუნება, რომ ფაშისტებს ხელები მოკლე აქვთ, რომ ფაშისტებს სასტიკი წინააღმდეგობა გაეწევათო. ნამდვილად კი ლატვიელი სოციალ-დემოკრატები მხოლოდ ლაყბობენ წინააღმდეგობის გაწევაზე და არავითარ სამზადისს არ ეწევიან ამისათვის. ცელენსებს მხოლოდ ენა აქვთ გრძელი და არა ხელები. ლატვიელ სოციალ-დემოკრატების სიტყვა და საქმე ერთობ დაშორებულია ერთმანეთს. ნამდვილი წინააღმდეგობის გაწევა ფაშიზმისათვის ლატვიაში ნიშნავს ფაშისტურ ბანდების, ფაშისტურ კავშირების, ლიგების და სხვა იმ ორგანიზაციების განიარაღებას, რომელნიც ლატვიაში ძალიან ძლიერი და მრავალრიცხოვანი არიან. ნამდვილი წინააღმდეგობის გაწევა ფაშისტური რეაქციის საფრთხისათვის ნიშნავს მუშების შეიარაღებას, ერთიან პროლეტარული ფრონტის შექმნას ფაშიზმის წინააღმდეგ.

ნამდვილად კი ლატვიელი სოციალ-დემოკრატები თითსაც არ ანძრევენ იმისათვის, რომ განაიარაღონ ფაშისტები და შეაიარაღონ მუშები. პირიქით, ლატვიელი სოციალ-დემოკრატები იმაზე ზრუნავდენ, რომ ბრძოლა ეწარმოებიათ „კომუნისტური საფრთხის“ წინააღმდეგ (სწორედ ისე, როგორც ლიტვაში), მასიურად ჩხრეკდენ იმათ, ვისაც ბოლშევიზმის მომხრეობას შეამჩნევდენ, შლიდენ მუშათა სპორტიულ ორგანიზაციებს და აპატიმრებდენ რევოლიუციონურად განწყობილ პროფმუშაკებს. ლატვიელი სოციალ-დემოკრატები მახვილს მიმართავდენ არა ფაშიზმის, არამედ კომპარტიის წინააღმდეგ. ხოლო ეს ხაზი კი არის გამცემლობის ხაზი, ხაზი, რომელიც ობიექტიურად მხოლოდ ფაშისტურ რეაქციას ემსახურება.

ფაშისტური საფრთხე იზრდება. ის იზრდება ლატვიაშიაც და სხვა ქვეყნებშიაც. ვოლმარი არის არა ფაშიზმის შესუსტების ნიშანი, არამედ მისი გაძლიერების ნიშანი, ნიშანი იმისი, რომ ფაშიზმი ვრცელდება და სულ უფრო და უფრო თავხედდება. ვოლმარი ახალი, დიდი და უფრო დარაზმული ფაშისტური გამოსვლის წინამორბედია. ვოლმარი ერთხელ კიდევ ეუბნება ყველა ქვეყნის პროლეტარებს, რომ ბრძოლა ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ ეხლა გაათკეცებული უნდა იქნეს.

სანამ არ მოხდება ლატვიელ ფაშისტების განიარაღება და მუშების შეიარაღება, ლაპარაკიც ზედმეტია ფაშისტური საფრთხის დაძლევაზე ლატვიაში. ოლინის სამხედრო-საველე სასამართლოსათვის გადაცემით დაკმაყოფილება და ფაშისტების ხელში იარაღის დატოვება ლატვიელ მუშების ღალატს ნიშნავს.

სანამ ერთხელ და სამუდამოდ არ იქნება დაწყვეტილი ყველა ის ფარული და აშკარა ძაფები, რომელნიც ლატვიელ ფაშისტებს აკავშირებენ სხვა ქვეყნების ფაშისტურ მთავრობებთან, ფაშისტური გადატრიალების საფრთხე არ შემცირდება.

სანამ არ შეიქმნება ლატვიის მშრომელთა მასების ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტი, სანამ გრძელდება რეპრესიების პოლიტიკა მემარცხენეების წინააღმდეგ, ლატვიის ფაშიზმის განმტკიცება არ შენელდება.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები და საერთაშორისო პროლეტარიატი ფხიზლად თვალყურს ადევნებენ ლატვიელ ფაშისტების—დიდ და პატარა ოლინების ყველა ფანდებს. მათ კარგად ესმით, თუ რა საფრთხეს წარმოადგენენ საბჭოთა კავშირისათვის ზევიდან მოწყობილი ფაშისტური შეთქმულებები და ფაშისტური მთავრობები. რამდენად უფრო მჭიდროდ გარს ერტყმიან საბჭოთა მიწა-წყალის დასავლეთის საზღვარს ინგლისის იმპერიალიზმის ფაშისტური ვასალები, რამდენად უფრო ახლოს მოძრეება ჩვენს საზღვრებთან ფაშისტური ქვეწარმავალი, მით უფრო ფხიზლად იქნებიან მუშები და გლეხები. ჩვენი ლოზუნგია—ვიყოთ სადარაჯოზე!

მოსკოვი. 25 იანვარი.

კანტონის მთავრობის დეკლარაცია ნაციონალური მოძრაობის ამოცანების შესახებ

მილიტარისტები აპირებენ ჩან-ძოლინის გამოცხადებას პრეზიდენტად.—მდგომარეობა ხანკოუში

ინგლისელი მემაღაროები ახალი ბრძოლებისათვის ემზადებიან.—კუკის წერილი

შოტლანდიის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენციაზე დელეგატებმა მოითხოვეს პარტიული ლიდერობის ჩამორთმევა მაკდონალდისათვის

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო.

ნიუ-იორკი, 25 იანვარი. რიო-დე-ჟანეიროდან იუწყებიან, რომ ცენზურის გაუქმებამ გაზეთებს მისცა შესაძლებლობა განაახლონ აგიტაცია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ. (ადს).

ერიკ დრუმონდის წერილის საპასუხოდ.

მოსკოვი, 25 იანვარი. ერთა ლიგის გენერალურ მდივნის, ერიკ დრუმონდის მიერ 1926 წლ. 22 დეკემბერს გამოგზავნილ წერილის საპასუხოდ, საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის მოწვევის შესახებ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა აცნობა ერიკ დრუმონდს, რომ რადგან კონფერენცია მოწვეულია შვეიცარიაში, რაც ცხადათ მოწმობს კონფერენციის მუშაობაში საბჭოთა კავშირის მიერ მონაწილეობის საშუალების მოსპობას, საბჭოთა კავშირის მთავრობა ამ წერილს არ სთვლის მოსაწვევ ბარათად და, ამიტომ, უარს ამბობს თავის წარმომადგენლების დანიშვნაზე (ადს).

საფრანგეთის პრესა

საბჭოთა კავშირის საპროტესტო ნოტის შესახებ.

„პოპულიარ“

პარიზი, 24 იანვარი. „პოპიულერ“ ეხება საბჭოთა კავშირის საპროტესტო ნოტას საფრანგეთ - რუმინეთის ხელშეკრულების წინააღმდეგ და სწერს:

„მოსკოველ მმართველ წრეებს უფლება აქვთ პროტესტი განაცხადონ იმ აქტის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ ადასტურებს ბესარაბიის ანექსიას. ჩვენ ადგილის უქონლობის გამო საშუალება არ გვაქვს შევეხოთ იმ აღმაშფოთებელ გარემოებას, რომლებშიაც რუმინეთმა მოახდინა ძალდატანებითი ანექსია იმ ტერიტორიის, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას რუმინელები სრულებითაც არ შეადგენენ. ბუქარესტელი ჰოგენცოლერნი ისევე ექცევა ბესარაბიას, როგორც ვილჰელმი თავის დროზე ექცეოდა ელზას - ლოტარინგიას“. (ადს).

„ავენირ“

პარიზი, 24 იანვარი. მილიერანის ორგანო **„ავენირ“**, ეხება რა გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის პროტესტს, სწერს:

„ნოტას შანტაჟური ხასიათი აქვს და მისი მიზანია საფრანგეთის და რუმინეთის გათიშვა საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ჩაშლის მუქარით. საფრანგეთში ეს მანევრი მხოლოდ რამდენიმე აფერისტს თუ აალელვებს. საერთოდ კი ნოტის თითქმის უხეში კილო დაუშვებელია. საბჭოთა კავშირს სურს კონტროლი გაუკეთოს ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობას. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ **პასიური პოზიციის** წინააღმდეგ, რომელიც ამ საკითხში გარეშე საქმეთა სამინისტრომ დაიკავა“. (ადს).

ინგლისელი მემაღაროები ახალი ბრძოლისათვის ემზადებიან

კუკის წერილი საბჭოთა კავშირის მემაღაროთა ც. კ.

მოსკოვი, 25 იანვარი. მემაღაროეთა ც. კ. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის მდივნისაგან—ა. კუკისაგან მიიღო შემდეგი წერილი:

„მდგომარეობა ისევ გაუარესდა. **მეწარმეებლები ისე ეპყრობიან მუშებს, როგორც მტერს.** მემაღაროეთა მასები აღშფოთებული არიან. მე აღმასკომს მოვახსენე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ინგლის-რუსეთის მემაღაროეთა მთლიანობის კომიტეტის შექმნის საკითხს ჩვენ მომავალ კვირაში განვიხილავთ დეტალურათ. მე ძლიერ ოპტიმისტურად უყურებ ჩვენი ორგანიზაციის მომავალს. **ფედერაციის აღმასკომი მადლობას გიძღვნით თქვენ უმუშევართა დახმარებისათვის. ჩვენ გვყავს კიდევ მრავალი ათასი მუშა, რომლებსაც უარს ეუბნებიან სამუშაოზე დაბრუნებაზე. ჩვენი ორგანიზაცია აღდგენილია და მემაღაროებმა გადასწყვიტეს უკვე დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები. მემაღაროეთა სულიერი განწყობილება მტკიცეა და ჩვენ გადაჭრით გვაქვს გადაწყვეტილი განვაგრძოთ ბრძოლა“.** (ადს).

მდგომარეობა ლატვიაში

კამპანია ცელენსის წინააღმდეგ

რიგა, 24 იანვარი. გაზეთების ცნობით, მემარჯვენეების გარეშე საქმეთა მინისტრ ცელენსის მიერ მუშათა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით განზრახვა აქვთ სეიმში შეკითხვა შეიტანონ. მემარჯვენეები დაუშვებლათ სთვლიან, რომ „მიმდინარე მომენტში სოციალ-დემოკრატიზმა მუშები აამხედრონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ“. მემარჯვენეები მოითხოვენ მთავრობისაგან პასუხს—იზიარებს თუ არა იგი ცელენსის განცხადებას. (ადს).

გამოძიება ფაშისტების გამოსვლის საქმეზე

რიგა, 24 იანვარი. გამოძიება ფაშისტების გამოსვლის შესახებ ვოლმარში გრძელდება. ოლინი გადაიყვანეს რიგის ცენტრალურ ციხეში. (ადს).

მემარჯვენეები ხმაურობენ

რიგა, 24 იანვარი. მემარჯვენე პრესას ერთი განგაში აქვს ატეხილი ვითომდა კომუნისტური მოძრაობის გაძლიერების გამო უკანასკნელ დღეებში. მემარჯვენე პრესა ამტკიცებს, რომ უკანასკნელ ხანებში ვრცელდება აუარებელი პროკლამაციები და ბევრ ადგილებში გამოფენილია წითელი დროშები კომუნისტური ლოზუნგებით. (ადს).

ლატვიელ ნაციონალისტების ყრილობა

რიგა, 24 იანვარი. შესდგა ლატვიის ნაციონალისტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობაზე გამოსული ორატორები მოუწოდებენ დამსწრეთ ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ სოციალისტებთან საბრძოლველად. არჩეულია ნაციონალისტურ გაერთიანებათა გამგეობა. (ადს).

იმპერიალისტების ინტრიგები ჩინეთში

კანტონის მთავრობის დეკლარაცია

პეკინი, 24 იანვარი. კანტონის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია თავისი პოლიტიკის შესახებ უცხოეთის იმპერიალიზმის მიმართ. დეკლარაციის მთავარი აზრია: **ეროვნული ჩინეთი გამაგრდა, მან შეიგნო თავისი ძალა. ეხლა საკითხი არის არა იმაში, თუ რას მისცემენ ინგლისი და სხვა სახელმწიფოები ჩინეთს, არამედ, პირიქით, იმაში, თუ რას მისცემს ნაციონალური ჩინეთი ინგლისს და სხვა სახელმწიფოებს.**

შემდეგ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სადაო საკითხების გადაჭრა შესაძლოა აგრეთვე მოლაპარაკების გზით. ამიტომ ნაციონალური მთავრობა აცხადებს, რომ ის მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ყველა სახელმწიფოებთან ეკონომიურ და პოლიტიკურ თანასწორ უფლებიანობის საფუძველზე. (ადს).

ინგლისის პროვოკაცია

კანტონი, 24 იანვარი. გომინდანის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ხანკოუს აჩქარებულ ევაკუაციას, რომელიც სრულებით ზედმეტი იყო, კანტონის ნაციონალურ წრეებში უყურებენ როგორც ინგლისელების ცდას გააზვიადონ საშიშროება, შექმნან ქაოსის შთაბეჭდილება და დაამტკიცონ, თითქოს ეროვნულ მთავრობას არ შეუძლია წესრიგის დაცვა. ეს კამპანია ინგლისელებმა დაიწყეს იმ მიზნით, რომ გამოიწვიონ სახელმწიფოების გაერთიანებული მოქმედება და განახორციელონ ინტერვენცია ჩინეთში. (ადს.

ჩინელ ვაჭრების მოთხოვნილება

პეკინი, 24 იანვარი. ნაციონალური სააგენტო ხანკოუდან იტყობინება:

„ჩინეთის სავაჭრო პალატამ ინგლისის სავაჭრო პალატას მიმართა წერილით (წერილის ასლი გაეგზავნა აგრეთვე ნაციონალურ მთავრობას), რომელშიაც აცხადებს, რომ **ჩინეთის ვაჭრები მოითხოვენ ინგლისელებისაგან იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულია ინგლისის ფირმების მიერ ოპერაციების შეწყვეტით.** ვაჭრები მოითხოვენ, რომ ნაციონალურმა მთავრობამ ენერგიული პროტესტი განუცხადოს ინგლისის ხელისუფლებას და მოითხოვოს, რომ ინგლისელებმა განაახლონ საქმიანი ოპერაციები და შეასრულონ ხელშეკრულებები“, (ადს).

უცხოელების დაცვა.

პეკინი, 25 იანვარი. კანტონის გარეშე საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციების თანახმად, სამხრეთ პროვინციების ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომელიც წინადადებას აძლევს ზარალი არ მიაყენონ უცხოელებს (ადს).

ჩჟან-ძო-ლინი—ჩინეთის პრეზიდენტი?

პეკინი, 24 იანვარი. პეკინში კვლავ გავრცელდა ხმები, რომ მოლაპარაკება სწარმოებს ჩჟან-ძო-ლინის პრეზიდენტად ასარჩევად, თუმცა ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის, თუ როგორ მოხდება ეს არჩევა.

იტყობინებიან, რომ ამჟამად იხილავენ ორ პროექტს: პირველი გულისხმობს ახალი სენატის შექმნას პროვინციის წარმომადგენლებისაგან; ეს სენატი აირჩევს პრეზიდენტს. მეორე პროექტი წინადადებას იძლევა ამ მიზნისათვის გამოყენებული იქნეს წინანდელი სენატი; ამასთანავე სენატის ნაწილი ხელახლა უნდა იქნეს არჩეული. (ადს).

ჩინეთის ცენტრალური ბანკი.

პეკინი, 24 იანვარი. ხანკოუში, იმ შენობაში, რომელიც წინეთ რუსეთ-აზიის ბანკს ეჭირა, გაიხსნა ჩინეთის ცენტრალური ბანკის განყოფილება (კანტონის მთავრობის ბანკი). ცენტრალური ბანკის ფულის ნიშნებს გასავალი აქვს ყველა იმ პროვინციების ტერიტორიაზე, რომლებიც კანტონის მთავრობას ემორჩილება (ადს).

გარბიან.

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ამერიკის კონსულებს ჩინეთში, რომ ამ უკანასკნელებმა ურჩიონ მისიონერებს დასტოვონ ჩინეთი და იარაღს არ მიმართონ ჩინელებთან დამოკიდებულებაში. იმავე ინსტრუქციების თანახმად, ამერიკის კონსულებმა უნდა ურჩიონ ამერიკელ კომერსანტებს წინააღმდეგობა არ გაუწიონ ჩინეთის ხელისუფლების მოთხოვნილებას დამატებითი გადასახადების გადახდის შესახებ და გააფრთხილონ კომერსანტები, რომ შეერთებული შტატების მთავრობას განზრახვა არ აქვს დაიცვას მათი ქონება.

გაზეთების სიტყვით, ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ ამერიკა იარაღს მიმართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის მოქალაქეთა სიცოცხლე საფრთხეში იქნება (ადს).

ამერიკელების ევაკუაცია.

პეკინი, 24 იანვარი. უცხოეთის პრესის ცნობით, ამერიკელი ქალები და ბავშვები ფუ-ჩეოუდან და ამოიადან გადასახლდენ მანილაში (ფილიპინის კუნძულებზე).

იტყობინებიან აგრეთვე, რომ დაიწყო ამერიკელ მისიონერების ევაკუაცია ჩინეთის სხვადასხვა ადგილებიდან (ადს).

შური იძიეს გამარჯვებულებზე.

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. შანხაიდან მიღებული ცნობით, იქ შესდგა ტრამვაის და ომნიბუსების მუშების დემონსტრაცია მუშების გაფიცვის გამარჯვებით დამთავრების გამო. პოლიცია თავს დაესხა **დემონსტრანტებს. შეტაკების დროს დასჭრეს 7 მუშა და 3 უცხოელი** პოლიციელი (ადს).

„საჭირო შემთხვევაში“.

ვაშინგტონი, 24 იანვარი. გარეშე საქმეთა სამინისტრო უარყოფს ჰონკონგიდან მიღებულ ცნობას, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეთანხმება დასდეს ინგლისთან, იაპონიასთან და საფრანგეთთან შანხაის გაერთიანებული ძალებით დაცვის შესახებ. სამინისტრო აღნიშნავს, რომ აზიის წყლებში მყოფ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ფლოტის სარდალს თათბირი ჰქონდა სხვა სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ხელისუფლების წარმომადგენლებთან უცხოელების დაცვის საკითხის შესახებ; ამ თათბირზე ირჩეოდა საკითხი იმ სამხედრო ძალების შესახებ, რომელნიც შესაძლოა საჭირო იქნენ ასეთი დაცვის აუცილებლობის დროს.

„მაგრამ,—ნათქვამია გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობაში, — ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს არავითარი ფორმალური შეთანხმება არ დაუდვიათ“.

შემდეგ სამინისტრო აცხადებს, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ჩინეთში გაგზავნოს ჯარები, რომელნიც შესაძლოა გამოყენებულ იქნენ საჭირო შემთხვევაში (ადს).

ინგლისელების ტაქტიკა.

ნიუ-იორკი, 25 იანვარი. გაზეთების ცნობებით, ინგლისის სავაჭრო ორგანიზაციებმა ხანკოუში განაახლეს თავისი ოპერაციები, რითაც „სცდილობენ დაამტკიცონ თავისი ნდობა ჩინეთის ხელისუფლებისადმი და შექმნან ხელსაყრელი ატმოსფერა ხანკოუში მიმდინარე დიპლომატიურ მოლაპარაკებისათვის“. (ადს).

ევგენი ჩენის განცხადების გარშემო

ლონდონი, 24 იანვარი. ყველა ინგლისური გაზეთები აქვეყნებენ ევგენი ჩენის განცხადებას ეროვნული მოძრაობის ამოცანებზე ჩინეთში.

ჩენი აცხადებს, რომ ეროვნული მოძრაობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ჩინეთის სრული დამოუკიდებლობის აღდგენა. „ვიდრე ამას არ მივაღწევთ, — ნათქვამია განცხადებაში,—შეუძლებელია ნამდვილი, ჭეშმარიტი ზავი ჩინეთის ნაციონალიზმსა და ინგლისის იმპერიალიზმს შორის“. (ადს).

„შანხაის თავდაცვის კორპუსი“

ლონდონი, 24 იანვარი. ინგლისის სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა „შანხაის თავდაცვის კორპუსის“ შედგენის შესახებ გენ. დენკანის მეთაურობით. კორპუსი შესდგება სამი ქვეითა ბრიგადიდან, არტილერიიდან, ჯავშნიან ავტომობილების რაზმიდან და დამხმარე ნაწილებიდან.

ინგლისიდან ჩინეთში გაიგზავნა საზღვაო ქვეითა რაზმის ბატალიონი. გასაგზავნათ არის გამზადებული ორი საჰაერო რაზმი. (ადს).

მაკდონალდი უკმაყოფილოა

ლონდონი, 24 იანვარი. მაკდონალდმა „დეილი ჰერალდში“ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ილაშქრებს ჩინეთის მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებულ ოფიციალური ცნობების აგრესიულ კილოს წინააღმდეგ.

„მე ნათლად ვხედავ ამ ცნობებში,—სწერს მაკდონალდი, — ინგლისის სამხედრო მზადებას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს წინაშე კვლავ წამოიჭრა კითხვა — სამხედრო პირები სახელმწიფოს უნდა ემსახურებოდენ, თუ სახელმწიფო სათამაშო უნდა იყოს მათ ხელში“.

ინტერვენციის წინააღმდეგ

ლონდონი, 24 იანვარი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ავსტრალიის მუშათა პარტიამ სიდნეიში გაილაშქრა ჩინეთში ინტერვენციის წინააღმდეგ. მუშათა პარტია გადაჭრით ილაშქრებს აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ავსტრალია ჩაბმული იქნეს ომში, რომელსაც სხვა სახელმწიფოები აწარმოებენ.

შტატ ვიქტორიას მეზღვაურთა მიტინგზე მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც მეზღვაურები უარს ამბობენ იმუშაონ იმ გემებზე, რომლებსაც ჯარისკაცები გადაყავს და სამხედრო მოწყობილობა მიაქვს ჩინეთში. (ადს).

ამერიკის მოსალოდნელი განცხადება

ნიუ-იორკი, 25 იანვარი. ამერიკის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია ხმები, რომ ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტრო ახლო ხანებში გამოვა ოფიციალური განცხადებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ იგი მზათ არის უარი სთქვას არათანასწორ ხელშეკრულებებზე ჩინეთში. (ადს).

საბჭოთა პრესა

გლეხობასთან დაკავშირების ერთი ფორმათაგანი

მუშის საგასავლო ბიუჯეტის მეტი წილი კვებაზე მიდის. ეს ფული უმეტესად კერძო ვაჭარს უვარდება ხელში, ვინაიდან მუშათა კოოპერაციამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა საკვები პროდუქტების ბაზრის მთლიანად დაპყრობა და ამ მხრივ მუშა-მოსამსახურეთა სათანადოთ მომარაგება. ამით აგებს მუშა, რომელსაც ხშირად დაბალი ხარისხის სურსათ-სანოვაგის ყიდვა უხდება და ისიც ძვირად, აგებს კოოპერატივიც. საჭიროა უკანასკნელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თავის წევრებისა და საერთოდ მუშათა მასსებისათვის საკვებ საგნების მიწოდებას. ამ მიზნით მან, სხვათა შორის, მჭიდრო ურთიერთობა უნდა გააბას კოოპერატიულად შეკავშირებულ სასოფლო მეურნეობასთან. გაზ. „ტრუდ“ ეხება ამ საკითხს:

„მუშკოოპებმა უშუალო კავშირი უნდა დაამყარონ მეზობელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან და დასდონ მათთან ხელშეკრულებები მუშებისათვის აუცილებელ პროდუქტების მიწოდების შესახებ. ეს, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობს კოოპერაციის გაძლიერებას სოფლად, ეს ასწევს კოოპერაციის ავტორიტეტს გლეხობის თვალში, განსაკუთრებით თუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია შესძლებს გლეხების დაინტერესებას, მოგებაში მათი მონაწილეობის შემოღებით ან მეტი ფასის გაცემით, ვინემ კერძო შემსყიდველები იძლევიან. რა თქმა უნდა, დასაწყისში ზოგიერთი გლეხი უკმაყოფილო იქნება კოოპერაციის მოთხოვნით, რომ პროდუქტები იყოს სუფთა და კარგი ხარისხის, მაგრამ გასაღების სარგებლიანობის და უზრუნველყოფილობის შეგნება თავისას გაიტანს. პროდუქტების მისაღებ პუნქტების შექმნა შეძლებას მოგვცემს რძით და რძის პროდუქტებით ქალაქის მომარაგების საქმეში მოვიზიდოთ შორეული სოფლებიც. საქმის სწორი დაყენების დროს შეიძლება უფრო შორეულ სოფლებიდანაც მივიღოთ ყოველგვარი ბოსტნეული, ხილეული და სხ. აქედან სარგებლობას ნახავს ქალაქიც და სოფელიც: პირველი მიიღებს საუკეთესო პროდუქტებს უფრო იაფ ფასებში, ხოლო მეორე—სამართლიან ფასს თავის მეურნ. პროდ-სათვის, რამდენადაც მას არ მოუხდება კერძო შემსყიდველ-მუქთახორების რჩენა. რა შეიძლება უკეთესი ქალაქისა და სოფლის კოოპერატ. შეკავშირების ამ დემონსტრაციისა, რომელიც ამტკიცებს კოოპერაციას, მაღლა სწევს მის ავტორიტეტს მშრომელთა ფართე მასების თვალში, იცავს ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობას და გლეხობის კეთილდღეობას და შლის სპეკულიაციის ბუდეს“.

ამნაირად, ამ შემთხვევაში კოოპერაციის გზით უნდა მოხდეს გლეხის დაახლოვება მუშასთან. თავის თავად ცხადია, რომ მუშკოოპებმა ყოველგვარი ანგარიში თავის დროზე და პირნათლად უნდა გაუსწორონ სას.-სამ. კოოპერაციას, რომ გლეხობამ თავისი პროდუქტების ღირებულება დაუბრკოლებლად მიიღოს. ამავე დროს მუშათა კოოპერატივებმა მეტი უნარი უნდა გამოიჩინონ სურსათ-სანოვაგის მუშა-მოსამსახურეებისათვის სწრაფად და ადვილად გაცემის საქმეში.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრიტანეთის ლომი.—ნუ თუ წამართმევს?

ლენინის გარდაცვალების 3 წლის თავი

რუსეთი.

ილიჩის ხსოვნისათვის.

როსტოვი-დონზე, 25 იანვარი. ლენინის გარდაცვალების სამი წლის თავზე ქალ. შახტახში ამხ. სემაშკოს თანადასწრებით შესდგა ახლად აგებულ საოლქო საავადმყოფოს გახსნა. საავადმყოფოს თავისი სიდიადით მესამე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში (ადს).

ჩინეთში.

სამგლოვიარო მიტინგი ჩან-შაში

ჩან-შა, 24 იანვარი. ლენინის გარდაცვალების 3 წლის თავზე ჩან-შაში გაიმართა 9 სამგლოვიარო მიტინგი. საღამოს გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც დაახლოვებით 100.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ლენინის გარდაცვალების 3 წლის თავის გამო სხვადასხვა ორგანიზაციებმა 300-მდე ბროშიურა და ფურცლები გამოუშვეს ლენინის მოღვაწეობის შესახებ. ამ ბროშიურებში ლენინიზმი დახასიათებულია, როგორც ერთად-ერთი რევოლიუციონური ძალა, რომელსაც შეუძლია გაანთავისუფლოს მთელი მსოფლიოს ჩაგრული კლასები და ერები (ადს).

ავსტრიაში.

ვენაში.

ვენა, 24 იანვარი. 23 იანვარს ვენაში ქალაქის თვითმმართველობის შენობაში შესდგა სამგლოვიარო კრება ლენინის ხსოვნის საპატივცემლოდ. თვითმმართველობის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვეს იმ ორატორებმა, რომელნიც კომპარტიის მთლიანობას იცევდენ.

საღამოს შესდგა ლენინის ხსოვნის და ოქტომბრის რევოლიუციის საპატივცემულო კრება, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა ახალგაზრდობამ მოიწვია. მომხსენებლად უნდა გამოსულიყო ბაუერი, მაგრამ ის არ გამოცხადდა კრებაზე იმის მიზეზით, რომ განცხადება კრების შესახებ მოთავსებული იყო კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“-ში. გამოსული ორატორები ხაზს უსვამდენ ლენინის მნიშვნელობას მუშათა საერთაშორისო მოძრაობისათვის. ახალგაზრდა კომუნისტები კრებებზე არიგებდენ ფურცლებს, რომლებშიაც ნათქვამი იყო, რომ დიდ წინააღმდეგობაში ვარდებიან ის პირები, რომელნიც პატივსცემენ ლენინის ხსოვნას და ამავე დროს მეორე ინტერნაციონალს ემხრობიან (ადს).

მუშები მაკდონალდის წინააღმდეგ

ლონდონი, 23 იანვარი. შოტლანდიის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შესდგა დენდში, მკაცრად გაილაშქრეს მაკდონალდის წინააღმდეგ და მისთვის ლიდერობის ჩამორთმევა მოითხოვეს. პარტიის გოვენის განყოფილებამ შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც დაგმობილია მაკდონალდის უკანასკნელი გამოსვლები პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებში. პარლამენტის მუშათა ფრაქციის ეძლევა წინადადება, სხვა პირი აირჩიოს თავის ლიდერად. კონფერენციის თავმჯდომარე შეეცადა, რომ ეს რეზოლიუცია მოხსნილიყო და არ განხილულიყო იმ საბაბით, რომ თითქოს ეს საკითხი ეხება მხოლოდ საპარლამენტო ფრაქციას, მაგრამ კონფერენციის წევრთა უმრავლესობამ მოითხოვა ამ საკითხის განხილვა. რეზოლიუციის დასაცავად გამოსულმა დევისონმა განაცხადა, რომ მაკდონალდმა საყოველთაო გაფიცვის დაწყებიდან თავისი საქციელით დაამტკიცა, რომ იგი სრულიად გამოუსადეგია მუშათა კლასის ბელადად, თუმცა იგი, შეიძლება კარგი საპარლამენტო ორატორი იყოს. დევისონმა ამასთანავე აღნიშნა, რომ მაკდონალდმა აშკარად უღალატა მუშათა კლასს, როცა მან პარლამენტში განაცხადა, რომ იგი კონსტიტუციის არა ნაკლებ მხურვალე დამცველია, ვიდრე თვით კონსერვატორები. შემდეგ გამოსულმა კონფერენციის თავმჯდომარემ დოლენმა აღიარა, რომ კუკმა „ინგლისის მუშათა კლასში რევოლიუციონური განწყობილების შექმნისათვის გაცილებით უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე პროფკავშირების ყველა ბელადებმა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში“. ხანგრძლივი და მხურვალე კამათის შემდეგ რეზოლიუცია მაკდონალდის ლიდერობიდან გადაყენების შესახებ უარყოფილ იქნა მხოლოდ ოთხი ხმის უმრავლესობით (61 ხმა წინააღმდეგ 57 ხმისა). „მანჩესტერ გარდიენი“ აცხადებს: ის ფაქტი, რომ რეზოლიუციას მიემხრო კონფერენციის წევრთა თითქმის ნახევარი, მოწმობს იმას, რომ მაკდონალდის პოპულიარობა მუშათა წრეებში მნიშვნელოვნად დაეცა.

საარჩევნო „კამპანია“ სამხრეთ-სლავიაში

სათემო არჩევნების შედეგები

ვენა, 24 იანვარი. პირველი ცნობების თანახმად, სამხრეთ-სლავიაში სათემო არჩევნებში მანდატების მეტი ნაწილი რადიკალებმა მიიღეს. მეორე ადგილი უჭირავს რადიჩის პარტიას. დიდი წარმატებები აქვს დამოუკიდებელ მუშათა პარტიას უმთავრესად ხორვატიაში; უკანასკნელმა ზაგრების ოლქში მიიღო ორი მანდატი (ადს).

ტერორი

ვენა, 24 იანვარი. საოლქო არჩევნები სამხრეთ-სლავიაში 23 იანვარს დაიწყო. ბრძოლას არჩევნებში გამწვავებული ხასიათი აქვს. რადიკალების ტერორმა პროტესტი გამოიწვია არა მარტო ოპოზიციონურ პარტიების მხრით, არამედ რადიჩის პარტიის მხრივაც. (ადს).

მემელის სეიმის დათხოვნა

ლიტვის გუბერნატორის ბრძანებით

კოვნო, 24 იანვარი. 22 იანვარს მემელის ოლქის გუბერნატორმა ალკაუსკასმა მემელის სეიმი დათხოვნილად გამოაცხადა. ახალი არჩევნები დანიშნულია ოთხი მარტისათვის.

სეიმი დაითხოვეს იმის შემდეგ, რაც მემელის დირექტორიის ახალმა თავმჯდომარემ—შვენიუსმა ვერ მოახერხა დეკლარაციის გამოქვეყნება.

ამასთან დაკავშირებით, ოფიციოზი „ლეტუვა“ სწერს: „სეიმის უმრავლესობამ დაამტკიცა, რომ მას არ ძალუძს მუშაობა. ამიტომ არ არის სხვა გამოსავალი, გარდა მისი დათხოვნისა“.

იტალიელი რეფორმისტები ფაშისტებთან თანამშრომლობენ

შრომის რეფორმისტული ფედერაციის თვითლიკვიდაცია

მუსოლინის ანკესზე

ბერლინი, 24 იანვარი. მუსოლინთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ იტალიის შრომის კონფედერაციის ბელადებმა დაადგინეს, გამოაცხადონ კონფედერაციის საბოლოო თვითლიკვიდაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლონიაში მუსოლინზე თავდასხმის შემდეგ ფედერაცია ფაქტიურად არაფერს აკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა ლეგალური მუშაობის შესაძლებლობა და რევოლიუციონური უმცირესობა დაჟინებით მოითხოვდა მუშაობის გაჩაღებას. (ადს).

გადასახლებულები

ბერლინი, 24 იანვარი. სარწმუნო წყაროების ცნობებით, იტალიიდან გადასახლებულთა რიცხვი ათას ხუთას კაცს აღემატება, უმრავლესობა კომუნისტებია. არც ერთმა გადასახლებულმა კომუნისტმა არ შეიტანა აპელიაცია, რომელსაც მიმართეს რეფორმისტულ მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა. აპელიაციის მაგივრად ზოგიერთმა კომუნისტმა წერილობითი ფორმით განაცხადა, რომ ისინი კომუნიზმის ერთგული არიან. (ადს).

სული სულის იცნობს

კნოლის ფაშისტური სიმპატიები

რომი, 24 იანვარი. პოლონეთის ახალმა ელჩმა იტალიაში კნოლმა, რომლის ჩასვლის გამო ფაშისტური პრესა აღნიშნავდა მის „დამსახურებას“ ბოლშევიზმთან ბრძოლაში, იტალიის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის კმაყოფილებით აღნიშნავს იმას, რომ იტალიის და პოლონეთს ბევრი რამ აქვს საერთო. შემდეგ კნოლმა განაცხადა, რომ ბოლშევიზმს პოლონეთში არ შეუძლია განმტკიცება, რადგან პოლონეთის მთავრობა გადამჭრელ ზომების გზას ადგია; უკანასკნელი არ დაერიდა 4 დეპუტატის დაპატიმრებას, რადგან მათი კავშირი მეზობელ სახელმწიფოს მტრულ ელემენტებთან, თითქოს, დადასტურდა.

„პოლონეთის მთავრობა, სთქვა კნოლმა, დიდი ყურადღებით თვალს ადევნებს ფაშისტური მთავრობის პოლიტიკას და მას შეუძლია დააფასოს ის მიღწევები, რომელიც იტალიას აქვს ფაშიზმის წყალობით“. (ადს).

უნგრეთი იარაღდება

ვენა, 24 იანვარი. ავსტრიის პარლამენტის სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ სოციალ-დემოკრატმა დეიჩმა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება გააკეთა უნგრეთის ფარული შეიარაღების შესახებ, რომელშიაც აღნიშნა, რომ სარწმუნო წყაროების მიხედვით უნგრეთს ამჟამად ჰყავს 600.000-ანი არმია, რომელსაც შეუძლია საომრად მოემზადოს მოკლე დროის განმავლობაში. უნგრეთს იმედი აქვს, რომ მსხვილ იარაღებს და ჰაეროპლანებს მიიღებს ერთ-ერთ თავის მოკავშირესაგან (ალბად, ლაპარაკია იტალიაზე).

უნგრეთის მთავრობამ ტყიან ადგილში მოაწყო ფარული სამხედრო ქარხნები, რომელთა ნაწილი მიწის-ქვეშაა აგებული.

ქარხნები იმუშავებენ სამხედრო მასალებს, რომელთა დამზადება უნგრეთს აკრძალული აქვს საზავო ხელშეკრულებებით.

ქარხნებში მუშაობენ მხოლოდ სამხედრო-ვალდებული პირები. (ადს).

ღამის ცნობები

ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 25 იანვარი. 3 თებერვლისათვის დანიშნულია ცენტრალური საკონტროლო კომისიის მორიგი პლენუმი. პლენუმი განიხილავს მოხსენებებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ, და აგრეთვე სოფლის უჯრედების შემოწმების შესახებ.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

ამსტერდამი, 25 იანვარი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად ამსტერდამში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. (ადს).

ჰელსინგფორსი, 25 იანვარი. 16-23 იანვრამდე ფინეთში ჩაატარეს ლენინის, კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ხსოვნის აღსანიშნავი კვირა.

ჰელსინგფორსში გამართულ მიტინგებზე ორატორები, მოხსენებებთან ერთად განსვენებულ ბელადების მნიშვნელობის შესახებ საერთაშორისო პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში, ლაპარაკობდენ ფაშისტურ გადატრიალებაზე ლიტვაში და ფაშისტური საფრთხის წინააღმდეგ ფინეთში ბრძოლის გაჩაღების აუცილებლობის შესახებ. (ადს).

პიანისტების საერთაშორისო კონკურსი

ვარშავა, 25 იანვარი. 23 იანვარს დაიწყო პიანისტების საერთაშორისო კონკურსი.

მოსკოვის პიანისტმა ობორინმა (ერთი კონკურსში მონაწილე საბჭოთა პიანისტთაგანი) თავისი მოხდენილი დაკვრით მიიქცია მსაჯთა და პრესის ყურადღება. (ადს).

ლენინგრადის საგუბერნიო პარტკონფერენცია

ლენინგრადი, 25 იანვარი. (რადიო-ტელეფონი) გაიმართა საგუბერნიო პარტკონფერენცია. ვრცელი მოხსენებით საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. რუდზუტაკი. (ადს).

არაჩვეულებრივად დიდი თოვლი

კიზილ-ორდა, 25 იანვარი. (რადიო-ტელეფონი). ყაზახსტანის მთებში მოვიდა არაჩვეულებრივად დიდი თოვლი, რაც იმუქრება საზაფხულის ნიაღვრებით, რომლებსაც შეუძლიათ წალეკონ ყველა სარწყავი არხები.

არხებს უკეთებენ დამცველ ჯებირებს. (ადს).

პროტესტი მუშების დევნის წინააღმდეგ ლიტვაში

ჰელსინგფორსი, 24 იანვარი. დამოუკიდებელ მუშათა გაზეთ „მუშათა ორგანიზაციების უწყებები“-ს ცნობით, ფინეთის მელითონეთა კავშირმა ლიტვის საელჩოს ჰელსინგფორსში გაუგზავნა პროტესტი მუშების სიკვდილით დასჯისა და დევნის წინააღმდეგ ლიტვაში. ლიტვის საელჩომ პროტესტი უკანვე დააბრუნა ფოსტით.

გაზეთი დაუშვებლად სთვლის ლიტვის ელჩის ასეთ მოქმედებას და მოუწოდებს მუშებს მოითხოვონ ელჩის გადაყენება. (ადს).

თათბირი

ლონდონი, 25 იანვარი. გუშინ ინგლისის იმ მსხვილი ფირმების წარმომადგენლებს, რომლებიც ვაჭრობას აწარმოებენ ჩინეთში, თათბირი ჰქონდათ გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. (ადს).

ვარშავის საავადმყოფო კასა

ვარშავა, 25 იანვარი. ვარშავის საავადმყოფო კასის საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა კასის გამგეობას. ახალი გამგეობა არჩეული იქნა მუშათა მემარცხენე ფრთის და პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებისაგან. თავმჯდომარეთ არჩეულია სოციალისტური პარტიის წევრი, მის მოადგილეთ მემარცხენე ფრთის წევრი. (ადს).

ალბანეთში

აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ

ვენა, 24 იანვარი. ბელგრადის გაზ. „ვრემია“-ს ცნობით, ალბანეთში უკვე დაპატიმრებულია 1.200 კაცი, რომელთაც ბრალად ედებათ აჯანყებაში მონაწილეობა. მრავალ დაპატიმრებულთაგანს უკვე გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი, ბევრს მიუსაჯეს მრავალი წლის ციხე. სიკვდილით დასჯა ხდება საჯაროთ სკუტარის ერთ-ერთ მოედანზე. აჯანყების ხელმძღვანელებს, რომელნიც გაქცეულნი არიან, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. (ადს).

„რუდე პრავო“-ს კონფისკაცია

პრაღა, 24 იანვარი. კომუნისტ დეპუტატების გარუსის, ილეკის, კრებსის და შაფრანეკის პროცესთან დაკავშირებით, კონფისკაცია უყვეს ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „რუდე პრავო“-ს 23 იანვრის ნომერს. გაზეთი ორი კვირით არის აკრძალული (ადს).

გრამშის საქმე

რომი, 24 იანვარი. 20 იანვარს იტალიელი კომუნისტი გრამში (ყოფილი დეპუტატი, გამორიცხული პარლამენტიდან მუსოლინზე უკანასკნელი თავდასხმის შემდეგ) ეტაპით გაგზავნეს კუნძულ უსტიკიდან (სადაც ის გადასახლებული იყო) მილანში. გრამშის პასუხისგებაში აძლევენ კომუნისტურ გაზეთ „უნიტა“-ს საქმეზე, რომელიც ირჩევა მილანის საგანგებო ტრიბუნალში სახელმწიფოს დაცვის შესახებ გამოცემული ახალი კანონის მიხედვით. (ადს).

გრიპი ევროპაში

ბერლინი, 24 იანვარი. გრიპის ეპიდემიის გაძლიერების გამო, პომერანიაში ერთი კვირით დაიხურა სკოლები. ბრანდენბურგში სკოლები ათი დღით დაიხურა. (ადს).

„საშიში ბოროტმოქმედი“

ვარშავა, 24 იანვარი. ვარშავის პოლიტიკურმა პოლიციამ დააპატიმრა პოლონეთის მოქალაქე უზდანოვსკი, რომელიც პოლონურ გაზეთებს თარგმნიდა საბჭოთა წარმომადგენლობის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში.

ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ უზდანსკი „საშიშ სახელმწიფო ბოროტმოქმედათ“ დახატონ.

პილსუდსკის ოფიციოზი „გლოს პრავდი“ უზდანსკის დაპატიმრების შესახებ ათავსებს ცნობას სათაურით: „საბჭოთა საელჩოს ლოთალობის გამოაშკარავება“ და ამტკიცებს, რომ უზდანსკი დაპატიმრების თავიდან აცილების მიზნით დაიმალა საბჭოთა საელჩოში. ნამდვილათ კი უზდანსკი ქალაქში სცხოვრობს. (ადს).

კანოვის გადასახლება

პარიზი, 24 იანვარი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ნიცაში დაპატიმრებული იტალიელი ჟურნალისტი კანოვი გაძევებული იქნება იტალიის საზღვრებიდან. (ადს).

სხვადასხვა

იარაღის შენახვისათვის

პარიზი, 23 იანვარი. კატალონის მეამბოხეთა ბელადს პოლკოვნიკ მასიას და აგრეთვე რიჩიოტი გარიბალდის სასამართლომ იარაღის უკანონოთ შენახვისათვის მიუსაჯა 2 თვის ციხე. (ადს).

რკინის მადანი იტალიაში

რომი, 24 იანვარი. სტეფანის სააგენტო იტყობინება, რომ აპუანის ალპებში 1.602 მეტრის სიმაღლეზე, აღმოჩენილ იქნა რკინის დიდი მადნები, რომელიც თავისი ხარისხით საუკეთესოა ევროპაში. ამ მადნებში იმდენი რკინაა, სპეციალისტების აზრით, იტალიას მომავალში აღარ დასჭირდება რკინის შემოტანა საზღვარგარეთიდან (ადს).

შოპენის სახელობის კონგრესი

მოსკოვი, 25 იანვარი. 25 იანვარს ვარშავაში გაიხსნა პიანისტების კონგრესი შოპენის სახელობის პრემიაზე, კონგრესზე გაგზავნილი არიან საბჭოთა პიანისტები: ნ. ბრიუშკოვი, გ. [illegible], ლ. ობორინი და შოსტაკოვიჩი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ხანძარი პერმის უნივერსიტეტში

პერმი, 25 იანვ. 22 იანვარს ღამით პერმის უნივერსიტეტის შენობაში გაჩნდა ცეცხლი. ხანძარი მთელი დღე გაგრძელდა. დაიწვა ლაბორატორია, ანატომიური თეატრი და რამოდენიმე პროფესორის ბინა (ადს).

ლენინგრადის ნავთსადგურის გაწმენდა ყინულისაგან

ლენინგრადი, 25 იანვარი. წარმატებით მიმდინარეობს ლენინგრადის ნავთსადგურის გაწმენდა ყინულისაგან. წელს გემების მსვლელობა აღარ შეფერხებულა. საერთოდ მთელ მანძილს გემები ვადიან 2-3 დღე-ღამეში და თუ ადგილი აქვს რაიმე დაგვიანებას, ისიც მხოლოდ მღელვარების მიზეზით. ორ დღით დაგვიანდა ორი გემი „აზნავეთი“ და „გროზნავეთი“, მაგრამ ამ ორი საბჭოთა გემის ღონიერმა მანქანებმა და მაგარმა კორპუსებმა გაუძლეს ღელვას და, ამნაირად, მათ ჩააბარეს გამოცდა. დაახლოვებითი გამოანგარიშებით, ყინულის მწმენდი კამპანიის პირველ ნახევარში ნავთსადგურში გაიარა 250.000 ტონა სხვადასხვა ტვირთმა. საიმპორტო ოპერაციები სუსტი იყო; ნავთსადგურში უმთავრესად მოდიოდენ ცარიელი გემები საბჭოთა პურის გასატანად. (ადს).

ჭირი კაზაკისტანში

მოსკოვი, 25 იანვარი. კაზაკსტანის აზგირის რაიონში დაიწყო ჭირი, რომლისგანაც გარდაიცვალა 30 კაცი (ადს).

9 იანვრის მსხვერპლთა საფლავზე

ლენინგრადი, 25 იანვარი. 22 იანვარს ამაღლების სასაფლაოზე, სადაც დაკრძალული არიან 1905 წლის 9 იანვრის დახვრეტის მსხვერპლნი, გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. დამსწრე მუშებს შორის ბევრნი იყვნენ დახვრეტის თანამედროვენი და იმ მანიფესტაციის მონაწილენი, რომელიც 1905 წელს იანვარში დაარბიეს მეფის სასახლესთან. (ადს).

მიწათმოწყობის თათბირი

მოსკოვი, 25 იანვარი. გაიხსნა სრულიად რუსეთის მიწათმოწყობის თათბირი, რომელზედაც ჩამოვიდა 200-მდე დელეგატი ადგილებიდან (ადს).

ლითონის 16 ქარხანა

ლენინგრადი, 25 იანვარი. ახლო მომავალში განზრახულია ლითონის 16 ქარხნის აგების დაწყება. ამ ქარხნების რიცხვში შედის სასოფლო - სამეურნეო მანქანების ქარხანა როსტოვში, ლითონის ქარხანა ქერჩში და საბჭოთა კავშირის სამანქანმგებლო მრეწველობისათვის საჭირო ტეხნიკურ იარაღების დამამზადებელი ქარხანა, ლენინგრადში. (ადს).

გაერთიანებული ყრილობა

ავიაქიმისა და თავდაცვის ხელის შემწყობ საზოგადოებისა—დაიხურა

მოსკოვი, 25 იანვარი. 24 იანვარს დაიხურა თავდაცვის ხელის შემწყობ საზოგადოება—ავიაქიმის პირველი გაერთიანებული ყრილობა. საზოგადოების საბჭოში არჩეულია 303 წევრი, მათ რიცხვში ამხ. რიკოვი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, კუიბიშევი, უნშლიხტი, ბუბნოვი, ს. ს. კამენევი, ტუხაჩევსკი, ბუდიონი, ფელიქსკონი, იპატიევი და სხვ.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხელის შემწყობ საზოგადოება—ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. რიკოვი, თავმჯდომარის მოადგილეთ—ამხ. ვოროშილოვი, უნშლიხტი და კუიბიშევი (ადს).

თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოება—ავიაქიმის საბჭოს პირველი პლენუმი

მოსკოვი, 25 იანვარი. 24 იანვარს ამხ. რიკოვის თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხელის შემწყობ საზოგადოება—ავიაქიმის ახლად არჩეულ საბჭოს პირველი პლენუმი. საბჭომ აირჩია საზოგადოების პრეზიდიუმი 41 კაცისაგან და 5 კანდიდატისაგან. პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რიკოვი, მის მოადგილეებათ—ამხ. ვოროშილოვი, უნშლიხტი და კუიბიშევი. პრეზიდიუმის წევრებათ არჩეული არიან—ამხ. ბარანოვი, იაგოდა, ბაზილევიჩი, ბუბნოვი, მუკლევიჩი, ფელდმანი, ჩუბარი და სხვ. პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ მუშები—კორნეევი, აგოპოვი და მურაშევიჩი (ადს).

აღწერის მასალების დამუშავება

მოსკოვი, 25 იანვარი. საკავშირო სახკომსაბჭომ და შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალეს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საღწერო მასალების სასწრაფო წესით დამუშავება.

ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესასრულებლად და ტაჯიკსტანის რესპუბლიკაში გაზაფხულამდე გადადებულ აღწერის ჩასატარებლად შუამდგომლობა აღძრა საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე დამატებითი თანხების—350.000 მან. გაღების შესახებ. სახკომსაბჭომ და შრომისა და თავდაცვის საბჭომ შესაძლებლად სცნეს მხოლოდ 200.000 მან. გაღება. (ადს).

„დნეპროსტროი“

ხარკოვი, 25 იანვარი. თუმცა მუშაობა დნეპრზე ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ სამუშაოების ადგილებზე კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან თავს იყრიან აუარებელი უმუშევრები. 1927 წ. გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულება შესაძლებელია ადგილობრივი უმუშევრების ძალებით. უკრაინის შრომის კომისარიატი იტყობინება, რომ ჩამოსულ უმუშევრებს არ უნდა ჰქონდეთ არა თუ სამუშაოს, არამედ რაიმე დახმარების მიღების იმედიც. (ადს).

გემის დაღუპვა

მოსკოვი, 24 იანვარი. ყირიმის ნაპირებთან გრიგალის დროს ზღვაში დაიღუპა ბერძნული დიდი იალქნიანი გემი. დაიღუპენ აგრეთვე გემზე მოსამსახურენი და უფროსთა შემადგენლობა. (ადს)

მედსანშრომის კავშირის

ც. კ. დადგენილება

დამატებითი გასამრჯელოს შესახებ

მოსკოვი, 25 იანვარი. მედსანშრომის კავმატებითი გასამრჯელოს შემოღება იმ საექიმო შირის ც. კ. პრეზიდიუმმა საჭიროთ აღიარა დამუშაკთათვის, რომელთა შრომის აღრიცხვა შეუძლებელია. ამ ჯგუფს ეკუთვნიან: სამკურნალო დაწესებულებათა გამგეები, ამ დაწესებულებების დირექტორები და მათი თანაშემწეები, სამეურნეო ნაწილების გამგეები, სანიტარული ექიმები და სხვ. და აგრეთვე საუბნო კვალიფიციური საექიმო პერსონალი, რომელთა შრომა, მუშაკების ნაკლებობის გამო, არ შეიძლება მოწესრიგებული იქნას.

დამატებითი ჯილდო წესდება ძირითადი ხელფასის 20—50 პროც-ის რაოდენობით. გარდა ამისა, აღურიცხავი შრომისათვის წესდება დამატებითი შვებულება ერთ თვემდე. (ადს).

მოლდავიის გლეხკომების ყრილობა

ბალთა, 25 იანვარი. გაიხსნა სრულიად მოლდავიის ღარიბ გლეხთა კომიტეტების ყრილობა.

ყრილობის გახსნის დროს მოლდავიის ცაკის თავმჯდომარემ, ვორონოვიჩმა განაცხადა: „მოლდავიის ღარიბ გლეხობის ყრილობა იხსნება რუმინეთის მიერ ბესარაბიის ოკუპაციის ცხრა წლისთავზე.

მრავალი თქვენთაგანი, კარგად ხედავს, თუ როგორ სჩაგრავენ ბესარაბიის მოსახლეობას რუმინელი ბოიარები, როგორ სწოვენ გლეხობას უკანასკნელ სისხლს და როგორ უსპობენ სიცოცხლეს ბესარაბიის თავისუფლების საუკეთესო მებრძოლთ“.

ყრილობამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია რუმინეთის ტერორის წინააღმდეგ ბესარაბიაში. (ადს).

სატრაქტორო თათბირი

მოსკოვი, 25 იანვარი. 24 იანვარს სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიულ კავშირთას გაიხსნა სრულიად რუსეთის სატრაქტორო თათბირი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ბოგდანოვმა გააკეთა მოხსენება ტრაქტორიზაციის პოლიტიკის შესახებ. თვითეული ტრაქტორი, მომხსენებლის სიტყვით, აერთიანებს გლეხობას; იმ დროს, როდესაც საზღვარგარეთ ტრაქტორით მხოლოდ შეძლებული მეურნეობები სარგებლობენ, ჩვენში ტრაქტორით სარგებლობს საშუალო და ღარიბი გლეხობის კოლექტივების 70 პროც. კოოპერაციამ კავშირი უნდა გაბას ახლად წარმოშობილ სატრაქტორო კოლექტივებთან და გაუწიონ მათ, უმთავრესად, ტეხნიკური დახმარება.

თათბირი გაგრძელდება რამოდენიმე დღეს. მას უნდა გადასწყვიტოს გლეხურ მეურნეობაში ტრაქტორების რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი. (ადს).

ვენერიული სნეულებით დაავადებულთა

იძულებითი შემოწმება

მოსკოვი, 25 იანვარი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა რუსეთის სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომლის თანახმად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს უფლება ეძლევათ იძულებით შეამოწმონ ის პირები, რომელთა მიმართ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ნამდვილად არიან დაავადმყოფებულნი გადამდები ვენერიული სნეულებით. ეს იძულებითი წესი გამოყენებული იქნება იმათ მიმართ, ვინც უარს განაცხადებს ნებაყოფლობით შემოწმებაზე. მკურნალობა გრძელდება იმდენხანს, სანამ ეს გადამდები სნეულება არ გადაიქცევა არა გადამდებ [illegible]. ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ და მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები. (ადს).

ახალი კანონი სწავლის ფულის გადახდის შესახებ

მოსკოვი, 25 იანვარი. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ახალი კანონი სწავლის ფულის გადახდევინების შესახებ სასწავლებლებში და აღმზრდელობით დაწესებულებებში.

ამის გამო მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბოგუსლავსკიმ განაცხადა:

„ახალი სისტემა არა მარტო ამარტივებს სწავლის ფულის გადახდევინებას სკოლებში, არამედ აწესებს მთელ რიგ შეღავათებს მშრომელთათვის, უმთავრესად სოფლის მშრომელებისათვის. გლეხთა მოსახლეობა, რომელიც არ იხდის სასოფლო - სამეურნეო გადასახადს ანდა იხდის მას 15 მანეთამდე, და აგრეთვე წითელარმიელები და მათი ოჯახები, თავიანთი შვილების სწავლის ფულის გადახდისაგან განთავისუფლებულნი არიან.

ამას გარდა, სრულიად განთავისუფლებული არიან სწავლის ფულისაგან მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ 100 მანეთამდე. ამრიგად, ახალი კანონით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის დიდი ნაწილი სრულიად განთავისუფლებულია თავიანთი შვილების სწავლის ფულის გადასახადისაგან.

რაც შეეხება მუშებს და მოსამსახურეებს და თავისუფალი პროფესიის პირებს, რომელთა თვიური ხელფასი აღემატება 100 მანეთს, მათთვის მათი შვილების სწავლის ფული შემცირებულია დაახლოვებით 50 პროც-ით. არამშრომელ ელემენტების მიმართ სწავლის ფული, ეხლანდელთან შედარებით, რამოდენიმეთ გადიდებულია. ახალი კანონით სწავლის ფულის გადახდევინება აკრძალულია პირველი საფეხურის სკოლებში და საბავშვო სახლებში, იმისდამიუხედავათ, თუ სად არის ისინი გახსნილი. ამრიგად, დაწყებითი სწავლება, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, სრულიად უფასოა.

რუსეთის მთავრობის მიერ გუშინ მიღებული კანონი პირველი ნაბიჯია ჩვენს სასწავლებლებში და აღმზრდელობით დაწესებულებებში უფასო სწავლების შემოღების გზაზე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

საარჩევნო კამპანია

ლენინაკანი, 25 იანვარი. საარჩევნო უფლება მოკლებულთა სიები უკვე მზად არის. უბნებში დაიგზავნა ახალი საარჩევნო ინსტრუქციები. შესდგა საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების თათბირი. თათბირი დეტალურად გაეცნო ახალ ინსტრუქციას.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პუნქტი

ერევანი, 25 იანვარი. სოფ. კავტარლის კოოპერატივმა „პანინანმა“ ყველაზე უფრო მიყრუებულ სოფელში ხალხატში გახსნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პუნქტი 35 კაცისათვის. (ადს).

დახმარება ლენინაკანელებს

ერევანი, 25 იანვარი. ამერიკიდან სომხეთის წითელ ჯვრის საზოგადოების სახელზე გადმოგზავნილია 10.300 დოლარი. რუმინის წითელი ჯვრის საზოგადოებისაგან მიღებულია 200 გირ. სტერლინგი. სან-ფრანცისკოში არსებული სომხების კოლონიისაგან—5.000 დოლარი, ზანგეზურის სამეულისაგან—15.000 მან., „წითელი გაზეთი“-საგან მიღებულია 4.365 მან. და წვრილი თანხები სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან. (ადს).

სას.-სამეურნეო ამხანაგობათა სოციალური შემადგენლობა

ერევანი, 25 იანვარი. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა სოციალური შემადგენლობის გამოკვლევა, რომელსაც „აიგიუხკოოპი“ ახდენდა ეჩმიაძინის მაზრაში, უკვე დამთავრდა. გამოკვლეულ იქნა 15 ამხანაგობა. გამოკვლევის წინასწარი ცნობების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებში დიდი პროცენტია საშუალო შეძლების გლეხობა. (ადს).

მუშათა კლუბის გახსნა

ლენინაკანი, 25 იანვარი. გაიხსნა მუშათა კლუბი. კლუბი დახურული იყო მიწისძვრის შემდეგ (ადს).

კომკავშირის მე-7 კონფერენცია

ლენინაკანი, 25 იანვარი. გაიხსნა ახალგ. ლენინური კომკავშირის მე-7 კონფერენცია. კონფერენციას ესწრება 300 დელეგატი. კონფერენციამ მიესალმა საკავშირო კომპარტიის ბ) ცკას მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილების გამგე ამხ. არტიუხინა (ადს).

ლენინაკანის და მისი მაზრის აღდგენა

ერევანი, 25 იანვარი. სომხეთის უმაღლესმა ეკონომიურმა თათბირმა მოიწონა ლენინაკანის და მისი მაზრის აღდგენის ხარჯთ-აღრიცხვა, 17.700.000 მან. რაოდენობით. ეს თანხა სამ ვადაში უნდა იქნას მიღებული: 1926-27 წ.—8 მილ. მან., 1927-28 წ.—6 მილ. მან. და 1928-29 წელში—3.700.000 მანეთი. (ადს),

სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილე

ერევანი, 25 იანვარი. 30 იანვარს სახელმწიფო უნივერსიტეტი დღესასწაულობს თავის ექვსი წლის არსებობის იუბილეს. იუბილეის დღეს გამოუშვებენ პედაგოგიურ და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთ.

კირის ქარხანა

ერევანი. 25 იანვარი. ერევნის კომუნალური ტრესტი შეუდგა კირის ქარხნის აგებას, რომელიც წელიწადში დაამზადებს 300.000 ფ. კირს. (ადს).

უმუშევართა რიცხვი ერევანში

ერევანი, 25 იანვარი. 1-ლ იანვრამდე ერევანში შრომის ბირჟის მიერ აღრიცხულია 6.445 უმუშევარი, მათგან 2.203 ქალია. (ადს).

სასოფლო მეურნეობის მექანიზაცია

ერევანი, 24 იანვარი. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან მოწყობილია სასოფლო მეურნეობის სამექანიზაციო განყოფილება. მუშაობის ხელმძღვანელად განყოფილებამ მოიწვია გამოცდილი სპეციალისტი. დღევანდლამდე განყოფილებამ გამოიკვლია ნორ-ბაიაზეთის მაზრა. გამოკვლევის შემდეგ განყოფილებამ დასახა მთელი რიგი ზომები ტრაქტორების შემკეთებელ სახელოსნოებისა და გამქირავებელ პუნქტებში შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

გამოკვლევამდე ოთხი შემკეთებელი სახელოსნო და სამი სახელოსნო იღებდა ზარალს. ტრაქტორებიც იძლეოდენ ზარალს. ოთხ გამქირავებელ პუნქტს ნორ-ბაიაზეთისა, მარტუნოვანსა, ელენოვკასა და ბასარგეჩარში აქვთ ძველი და გაცვეთილი სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანები. ახალ სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაძენად გამქირავებელ პუნქტებს მიეცათ 3.000 მანეთი. (ადს).

პარტიული ცხოვრება

როგორ ჩატარდა პარტაღწერა

თბილისის ორგანიზაციაში

ქალაქის უჯრედების უმეტეს ნაწილში პარტაღწერა 19 იანვარს დამთავრდა. 20 იანვრისათვის დარჩენ მხოლოდ დიდი კოლექტივები და 3—4 პატარა უჯრედი. სადაც რეგისტრატორებმა ვადაზე ვერ დაამთავრეს აღწერა. 21, 22 და 23 იანვარს რაიკომებში სწარმოებდა გაძლიერებული მუშაობა მასალების შემოწმებისა და მიღებისათვის; აგრეთვე ხდებოდა დამატებით აღწერა იმ წევრთა. რომელნიც თავის დროზე ვერ გატარდენ თავიანთ უჯრედებში. ამჟამად მთელი აღწერის მასალა გადაეცა რაიკომებს, სადაც ამ უახლოეს დღეებშივე აღწერის ბლანკების მიხედვით დაიწყება ახალი საარიცხვო ბარათების შევსება; ამ საარიცხვო ბარათების მიხედვით მოხდება კომუნისტების შემდგომი აღრიცხვა როგორც რაიკომებში, ისე უჯრედებში. ამავე დროს რაიკომებში ხდება იმ კომუნისტების აღრიცხვა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ გატარდენ თავიანთ უჯრედებში. თებერვლის პირველ რიცხვებში მთელი აღწერის მასალა გაიგზავნება ცენტრალურ საღწერო კომისიაში და იქიდან მოსკოვში.

აღწერის მასალების მიხედვით, თბილისის ქალაქის ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა რაოდენობა 1927 წ. 10 იანვრისათვის იყო 9.127, აქედან პარტიის წევრი—6.479, კანდიდატი—2.648 აღწერაში არ გატარებულა 600-მდე კომუნისტი, ე. ი. 6—7%; ეს შედეგი საკმაოდ დამაკმაყოფილებლად უნდა ვსცნოთ, განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ აღწერის გარეშე დარჩენილ კომუნისტების ნახევარ ნაწილს (300 კომუნისტი) აღწერა არ გაუვლია ავადმყოფობისა, შვებულებისა, მივლინებისა და სხ. პატივსადებ მიზეზთა გამო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ამხანაგები პირველ შემთხვევისთანვე გაივლიან აღწერაში. ჩვენ უნდა ველოდეთ, რომ არა საპატიო მიზეზთა გამო აღწერის გარეშე დარჩენილთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდება. ამგვარად, ჩვენ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ იმ მომენტისათვის, როცა მასალა გაიგზავნება ცენტრალურ საღწერო კომისიაში, აღწერაში მოჰყვება ქალაქის თითქმის ყველა კომუნისტები.

სოფლის კომუნისტების აღწერის შესახებ ცნობები გვაქვს მხოლოდ სამი თემკომიდან. აღწერის გარეშე დარჩენილი კომუნისტების რიცხვი აქაც მცირეა იმ მუშაობის მეოხებით, რომელიც წინასწარ ჩატარდა აღწერის დაწყებამდე.

ორგანიზატორი.

ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში

ა.-კ. 26 სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტში პარტ-აღწერისათვის წინასწარი სამზადისი დაიწყო 1926 წლის ნოემბრიდან: ჩატარდა მოხსენება პარტ-აღწერის მნიშვნელობაზე გამოკრულ იქნა ბლანკი ფორმა „ა“, რათა პარტიის წევრ - კანდიდატები წინასწარ გაცნობოდენ იქ აღნიშნულ კითხვებს, რომ აღწერისათვის მიეწოდებიათ სწორი პასუხები და ის წარმატებით ჩატარებული ყოფილიყო; გამოყოფილ იქნენ რეგისტრატორები — ამავე უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც წინასწარ დაურიგდათ ინსტრუქციები და აღწერის ყველა მასალები— აღწერას ხელმძღვანელობდა უჯრედის ბიურო და გამოყოფილი კომისია.

ასეთი მომზადების შემდეგ, რადგანაც სტუდენტები მიდიოდენ თვიანახევრის შვებულებით —23 დეკემბრიდან 1927 წლის 6 თებერვლამდე, ამიტომ აღწერა ჩატარდა 1926 წლის დეკემბრის თვის მეორე ნახევარში — საზამთრო არდადეგებში სტ. დათხოვნამდე; დანიშნულ დღეს ყველა გამოცხადდენ საღწერო პუნქტში. აღწერა ყოველ მხრივ უნაკლოდ იქნა ჩატარებული.

ამავე უნივერსიტეტის კოოპერატიული კურსების უჯრედში აღწერა ჩატარდა 1927 წლის 20 იანვარს. რეგისტრატორი რაიკომიდან იყო გამოგზავნილი. აღწერის გარეშე არც ერთი პარტწევრ - კანდიდატი არ დარჩენილა.

მ. ბ—ა.

ფოთში

პარტ-აღწერას ფოთის ორგანიზაცია საკმარისად მომზადებული შეხვდა. ორგანიზაცია დაყოფილი იყო 6 აღსაწერ უბნად. აღწერაში უნდა გატარებულიყო 680-მდე ამხ., რაც უნდა აეწერა 5 რეგისტრატორს.

იანვრის 10-ს დილით დაიწყო აღწერა. წევრები დიდის ინტერესით მოდიოდენ, ზოგ მათგანს დამზადებული მოჰქონდა პასუხები ყველა კითხვებზე. დანარჩენებიც მოფიქრებულს და სწორ პასუხს იძლეოდენ.

იყო ზოგიერთი ხელის შემშლელი პირობები, ასე მაგ.: საანგარიშო წიგნაკები და სამხედრო აღრიცხვის ბარათები ყველას არ ჰქონდა, რაც აძნელებდა სამუშაო დღეების გამოანგარიშებას, ხელფასის სწორ რაოდენობის გამორკვევას და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების გაშუქებას.

თემებში აღწერა ჩატარდა 16 იანვარს; აღწერაში გაიარა ყველა ამხანაგმა.

ქალაქის ორგანიზაციაში აღწერა დამთავრდა 17 იანვარს.

სულ აღწერაში გატარდა ამ რიცხვისათვის 608 ამხ., მათგან 40 ქალი და 113 კანდიდატი.

1 უჯრედი, სახელდობრ პარტსკოლის, აღწერაში არ გატარებულა და ვერც გატარდება 1 თებერვლამდე (სწავლის განახლებამდე).

დანარჩენ ამხანაგებისაგან ნახევარზე მეტმა უკვე გაიარა დამატებით აღწერაში. დანარჩენებიც (ავადმყოფები, მივლინებულნი და სხვა) გატარდებიან 1 თებერვლისათვის.

ამრიგად აღწერას არ ჩამორჩება არც ერთი ამხანაგი, რომელსაც კი არ გაუწყვეტია პარტიასთან კავშირი.

აღწერის მასალები დამუშავებული და გადაგზავნილ იქნება ცენტრში 22 იანვარს.

აღწერის ასეთი ნაყოფიერი ჩატარება უნდა მიეწეროს სერიოზულ მოპყრობას საკითხისადმი, როგორც უჯრედების მდივნების და რეგისტრატორების, ისე ცალკე წევრების და კერძოდ აღწერის ორგანიზატორის მხრივ.

მეორე ქართული დივიზიის პარტკონფერენცია

რეზოლიუცია

მიღებული პარტკონფერენციის მიერ ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გამო

„მოისმინა რა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება შინა-პარტიულ მდგომარეობაზე, კონფერენცია აღნიშნავს შემდეგს: მე-14 პარტყრილობის მიერ დასახულ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ განვითარების გენერალურ ხაზს მივყევართ სწორი ლენინური გზით. უკანასკნელი წლების ჩვენი სამეურნეო ცხოვრების დიადი მიღწევები ცხადჰყოფენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ შეგვიძლია სოციალისტური აღმშენებლობის გზით მივაღწიოთ სრულ გამარჯვებას.

მე-15 პარტკონფერენციის წინ პარტია მოწამე იყო ოპოზიციონური ბლოკის გამოსვლის.

ოპოზიცია აღიარებდა სოციალიზმის აღმშენებლობის შეუძლებლობას და პარტიის რწმენა ჩვენ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა მან მონათლა „ეროვნულ რეფორმიზმათ“ და „ეროვნულ თვით-შეზღუდვათ“. ამით ოპოზიციონურმა ბლოკმა ხელი შეუწყო საკავშირო რესპუბლიკებისადმი მტრულად განწყობილ ძალების გამოცოცხლებას.

იმედ დაკარგული ოპოზიცია უკარნახებდა პარტიას დასდგომოდა მუშურ-გლეხურ ბლოკის ნგრევის გზას, რაც, უეჭველია, მოასწავებს ოქტომბრის მონაპოვართა დაკარგვას.

ოპოზიციონური ბლოკის გამოსვლა ჩვენ მიგვაჩნია პანიკას მიცემულ, გონება - დაკარგულ ადამიანების გამოსვლათ, რომელნიც სიტყვასა და მოქმედებაში არ აძლევენ ანგარიშს თავის თავს.

ჩვენი პარტია არ შეუშინდება ამ მცირე ჯგუფის მერყეობას და განაგრძობს წინ სვლას ლენინური გზით.

საბჭოთა რესპუბლიკების გაძლიერება არ აძლევს მოსვენებას ჩვენ მოწინააღმდეგე კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომელნიც მზად არიან მიმართონ ჩვენ წინააღმდეგ თავისი ძალები.

ოპოზიციონური ბლოკის გამოსვლამ და ბურჟუაზიული სახელმწიფოების აქტიურმა მზადებამ ჩვენ წინააღმდეგ, გამოაღვიძა ჩვენი ქვეყნის მენშევიკები, რომელთაც დაკარგული ბატონობის დაბრუნების იმედი კვლავ, აღეძრათ.

ჩვენ რესპუბლიკებს არა სურთ ომი, მაგრამ, თუ კი ჩვენ წინააღმდეგ გაილაშქრებს ვინმე, ჩვენი წითელი არმია მშრომელ ფართე მასებთან ერთად შეასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა რესპუბლიკები მტკიცედ მიდიან წინ სოციალიზმისაკენ და მისივე ხელმძღვანელობით საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასი და გლეხობა მსოფლიო მუშათა კლასთან და აღმოსავლეთის დამონავებულ ერებთან ერთად შესძლებენ უზრუნველჰყონ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება“.

მეორე სხდომა

კონფერენციის მეორე სხდომა გაიხსნა 25 იანვარს დილის 10 საათზე.

მოსმენილ იქნა კავკ. წით.-დროშოვან არმიის პოლიტიკურ სამმართველოს წარმომადგენელის ამხ. ბოგდანოვის მოხსენება არმიის პოლიტ-სამმართველოს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო იმ მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა პოლიტ-სამმართველო ერთი წლის განმავლობაში წითელარმიელთა აღზრდის და მომზადების საქმეში. აგრეთვე შეეხო იმ ხელმძღვანელობას, რომელსაც პოლიტ-სამმართველო უწევდა ეროვნულ დივიზიებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წითელარმიელთა აღზრდის და მომზადების საქმეში არმიას აქვს დიდი მიღწევები. გაზრდილია წითელარმიელთა აქტივობა, იზრდება პარტიის გავლენა უპარტიო მასაზე.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ეროვნულ დივიზიებს. არის აგრეთვე შესამჩნევი მიღწევები მეთაურთა შემადგენლობის მომზადების საქმეში.

მოხსენების [illegible] მათი, რომლის[illegible] ბა დელეგატების [illegible].

მესამე სხდომა

კონფერენციის მესამე სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ბოგდანოვის მოხსენების ირგვლივ.

ამავე სხდომაზე კონფერენციას ესალმება არმიის პოლიტ-სამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი. თავის მოკლე სიტყვაში იგი უსურვებს კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას და მოუწოდებს დივიზიის პარტ-შემადგენლობას მიაქციოს უაღრესი ყურადღება თვითგანვითარების საქმეს, ვინაიდან წითელ ჯარში მოდის ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც მომზადების მხრივ მაღლა სდგას, ვიდრე გასული წლის არმიელები. ამხ. რატნეკი აღნიშნავს აგრეთვე წითელარმიელთა მასის შესწავლის აუცილებლობას. ამით, ამბობს ამხ. რატნეკი, პარტხელმძღვანელობას ექნება ხელში მძლავრი იარაღი, რომლითაც შესაძლებელი იქნება სწავლების და აღზრდის საქმის საღ ნიადაგზე დაყენება.

ე.

აზერბაიჯანი

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კონფერენცია

ბაქო, 25 იანვარი. სრ. აზერბაიჯანის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კონფერენციის 24 იანვრის დილის სხდომაზე გაიხსნა გაცხოველებული კამათი ემინ-ბეისა და მარგოლისის მოხსენებათა გარშემო. კამათის შემდეგ მოსმენილ იქნა მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები.

კონფერენციის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სექციის ცენტრალურ ბიუროს წევრის ამხ. ნიკოლაევის მოხსენება, რის შემდეგაც დაიწყო კამათი (ადს).

საბჭოების გადარჩევა

შემახა, 25 იანვარი. 20 იანვრიდან დაიწყო საბჭოების გადარჩევა.

უპარტიო გლეხების კონფერენცია

შემახა, 25 იანვარი. დამთავრდა უპარტიო გლეხების სამაზრო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 50 კაცი. კონფერენციამ აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და ზოგიერთი ნაკლულევანებანი.

ბაქოს ბაზრობა

ბაქო, 25 იანვარი. ბაქოს ბაზრობაზე მონაწილეობის მიღების მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდება. „ფანერტრესტი“ ბაზრობაზე გამოიტანს 15 ვაგონ პროდუქციას. ლენინგრადის „დრევტრესტი“ ბაზრობაზე გამოდის „ბაქსტროი“-ს წარმომადგენლობის საშუალებით. ლენინგრადის გემოკვების ტრესტი გაყიდის გემო-კვების მრეწველობის პროდუქციას და იყიდის ნუშას და ხმელ ხილს.

ბაზრობაზე უკვე მიღებულია საქონლის პირველი პარტია. ჯერ-ჯერობით მიღებულია 16 ვაგონი საქონელი. საქონლის უმეტესობა ამჟამად გზაშია.

პარტაღწერა

ბაქო, 25 იანვარი. ბაქოს ორგანიზაციაში აღწერაში გატარდა 19.026 კაცი, აქედან პარტიის წევრებია 14.880, კანდიდატები—4.146.

კულტურის სახლი განჯაში

ამიერ-კავკასიის ცაკის უკანასკნელმა (მესამე) სესიამ დაადგინა გახსნილი იქნეს განჯაში კულტურის სახლი და მოწყობილი იქნეს საავადმყოფო ანდა სამალარიო სადგური განჯის მაზრის დაბლობ რაიონებში და ერთი კულტურული ხასიათის დაწესებულება იმავე მაზრის მთიან რაიონში.

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა დაავალოს ამიერკავკ. სახ. კომისართა საბჭოს ცხოვრებაში გაატაროს აღნიშნული დადგენილება.

ა. ლ. კომკავშირის ლენინის რაიონის მე-10 კონფერენცია

24 იანვარს, საღამოს 6 საათზე გაიხსნა საქ. ახალგ. ლენინური კომკავშირის ლენინის რაიონის მე-10 კონფერენცია.

რაიკომის პრეზიდიუმის დავალებით კონფერენცია გახსნა რაიონის მდივანმა ამხ. სილაძემ.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, ბუხარინი, ვოროშილოვი, მიხა ცხაკაია, ორახელაშვილი, ჩაპლინი, ლომინაძე და მახარაძე.

საქმიანი პრეზიდიუმის, სამდივნოს და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ახალგ. ლენინური კომკავშირის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

მომხსენებელი ამხ. პალერი აღნიშნავს კომკავშირის მუშაობის სიძნელეს მიმდინარე მომენტის პირობებში. იგი აღნიშნავს აგრეთვე, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომკავშირი იზრდებოდა და მტკიცდებოდა მუშა-ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის ხარჯზე. ახალგაზრდა გლეხთა საუკეთესო ნაწილი ჩაბმულია კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობაში. მოსწავლეებს შორისაც ძლიერდება ლტოლვა კომკავშირისაკენ.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ.

ილი.

რა გვიშლის ხელს

მრავალ მიღწევებთან ერთად ბორჩალოს ორგანიზაციას ნაკლიც აქვს. მაგრამ ამ ნაკლში ბრალი არ მიუძღვის სამაზრო კომიტეტს.

ის პირობები, რომელიც აფერხებს ჩვენს ნორმალურ მუშაობას, გამოიხატება შემდეგში:

პირველი: ეროვნებათა მრავალფეროვნება. თვითეული ქაღალდი ოთხ ენაზე უნდა იქნეს თარგმნილი, მაზრკომი ამ გარემოებას არ ტოვებს უყურადღებოთ, ყველა უჯრედებში მუშაობა არის ნაციონალურ ენაზე და მაზრკომიდან დირექტივებიც მათთვის გასაგებ ენაზე ეგზავნებათ. მეორე მუშაობის შემაფერხებელ მიზეზათ ზოგიერთ ადგილას უნდა ჩაითვალოს აქტივის სიმცირე, მესამე წ. კ. უცოდინარობა (382 წ.-კ. უცოდინარი კომკავშირელია) და ბოლოს, უჯრედების სიშორე სამაზრო ცენტრთან (გომარეთი, ირგანჩაი და სხვა).

სამაზრო კომიტეტი ღებულობს ყოველგვარ ზომებს ნაკლის გამოსასწორებლად. პირველ რიგში სცდილობს რათა ადგილებზე იქნეს დაარსებული ლიკვ-სკოლები.

უჯრედებთან ცოცხალი კავშირის დასაჭერათ სამაზრკომმა, პარტკომის დახმარებით შეიძინა სამი ცხენი და იმედია მომავალში იმ უჯრედებზე, რომელნიც დაშორებულნი არიან სამაზრო ცენტრს 70 ვერსით, უფრო გაძლიერდება სამაზრკომის ხელმძღვანელობა.

მ. კაზარიანი.

ავაგეთ სკოლა

ბორჩალოს ორგანიზაცია არ ჩამორჩება სხვა ორგანიზაციებს. კომ-კავშირის ორგანიზაციები ადგილებზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების მუშაობაში, ახალი სკოლების აგებაში, გლეხკომების მუშაობაში, გზა-ხიდების შეკეთებაში და სხვა.

რომ ამ მხრივ ნათელი წარმოდგენა გვქონდეს, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

სოფ. დუმანისს (ქართული სოფელია) დღემდი სკოლა არ ღირსებია, გლეხობა ბნელეთით იყო მოცული. ადგილობრივმა კომკავშირის უჯრედმა ეს საქმე ითავა, აიღო ხელმძღვანელობა თავის თავზე და უჯრედის მორიგ კრებაზე დასვა საკითხი სოფ. დუმანისში სკოლის აგების შესახებ. კრებაზე მოწვეული იქნა უპარტიო გლეხობაც. კომკავშირის ერთ-ერთი წევრი აკეთებს მოხსენებას ამ საკითხზე და მოუწოდებს გლეხობას ხელი მოჰკიდონ სკოლის აგების საქმეს.

მოხსენების შემდეგ გლეხებს გამოაქვთ დადგენილება სკოლის აგების შესახებ და ირჩევენ სააღმშენებლო კომისიას 5 კაცისაგან, რომელშიაც შედის თემაღმასკომის თავმჯდომარე, გლეხკომის თავმჯდომარე, ერთი გლეხი და 2 კომკავშირელი.

ასე, ამნაირად ამ სოფელში აგებული იქნა სკოლა; შემდეგ სამაზრო კომიტეტის დახმარებით გაიგზავნა მასწავლებელი და დღეს მშრომელი გლეხების შვილები სწავლობენ კიდეც.

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოფ. დუმანისში არ არის პარტიის უჯრედი და პარტიის არც ერთი წევრი და კანდიდატიც კი არ მოიპოვება. კომკავშირის უჯრედი მიუხედავად ამისა, სწორ პარტიულ ხაზს ატარებს და ამართლებს მასზე დაკისრებულ იმედებს.

ამ უჯრედის მუშაობა მართლაც რომ მისაბაძია.

იქაური.

თათბირი გრიპთან ბრძოლის შესახებ

გუშინ საღამოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შესდგა სპეციალური თათბირი გრიპთან ბრძოლის საკითხებზე. თათბირი მოწვეული იყო ჯანსახკომის სანიტ - ეპიდემიური განყოფილების ინიციატივით და მას დაესწრენ თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების, სახელმწ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორები, რკინისგზისა და სამხედრო სამკურნალო ორგანოების წარმომადგენლები და თბილისში მცხოვრები სპეციალისტი—ექიმები.

ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება

თათბირზე ვრცელი საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა სანეპიდგანყოფილების უფროსი ამხ. ნაზარეტიანი, რომელიც ეხება საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიას და აღნიშნავს, რომ ჩვენში ეპიდემიებს ყოველთვის დიდი მსხვერპლი ეწირებოდა, ვინაიდან რესპუბლიკაში არსებული სანიტარული პირობები, ხელს უწყობენ ავადმყოფობათა გავრცელებას. მაგალითად, 1918 წელს საქართველოში მძვინვარებდა ტიფისა და ისპანკის ანუ გრიპის ეპიდემია, რამაც აუარებელი სიცოცხლე შეიწირა.

ჩვენში, მომხსენებლის ცნობით, ეპიდემიების პერიოდათ უნდა ჩაითვალოს 1918—23 წლები, ხოლო შემდეგ კი ეპიდემიებს ადგილი არა ჰქონიათ 1926 წლამდე, როდესაც თავი იჩინა ყელჭირვებამ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება თვით გრიპით დაავადების ხასიათს და აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებამდე ეს ავადმყოფობა ბევრგან ითვლებოდა გამოუცნობელ სენათ და ყველგან ღებულობდა პანდემიის ხასიათს. ჩვეულებრივათ გრიპისებური ეპიდემია ვრცელდება მოსახლეობის 15—95 პროცენტზე, სიკვდილიანობა კი აღწევს 6—7 პროცენტამდე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ 1918 წელს გავრცელებული ავადმყოფობა „ისპანკა“—იგივე გრიპი იყო, მხოლოდ მაშინ ისპანკა იმიტომ დაარქვეს ამ პანდემიას, რომ იგი ევროპაში შემოიტანეს გერმანელებმა ესპანეთის სანაპიროებიდან წყალქვეშა ნავით. მეცნიერების აზრით გრიპის მსოფლიო კერა უნდა იმყოფებოდეს ჩრდილოეთ ამერიკას, რომელშიაც ოლქში და ეს ავადმყოფობა დროგამოშვებით ვრცელდება იქიდან. გრიპი ევროპაში საარაკო სისწრაფით, ვრცელდება.

მომხსენებლის აზრით თუ წინასწარ არ იქნა მიღებული ზომები გრიპის პანდემიასთან საბრძოლველათ, შესაძლებელია რომ მან მეტად საშიში ხასიათი მიიღოს.

ამის გამო სანიტარულ - ეპიდემიური განყოფილება წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს გრიპთან საბრძოლველათ შემდეგი ღონისძიებანი: მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რომ რკინისგზებზე და განსაკუთრებით მოძრავ შემადგენლობაში დაცულ იქნეს სანიტარული მოთხოვნილებანი, მოხდეს ვაგონების ხშირი დეზინფექცია; ქალაქათ და სოფლათ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხალხის საკრებ ადგილების დეზინფექციას და თუ ავათმყოფობა სადმე აღმოჩნდეს იმ რაიონში დაიხუროს ყველა საკრებულო ადგილები; გამოყენებულ იქნეს რადიო ავათმყოფობასთან ბრძოლის საქმეში; გამომუშავებულ იქნეს ცალკე გეგმა წითელ არმიაში ავათმყოფობასთან საბრძოლველათ, დაწესდეს ნავთსადგურებზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა და სხვ.

გრიპის გავრცელება საქართველოში

მეორე მოხსენებით გამოვიდა ექ. ი. ლორთქიფანიძე, რომელიც შეეხო საქართველოში გრიპის გავრცელებას.

მომხსენებელი განმარტავს, რომ გრიპის ეპიდემია ჩვენში არ არის ახალი მოვლენა. ჯერ კიდევ 1894 წელს საქართველოში ავათ გამხდარა გრიპით 2.137 კაცი. 1910 წელს კი—18.785, 1919 წელს — 19.812, 1921 წელს — 10.971, 1922 წელს — 18.515 და 1925 წელს კი—34.104 კაცი იყო აღრიცხული.

1926 წლის მარტ-დეკემბერში ნავარაუდევი ცნობებით, რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა გრიპით და სხვა ხასიათის ინფლუენციით ავათ გახდომას 2.568 შემთხვევას.

გრიპით უმთავრესად ავათ ხდება ჯანმრთელი ადამიანი 15—35 წლის ხანაკამდე. სუსტნი ამ ავათმყოფობას შედარებით ადვილათ იტანენ.

დასასრულ მომხსენებელი აკეთებს შემდეგ დასკვნას:

გრიპი საქართველოში ძველი და მასიური ავათმყოფობაა, ჩვეულებრივ გრიპით სიკვდილიანობის პროცენტი დიდი არაა.

1918—19 წლებში გრიპმა (იგივე ისპანკამ) ჩვენში დიდძალი მსხვერპლი შეიწირა და ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ევროპაში ამჟამად მძვინვარე ეპიდემია არ გადმოვიდეს ჩვენში.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ყველა დამსწრე ექიმმა - სპეციალისტებმა.

თათბირზე ექ. ლორთქიფანიძის მიერ წაკითხულ იქნა აგრეთვე მეორე მოხსენება უკანასკნელად ჩვენში გავრცელებულ პარტახტიანი ტიფის შესახებ.

საბჭოთა არჩევნები

როგორი უნდა იყოს კომკავშირის მონაწილეობა არჩევნებში

საბჭოების გადარჩევის კამპანია უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიაა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ეს კამპანია არ უნდა ჩატარდეს კომკავშირის და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის გარეშე.

კამპანიის გატარების დროს კომკავშირმა უნდა მოახდინოს მთელი თავისი ძალების მობილიზაცია და ამ მნიშვნელოვან მუშაობისაკენ უნდა მიმართოს ყველა ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის (კერძოთ კომკავშირის) ფართო და აქტიური მონაწილეობა არჩევნებში.

კომკავშირმა უნდა გაითვალისწინოს ის ნაკლულოვანებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საბჭოების წინანდელ არჩევნებში და რომელნიც უმთავრესად შემდეგში გამოიხატენ:

ა) მოსამზადებელი მუშაობის სუსტად გატარება კომკავშირში;
ბ) ცალკე მაზრების ზოგიერთ სოფლებში ადგილი ჰქონდა არანორმალურ ურთიერთობას კომკავშირსა და და გლეხობას შორის;
გ) საბჭოს წევრ კომკავშირელთა სუსტი მონაწილეობა საბჭოს და მისი სექციების მუშაობაში და აგრეთვე კომკავშირის უჯრედთა არა საკმაო ყურადღება სოფლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობისადმი;
დ) ზოგიერთ უჯრედების მიერ ისეთ კომკავშირელთა კანდიდატურის წამოყენება, რომელნიც ავტორიტეტით არ სარგებლობენ მასებს შორის;
ე) კომკავშირის ორგანიზაციების სუსტი მონაწილეობა პარტიის მუშაობაში ღარიბ გლეხობას შორის;
ვ) ზოგიერთ ადგილებში კომკავშირის უჯრედების სუსტი კავშირი პარტიასთან, კომფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის უქონლობა, რის გამო იყო შემთხვევები, როცა კომკავშირელთა მეოხებით ვერ გადიოდა პარტიული კანდიდატი:
ი) კომკავშირელთა ერთი ნაწილის მოწყვეტა სასოფლო-მეურნეობაში მუშაობისაგან და სხვ.

აი ყველა ის ნაკლულოვანებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წარსულ საარჩევნო კამპანიის დროს. კომკავშირის ორგანიზაციები დროულად უნდა შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობას და ეს კამპანია ჩატარებულ უნდა იქნეს სისტემატიურად კომკავშირის ყოველდღიურ მუშაობაში და ორგანიზაციებმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მოახდინონ ამ საკითხს არჩევნების დამთავრებამდე.

ორგანიზაციებმა უნდა დაიწყონ საბჭოს წევრ კომკავშირელთა ფართე საანგარიშო კამპანია კომკავშირის უჯრედების ღია კრებებზე, უნდა შეფასებულ იქნეს კომკავშირელთა მუშაობა საბჭოებში და მომავალ არჩევნებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს წამოყენებული იმ ამხანაგების კანდიდატურა, რომელნიც ცუდათ მუშაობენ, ან სრულიად არ მუშაობდენ საბჭოებში. არ უნდა იქნეს წამოყენებული აგრეთვე იმ კომკავშირელთა კანდიდატურაც, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში სოფლად და აგრეთვე იმათი, რომელნიც მოწყვეტილი არიან მეურნეობისაგან და უსაქმოდ დაყიალობენ. თავისთავად ცხადია ასეთ კომკავშირელთ არავითარი ავტორიტეტი არ ექნებათ ხალხში, ხოლო უავტორიტეტო კომკავშირელთა კანდიდატურის წამოყენებაზე ჩვენ გადაჭრით უარი უნდა განვაცხადოთ. ჩვენმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის ღარიბ მოსახლეობის ორგანიზაციებს. კომკავშირი უნდა ჩაებას კანდიდატურების შერჩევის საქმეში, საარჩევნო უფლება მოკლებულ პირთა სიების შედგენაში და სხვ.

მიმდინარე არჩევნებში ჩვენ უნდა შევამოწმოთ კომკავშირის თვისობრივი ზრდა. მისი მუშაობის სერიოზულობა სოფლად და ქალაქში და ის, თუ რამდენად გამოვასწორეთ ჩვენ წინანდელი შეცდომები და რას მივაღწიეთ თავის მუშაობაში.

გ. შენგელია.

რა გააკეთა საბჭომ

(სოფ. ზედა და ქვედა ნაგვაზოუ, სენაკის მაზრა)

გასაბჭოების დღიდან, სოფლები ქვედა და ზედა ნაგვაზოუ შეადგენდა ერთ ნაგვაზოუს თემს. მაგრამ წარსულ წელს მომჭირნეობის მიზნით ყოფილი ნაგვაზოუს თემი შეუერთდა მარტვილის თემს.

აღმასკომს სულ დაავიწყდა ქვედა და ზედა ნაგვაზოუ. ჩვენი სოფლების საბჭოს წევრებსაც საქმის დროს უფრო ძილი ეხერხებოდათ, ვინემ ხიფხიზლე. სოფლის საკეთილდღეო ზრუნვა როგორც ეტყობა მათ თავიანთ მოვალეობად არ მიაჩნიათ. გასულ წლებში ზოგიერთ ადგილებში მაინც შეკეთებულ იქნა გზები და იმითაც არ კმაყოფილდებოდა გლეხობა. დღეს კი როდესაც გზების შეკეთებაზე საბჭოსა და აღმასკომის ყურადღების ერთი ნატამალი არ არის მიქცეული—აღმასკომის წევრებზე უკმაყოფილება უსაზღვროა. რა დარები არ უნდა იქნეს გზების ამოშრობას ტალახიდან ვერ ელირსებით. მგზავრს უჭირს თავისუფალი მოძრაობა. ხიდებიც დალპა და დაინგრა. მის შეკეთებაზე არავინ იქნება მზრუნველი.

სოფლებში არსებობს ერთი 4 წლიანი და ერთიც 7 წლიანი შრომის სკოლა, უკანასკნელი მოუთავებელია და სწავლისათვის ნახევრად გამოუსადეგარი. განსაკუთრებით სოფ. ქვედა ნაგვაზოუში ერთი წელიწადი თავდება სკოლა გადაუხურავია და ზომები არ არის მიღებული. მოწაფეობა კი დადის კერძოდ დაქირავებულ სახლებში.

მდ. ცხენისწყლიდან ნაგვაზოუში არხის გამოყვანაზე დიდი ხანია ლაპარაკია. გვეგონა ამ საქმეს აღმასკომი დაიკისრებდა. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ტეხნიკურ სასოფლო-სამეურნეო იარაღები ხომ სანიმუშოდ არ მოგვეპოვება და ბევრიც კიდევ სხვა. ასეთია ჩვენი საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

წვერიანი.

ცოლქმრული არჩევნები დაუშვებელია

(კახეთი, სიღნ. მ.)

წასულ წელს ჩვენი თემის საბჭოში შეგვეპარნენ ქურდ-ბაცაცები და ჩვენმა საბჭომ წესიერათ ვერ იმუშავა. ეს იმის ბრალია, რომ თვით გლეხებს არავინ აცლის თავის საბჭოს წევრების არჩევას და ზოგიერთი პირები წინა დღითვე შეადგენენ სიას. ჯერ თვითონ ეწერებიან და თავიანთ ცოლებსაც თითონ ასახელებენ.

მიმდინარე არჩევნებში უნდა ჩაერიოს სოფლის ორგანიზაციები და აღარ უნდა დაუშვან ის, რაც შარშან მოხდა.

ე—ა.

საბჭოში მდიდრები სხედან

(იორა—მუღანლოს თემი, თბილ. მ.)

წასული წლის არჩევნები უკანონო იყო. საბჭოში გაიყვანეს მდიდარი თავადები და ჩაურიეს ისეთი პირები, რომელთაც სამი წლით მისჯილი აქვთ პირობითი განთავისუფლება. ამით აიხსნება, რომ ჩვენ თემში გახშირდა ქურდობა. ქურდ-ბაცაცებისგან მთელ სოფელს აღარა აქვს მოსვენება.

ასეთ გაუგებრობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. იმედია მიმდინარე არჩევნებში აღარ განმეორდება შარშანდელი მაგალითი. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ამას ალბათ მიაქცევს ყურადღებას.

ელდა.

აღმასკომის მუშაობა მოიწონეს

(1-ლი სტამბა)

გუშინ, სად. 4 საათზე შესდგა თბილისის აღმასკომის 1-ლი სტამბის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო მუშების უმრავლესობა. კრების საგანი იყო ერთი საკითხი, სახელდობრ, თბილისის საბჭოს წარსული მუშაობის შეფასება და მომავალი საბჭოების არჩევნების მიმდინარე კამპანია. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. უ. ჯაში, მდივნობდა მ. გორგიაშვილი.

მე-5 მოწვევის 1925—26 წლის საბჭოს და მისი ყველა ორგანოების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საბჭოს წევრი მუშა ამხ. ს. არეშიძე, რომელმაც დაწვრილებით და ციფრებით ხელში გააცნო კრებას ყველა ის მიღწევები, რომელიც ჩაუტარებია თბილისის საბჭოს და მის ქვემდებარე ყველა ორგანოებს გასული ორი წლის განმავლობაში. ამხ. არეშიძე მიუთითებდა დამსწრე ამხანაგებს იმაზე, თუ რა იყო ორი-სამი წლის წინად და რა გაკეთდა დღევანდლამდე. კრება დიდი ყურადღებით ისმენდა მოხსენებას და სალი კრიტიკით უდგებოდა საბჭოს მუშაობას.

მოხსენებელმა ყველაფერზე ამომწურავი პასუხი გასცა. საბჭოს წარსული მუშაობის შესახებ კრებამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

უ. ჯ—ი.

აფხაზეთი

ამჟამად მთელ აფხაზეთში მიმდინარეობს გაცხოველებული მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად. არჩევნები დაიწყება თებერვლის დამდეგს და გაგრძელდება 15 მარტამდე. ამ დროისათვის შეიკრიბება სრულიად აფხაზეთის საბჭოთა ყრილობა, რომელიც აირჩევს ცაკის ახალ შემადგენლობას.

მოსამზადებელი მუშაობის დროს მთავარი ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ საარჩევნო კამპანიაში ჩაბმული იქნენ ყველა პარტიული, პროფესიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გლეხკომები, ქალთა განყოფილებები, კოხ-სამკითხველოები და სხვ.) არჩევნების მთელი ხელმძღვანელობა წელს ევალებათ პარტუჯრედებს; პროფკავშირებს კი დავალებული აქვთ თავიანთ კრებებზე ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი კამპანია საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ. ამჟამად დაწესებულებათა პროფაქტივები მონაწილეობენ საარჩევნო უბნების ქსელის დამუშავებაში, „ნაკაზების“ შედგენაში, საბჭოების დეპუტატების კანდიდატების გამოძებნა-შერჩევაში და სხვა. მოსამზადებელ მუშაობაში ჩაბმული არიან აგრეთვე კლუბები და კედლის გაზეთები.

ცაკის ცირკულიარი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამუშავებს ცაკის ცირკულიარის პროექტს; პროექტის მიხედვით საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმები უნდა შედიოდნენ სათანადო სამაზრო აღმასკომების შემადგენლობაში, ხოლო საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს ამავე დროს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე. ამავე ცირკულიარის თანახმად სამაზრო თემ-საბჭოს თავმჯდომარეთ უნდა ირჩეოდეს მაზრაღმასკომის თავმჯდომარე.

გლეხკომები და არჩევნები

გლეხკომების ცენტრალურმა კომიტეტმა მისწერა ყველა სამაზრო გლეხკომებს მიიღონ ენერგიული მონაწილეობა საბჭოთა არჩევნების ჩასატარებელ წინასწარ სამზადისში.

სამაზრო გლეხკომებს ევალებათ ჩაატარონ მაზრის ფარგლებში გლეხკომების სათემო ყრილობები, სადაც გლეხებს უნდა განუმარტონ საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობა და დაასახელებინონ საბჭოებში გასაყვანი კანდიდატები ღარიბ და საშუალო გლეხობიდან.

აღნიშნული ცირკულიარის თანახმად გლეხკომებში არჩევნების გამო, სააგიტაციო კამპანია დაიწყებოდა 25 იანვრიდან.

აჭარისტანი

აჭარისტანში არჩევნები დაიწყება 10 თებერვალს და გაგრძელდება 15 მარტამდე. 18 მარტს მოწვეულ იქნება სრულიად აჭარისტანის საბჭოთა ყრილობა.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა არჩევნებისათვის, რომელიც 1-ლ იანვრიდან დაიწყო, ამჟამად თითქმის მოთავებულია. შედგენილია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე და არმქონე პირთა სიები. წინასწარი ცნობებით არჩევის უფლების მქონე მოქალაქეთა რიცხვი სოფლებში შეადგენს 42 ათასს, ხოლო ბათომში 18 ათასს.

ცენტრიდან დაგზავნილი ინსტრუქციები ადგილებს უკვე დამუშავებული აქვთ ადგილობრივი პირობებთან შეფარდებით. ამჟამად მიმდინარეობს მთავრობის მოქმედების შესახებ ანგარიშის ჩაბარების კამპანია, რომლის დროსაც ამრჩევლები ეცნობიან საბჭოთა ორგანოების საქმიანობას საანგარიშო პერიოდში.

წლევანდელ არჩევნებში აჭარისტანისთვის ახალი ის არის, რომ წელს სავსებით უქმდება სასოფლო საბჭოები, რომელთა ფუნქციები გადადის სათემო აღმასკომებზე. სასოფლო საბჭოების ნაცვლად არჩეულ იქნება სათემო საბჭოები, რომელშიდაც ყოველ ორმოცდაათ მოქალაქეს ეყოლება თავისი წარმომადგენელი.

დუშეთი

დუშეთის მაზრაში ყველგან მოწყობილია სათემო საარჩევნო კომისიები. შედგენილია ამომრჩეველთა სიები. გამოქვეყნებულია საარჩევნო უფლება მოკლებულთა სიები. ამ ჟამად მიმდინარეობს თემსაბჭოების საანგარიშო კამპანია. საარჩევნო უბნების რაოდენობა უდრის 143-ს.

გუშინ დაიწყო საბჭოთა არჩევნები.

გორი

გორის მაზრაში ჩატარდა ღარიბი გლეხების კრებები საშუალო გლეხების აქტივის თანდასწრებით.

გორის მაზრაში მოეწყო 473 საარჩევნო უბანი; წინედ კი იყო 424.

ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლება მოკლებულთა სიები უკვე შედგენილი და გამოქვეყნებულია.

საინსტრუქციო თათბირებზე საარჩევნო კომისიების მდივნები ეცნობოდენ არჩევნების სტატისტიკური აღრიცხვის წესებს.

თემებთან მიმაგრებულია პასუხისმგებელი ამხანაგები მუშაობის ხელმძღვანელობის გასაწევად.

შორაპნის მაზრა

სამაზრო საარჩევნო კომისიამ თემებს გაუგზავნა ცირკულიარი; ცირკულიარი ითვალისწინებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს თემებში საბჭოთა არჩევნების დაწყებამდე.

ცირკულიარი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ღარიბთა გლეხების კრებების ორგანიზაციულად ჩატარებას და საარჩევნო სიების სწორად შედგენის საჭიროებას.

ცენტრ. საარჩევნო კომისიაში

თელავის მაზრა

წინასწარი საარჩევნო კამპანია უკვე დასრულდა.

არჩევნები იწყება 27 იანვარს—შაშიანის თემიდან.

30 იანვარს აკურას თემში მოწვეულია საარჩევნო კრება.

2 თებერვალს, საბჭოს არჩევნები შესდგება წინანდალში.

სამაზრო საარჩევნო კომისიები

ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ გადასინჯა სამაზრო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა.

გამოირკვა, რომ ზოგიერთი მაზრაღმასკომების პრეზიდიუმების მიერ საარჩევნო ინსტრუქცია დარღვეულია. საარჩევნო კომისიების შედგენის დროს. მაგ., ახალქალაქის მაზრაში ნაცვლად გლეხკომის მეორე წარმომადგენლისა საარჩევნო კომისიაში შეყვანილია ხელოსანთა წარმომადგენელი, ქუთაისის სამაზრო საარჩევნო კომისიაში არაა შეყვანილი საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი და სამაზრო გლეხკომის მეორე წარმომადგენელი; ბორჩალოს სამაზრო საარჩევნო კომისიაში გლეხკომის წარმომადგენლის ნაცვლად შეუყვანიათ სახფინგანის წარმომადგენელი.

ამის გამო ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა მაზრაღმასკომებს გამოასწორონ დაშვებული შეცდომები.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

დანიშვნები

საქ. ცაკ-ის პრეზიდიუმმა იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმით დაამტკიცა წევრებათ: საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **სტანსკი** და კავკასიის წითელ დროშიან არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე ამხ. **სოკოლოვსკი.**

საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს პროკურორის თანამდებობაზე დამტკიცებულია ამხ. **მიხეილ არქიპის ძე სტეპანოვი.**

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრი ამხ. **ნოე ჯინჭარაძე** განთავისუფლებულია თანამდებობიდან. მის თანამდებობაზე დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრი ამხ. **არტემ ბარამიძე.**

საარჩევნო ნორმები

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქალ. თბილისისათვის 1927 წლის არჩევნების კამპანიის ჩატარების დროს შემდეგი საარჩევნო ნორმები:

35-200 მუშა—ამომრჩეველი ირჩევს ერთ დეპუტატს; 200 მოსამსახურე—ამომრჩეველი ირჩევს ერთ დეპუტატს; 200 არა პროფესიონალურ კავშირის წევრები, რომელნიც გამოცხადდებიან საარჩევნო კრებაზე, აირჩევენ ერთ დეპუტატს.

ქალ. თბილისში, მუშათა საარჩევნო კრებას მიეცემა უფლება აირჩიოს დამატებით ერთი დეპუტატი იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა რიცხვი უდრის ან აღემატება 35.

მიწა გლეხებს

ხუთი წლის შემდეგ გვექნება 200.000 დესეტინა თავისუფალი მიწა

სამელიორაციო 5-წლიანი გეგმის შესრულების შემდეგ ამიერ - კავკასიაში დარჩება 200.000-მდე დესეტინა თავისუფალი მიწა, რომელზედაც შესაძლებელი იქნება დასახლება უმიწა-წყლო და მცირე მიწის მქონე გლეხობის. ცალკე რესპუბლიკებში სამელიორაციო მუშაობის დასრულების შემდეგ თავისუფალი მიწა დარჩება: საქართველოში — 59.000 დესეტინა, აზერბეიჯანში — 105.000 დესეტინა, სომხეთში — 35.000 დესეტინა. ამას გარდა ამიერ - კავკასიაში მიწადმოწყობის დამთავრების შემდეგ დარჩება თავისუფალი მიწები: საქართველოში: 28.000 დეს., სომხეთში — 21.000 დეს., ხოლო აზერბეიჯანის შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობები არ არის. მუღანლოს ველის მორწყვის შემდეგ მივიღებთ სამოსახლოდ გამოსადეგ 30.000 დესეტინა მიწას.

ყველა ამ თავისუფალ მიწებზე დასახლებულნი იქნებიან ის გლეხები, რომელთაც ან სრულებით არა აქვთ მიწა, ან განიცდიან მიწის სივიწროვეს. გადასახლება იქნება ნებაყოფლობითი და გლეხებს შეუძლიათ აირჩიონ სამოსახლოდ თავისუფალი მიწების ესა თუ ის რაიონი.

მე-2 საგლეხო 12% სესხი

მე2 საგლეხო მომგებიანი სესხი

მეორე საგლეხო სესხის გათამაშება (ტირაჟი) დაიწყო ა. წ. 20 იანვარს, მოსკოვის გუბერნიის მაზრებში. ტირაჟი გაგრძელდება 10 დღეს—გასტანს 30 იანვრამდე. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს აღნიშნული სესხის ათივე სერია. სულ იქნება გათამაშებული 32810 მოგება საერთო ჯამით. 1.250.000 მანეთის. უმცირესი მოგებაა 25 მანეთი, უდიდესი კი—5.000 მან. ასეთი მოგება შეიძლება მიიღოს 5 მანეთიანმა ობლიგაციამ. შეიძლება ვინმეს ქონდეს ობლიგაცია სადმე დაგირავებული ბანკში, საკრედიტო დაწესებულებაში და ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. თუ გირაოს შეტანის ვადა არ გასულა და შემთხვევით ასეთ ობლიგაციას შეხვდა მოგება, მის პატრონს შეუძლია მიიღოს მოგება. მოგება შეიძლება შეხვდეთ იმ პირთ, რომელთაც მხოლოდ დაზღვეული აქვთ ობლიგაციები (1 მანეთი), მაგ. სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებში. ობლიგაციის დაზღვების დღიდან მთელი მისი სარგებელი და გათამაშების დროს შეხვედრილი მოგება სავსებით ეკუთვნის ობლიგაციის მყიდველს.

ამ დიდ შეღავათს აძლევს სახელმწიფო მშრომელ ხალხს, რომელთაც არ შეუძლიან შეიძინონ ობლიგაციები ერთდროულად. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ამ სესხის არც ერთი ბილეთი არ კრება და არ კარგავს პირვანდელ ღირებას. პირიქით მოგებული ბილეთები იღებენ მონაწილეობას შემდეგ გათამაშებაშიც და შეუძლიან მოიგონ კიდევ რამდენჯერმე.

ყოველივე ცნობები მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციებზე, როგორც მოგების (თუ რომელ ბილეთს ერგო მოგება), ისე სხვა რაიმე კითხვების შესახებაც მსურველს შეუძლია მიიღოს ყველა სამფინგანებში, თემ-აღმასკომებში, საკრედიტო დაწესებულებებში, ფოსტა - ტელეგრაფის განყოფილებებში და შემნახველ სალაროებში, რომელნიც ვალდებული არიან მსურველს დაუყოვნებლივ მისცენ ასეთი ცნობები.

მზადება

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის ჩასატარებლად

ამიერ-კავკასიის ცაკმა გამოყო კომისია ამხ. მიხა ცხაკაიას (თავმჯდომარე), ლისოვსკის (თავმჯდომარის მოადგილე), ქართველიშვილის, კასიანის, იაკუბოვის, შახსუვაროვის, კარაევის, გუსეინოვის ბექზადიანის, ლევანდოვსკის, რუბენის, სუფაროვის, შაჰურდოვის, ს. შავერდოვის, რახმანოვის, ბუკრეევის და პირაევის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს იგი ა. კ. ცაკის პრეზიდიუმს.

ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომებს წინადადება მიეცა გამოყონ დღესასწაულის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისიები.

ჯარიმებიდან

შემოსულ თანხების განაწილება

ამიერ-კავკასიის ცაკმა დაადგინა იმ ჯარიმიდან, რომელიც დადებული იქნება სასამართლოს დადგენილებით და ადმინისტრატიული წესით არაპირდაპირ გადასახადების შესახებ გამოცემულ დადგენილებათა დამრღვევებზე (ეს დადგენილებები ეხება სპირტის სასმელების და სპირტ-ნარევ ნივთიერებათა უკანონო დამზადებას, შენახვას და გასაღებას), 50 პროც. გადაეცემა აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივ თანხებში, 50 პროც. კი მიეცემა იმათ, ვინც აღმოაჩინეს ან დაიჭირეს ასეთ სასმელებს.

იმ თანხიდან კი, რომლებიც მიღებული იქნება ასეთი სასმელების გამო ჩამორთმეულ საგნების გაყიდვიდან, 25 პროც. გადადის ხაზინის განკარგულებაში, 75 პროც. კი ეძლევა ასეთი სასმელების აღმომჩენთ და დამჭერთ.

პარტცხოვრება.

ტრაქტორები

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტს ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში მოწყობილი ჰქონდა სატრაქტორო ბაზა, სადაც მუშაობდა 70 ტრაქტორი. ტრაქტორები სამსახურს უწევდენ იმ გლეხებს, რომელთაც არ ყავდათ მუშა საქონლის საჭირო რაოდენობა, რომ მოეხნათ მიწები ბამბის დასათესავად. მებამბეობის რაიონებში საბამბო კომიტეტს მოწყობილი ჰქონდა აგრეთვე სარემონტო სახელოსნოები, სადაც სწორდებოდა ტრაქტორები და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები შეკეთდა.

ამჟამად საბამბო კომიტეტმა დაადგინა გაუქმოს სატრაქტორო ბაზა და ყველა ტრაქტორები ხელშეკრულებით ჩააბაროს სათანადო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრს; ნაწილი ტრაქტორებისა უკვე გადაეცა აზერბეიჯანის კოოპერაციის ცენტრს—„კვიბირლიგი“-ს. ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს „აიგიუხკოოპთან“ და „სოფლის კავშირთან“.

ეკონომიურ საბჭოში

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სახალხო მეურნეობის კონიუნქტურული მიმოხილვა.

მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით საბჭომ საჭიროდ სცნო შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

1. წინადადება მიეცეს სსსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს გამოარკვიონ ხანგრძლივი მშრალი ამინდების გამო დაუთესავად დარჩენილი ნახნავი მიწების სივრცე და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს სამი კვირის განმავლობაში.
2. წინადადება მიეცეს შინა-ვაჭრობის კომისარიატს შეისწავლოს ხილის დამზადების საკითხი და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს.
3. რადგანაც სამრეწველო საგნების შემოზიდვის გეგმის შეუსრულებლობას სისტემატიური ხასიათი აქვს განმეორებით მიეცეს წინადადება შინა-ვაჭრობის კომისარიატს მიიღოს შესაფერი ზომები, რათა ხსენებული საგნების შემოზიდვის გეგმა სათანადოთ სრულდებოდეს.

გადასახადები

გასული წლის მეორე ნახევარში საქართველოში, აფხაზეთის გარდა, ძირითადი საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილი იყო 48.388 გადამხდელი (პირველ ნახევარ წელში კი 46.905).

გადამხდელთა ამ რაოდენობიდან 17.034 მოდის მუშა - მოსამსახურეებზე (3.695 გადამხდელით მეტი, ვიდრე წინა ნახევარ წელში), 13.652—ხელოსნებზე, შინამრეწველებზე და თავისუფალი პროფესიის პირებზე და 17.702 — ვაჭრებზე და მრეწველებზე.

სულ საკლასო გადასახადი გამოანგარიშებული იყო 485.544 მანეთის რაოდენობით; აქედან 298.124 მანეთი მოდის ვაჭრებზე და მრეწველებზე, 65.184 მანეთი — ხელოსნებზე და თავისუფალი პროფესიის პირებზე და 122.236 მანეთი — მუშა მოსამსახურეებზე.

გადასახადის რაოდენობა პირველ ნახევარ წელთან შედარებით გაიზარდა 290.000 მანეთით.

საშემოსავლო გადასახადის მეორე სახეა პროგრესიული გადასახადი, რომლითაც დაბეგრილი იყო 11.521 კაცი; აქედან 9.085 ვაჭრები და მრეწველები, 2.113 ხელოსნები და თავისუფალი პროფესიის პირები და 323—მუშა - მოსამსახურეები.

აღრიცხული გადასახადის რაოდენობა უდრის 631.158 მანეთს; აქედან — 566.260 მანეთი მოდის ვაჭრებზე და მრეწველებზე. 43.032 მანეთი ხელოსნებზე და თავისუფალი პროფესიის პირებზე და 21.866 მანეთი მუშა - მოსამსახურეებზე.

დაბეგვრის უმთავრესი სიმძიმე ვრცელდება არა მშრომელ ელემენტებზე.

მწერლობა და ცხოვრება

კ. კაპანელი: „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუცია დღემდე საფუძვლიანად არ არის შესწავლილი; არ არის გამორკვეული ის მთავარი ეტაპებიც, რომელნიც განვლო საზოგადოებრივმა აზროვნებამ თავისი ჩამოყალიბების დღიდანვე. მე-19-ე საუკუნე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებისა და რენესანსის ეპოქად უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივი ცხოვრება თავის ნორმალურ კალაპოტში დალაგდა და სოციალური ცხოვრების დიფერენციაცია საგრძნობ სახეებში ჩამოყალიბდა. ამ გარემოებამ გამოიწვია აზროვნების დიფერენციაციაც, ჩვენი ცხოვრების საზოგადოებრივ ფონზე აღმოცენებულ სოციალურ კლასების იდეოლოგიის ურთიერთისადმი დაპირისპირება. გასული საუკუნის მე-50 და მე-60 წლები არ არის მარტო ჩვენი კულტურული ცხოვრების რენესანსის გამომხატველი, იგი მასთანვე ჩვენი კულტურული ცხოვრების დიფერენციაციის გამომხატველიცაა: ჩვენი კულტურა მრავალსახიანდება, მრავალფეროვანდება ახლად აღმოცენებული სოციალ-ეკონომიურ პირობების ნიადაგზე და სწორედ ეს არის მაჩვენებელი ჩვენი წინმსვლელობისა და აყვავებისა. მე-19-ე საუკუნის მე-60-ე წლები ერთგვარი მიჯნა არის ჩვენი საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში: ამ მიჯნის გადაღმა და გადმოღმა მხარეები, მის წინ არსებული და მისი მომდევნო ცხოვრება არსებითად განსხვავდება ურთიერთისაგან, როგორც თავისი ფორმებით, ისე უმთავრესად თავისი შინაარსით. ამიტომ შესწავლა მე-19-ე საუკუნის ჩვენი ცხოვრებისა და მით უფრო საზოგადოებრივი აზროვნებისა მეტად საინტერესო და მასთანავე რთული საკითხიც არის; მიუხედავად თავისი სირთულისა იგი მაინც დაძლეულ უნდა იქნეს. ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუცია შესწავლილი და გამორკვეული უნდა იქნეს მთელი თავისი მოცულობით და შინაარსით.

უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი: ჩვენს მწერლობაში უფრო გაშუქებული და დამუშავებულია მხატვრული ლიტერატურა და მისი ევოლიუცია, ვინემ ფართოდ აღებული საზოგადოებრივი აზროვნება და მისი განვითარების მთავარი მომენტები. თუ ცალკე მწერლებზე და წვრილ მონოგრაფიებს დავუმატებთ **ალ. ხახანაშვილის** ქართულ ლიტერატურის ისტორიას რუსულად და ქართულად, პროფ. **კ. კეკელიძის** ფუნდამენტურ ორტომიან შრომას, **კ. აბაშიძის** ორტომიან ეტიუდებს და ამ ახლო ხანში გამოსულ **ვ. კოტეტიშვილის** წიგნებს, ჩვენ დავინახავთ, რომ ჩვენმა მკვლევარებმა უფრო გაამუქეს მხატვრული ლიტერატურის ისტორია, ვინემ საზოგადოებრივი აზროვნება, როგორც ასეთი. რასაკვირველია, მხატვრული ლიტერატურა ერთ-ერთი სახე ან ფორმა არის საზოგადოებრივი აზროვნებისა, მაგრამ უკანასკნელი მაინც უფრო ფართოა და პირველი მის მაგიერობას ვერ გასწევს. ჩვენი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური იდეალები, მისი ფილოსოფიური, სოციოლოგიური და ეკონომიური შეხედულებანი ისტორიულად ჯერ კიდევ შეუსწავლელია და სწორედ ამ მიმართულებით აქვს ჩვენს მკვლევარებს ფართო მოედანი სამოღვაწეოდ.

კ. კაპანელის ამ ოთხი თვის წინად გამოცემული წიგნი—„**ქართული სული ესთეტიურ სახეებში**“—ჩვენი ლიტერატურის ისტორიას ეხება. თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენ მიერ ზემოდაღნიშნულ ფაქტს, ამ წიგნის გამოცემა ზედმეტად ან მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ კ. კაპანელის შრომას, როგორც ასეთს, თავისი გამართლება აქვს იმ მხრით, რომ არც ერთი ჩვენ მიერ ზევით დასახელებული ავტორი ლიტერატურის ისტორიის განხილვის დროს არ სარგებლობს ან ვერ სარგებლობს სოციოლოგიური პრინციპით, ხოლო მხატვრული ლიტერატურის ევოლიუციის შესწავლა შესაძლებელი არის მხოლოდ და მხოლოდ ამ პრინციპის გამოყენებით. კ. კაპანელმა **სცადა** ჩვენი ლიტერატურის ისტორია სოციოლოგიური თვალსაზრისით გაეშუქებია და ეს აუცილებლად აღსანიშნავია. ამიტომ იგი ძლიერ მიუახლოვდა ქართული აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეს. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ კაპანელი თავისი სოციოლოგიური დებულებით თითქოს რამოდენიმედ უახლოვდება მარქსისტულ სოციოლოგიას. ამიტომ საჭირო არის აქ მოკლედ მაინც განვიხილოთ მისი სოციოლოგიური თვალსაზრისით.

კაპანელმა ჩვენში წამოაყენა თავისებური სოციოლოგიური დებულებანი, რომელსაც იგი **ორგანოტროპიზმს** უწოდებს. რაში მდგომარეობს ამ ორგანოტროპიზმის მთავარი შინაარსი. ავალაპარაკოთ თვით ავტორი; იგი სწერს: „მდგომარეობისა და არსის შორის არსებობს მუდმივი ურთიერთობა შემოქმედებითი ხასიათისა: მდგომარეობა მოქმედებს არსზე, არსი მოქმედებს მდგომარეობაზე. **შემოქმედებითი ურთიერთობას მდგომარეობისა და არსის შორის, რომელიც სამყაროს ყოველ კუთხეში თავისებურია, ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს**“. (იხ. „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“ გვ. 187). მეორე ადგილას: „მხოლოდ ყოველ სოციალურ ყოფაში ადამიანი ეწევა მდგომარეობას და ამ ჩვევის რეფლექსები შეადგენენ იდეოლოგიას. ამრიგად იდეოლოგია ლიტერატურით, ფილოსოფიით, მხატვრული სახეებით და მეტყველების კონსტრუქციით ყოველთვის ისტორიულია, ხოლო ისტორია შეიცავს სოციალურ ცვლილებათა სტრუქტურებს“ (გვ. 101). „ქართული მეტყველების და აზროვნების კულტურა ორგანიულად დაკავშირებულია ქართული ინდუსტრიის ვითარებასთან; ჩვენ ხშირად ვამბობთ: სული და აზრი იკუმშებიან და ფართოვდებიან იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია სინერგია სოციალურ ძალთა წყობისა, თუ რა სახისაა სტრუქტურა საზოგადოებრივი ცხოვრებისა“ (გვ. 247) „სოციალური სული ისტორიულად კლასობრივ ფორმაში სახიერდება“. „სოციალური ყოფის სტრუქტურული ცვლილებები ლიტერატურაში იძლევიან იდეათა ევოლიუციას“ (გვ. 4) ჩვენ განგებ ამოვიწერეთ ასე ვრცლად ციტატები კაპანელის წიგნიდან: ავტორს არ სწამს ერთხელ მოვლინებული და განუმეორებელი ქართული სული, რომელიც უცვლელი რჩება დროთა ვითარებაში. კაპანელის მოსაზრებებიდან სამი მთავარი მომენტი არის აღსანიშნავი: ა) იდეათა ევოლიუციას იწვევს სოციალური ყოფის სტრუქტურული ცვლილებები, ბ) მდგომარეობა მოქმედებს არსზე, არსი მოქმედებს მდგომარეობაზე, გ) სამყარო ბიოლოგიურად და სოციოლოგიურად დაკუთხულია. შემოქმედებითი ევოლიუცია მიმდინარეობს კუთხური ადგილების ჩვეული გზებით. პირველ ორ მომენტში კ. კაპანელი რამოდენიმედ განიცდის მარქსისტული სოციოლოგიის გავლენას, ხოლო მესამე მომენტში იგი გეოგრაფიულ სოციოლოგიისაკენ ხრის თავისი აზროვნების იალქანს. მაგრამ მარქსისტული და გეოგრაფიული სოციოლოგიის შეერთება იმ სახით, როგორც ეს სურს კაპანელს, ძლიერ ძნელია და ამიტომ არის, რომ მის დებულებებს არა აქვს პრინციპიალურად დამთავრებული სახე. მარქსიზმი არ უარყოფს გეოგრაფიული პირობების გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, მაგრამ ეს არის **ბუნებრივი ფარგალი, საზღვარი**, რომლის ფარგლებშიაც **გადამჭრელი და პირველი ხარისხის მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიურ ფაქტორს**. კაპიტალისტური წყობილება და ეკონომიკა ერთგვარ მისწრაფებებსა და განწყობილებებს ჰქმნის სრულიად სხვადასხვა გვარ გეოგრაფიულ პირობებში; ყოველ შემთხვევაში ეს განსხვავება ფორმალურ მხარეებშია, მსგავსება და ერთსახეობა კი შინაარსში. კაპანელს სურს ამ კუთხობრივ გეოგრაფიულ მომენტს პრინციპიალური ხასიათი მისცეს და გადამჭრელ როლში გამოიყვანოს. ეს **ძირითადი შეცდომაა** და ასეთ დებულებებს მარქსისტული სოციოლოგია არ ეთანხმება; იგი არ არის მეცნიერულად სწორი; გეოგრაფიული სოციოლოგიის მოსაზრებანი კარგა ხანია **გაირიყა** მეცნიერების სამყაროდან. ამ მხრივ კაპანელის მოსაზრება **მიუღებელია**. რაც შეეხება დანარჩენ ორ ზემოდაღნიშნულ დებულებას, აქაც ჩვენი ავტორი **მერყეობას** იჩენს და არ სურს გარკვევით დადგეს მარქსისტული სოციოლოგიის ნიადაგზე. მოკლედ მარქსიზმი ამბობს: გარკვეულ ეკონომიურ სტრუქტურის ნიადაგზე ყალიბდება **კლასიური საზოგადოება**, ხოლო ამ ეკონომიურ და სოციალურ სტრუქტურის საფუძველზე მუშავდება **იდეოლოგიური ზედნაშენი**, საზოგადოებრივი აზროვნება და სხვა. რასაკვირველია, აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ის, რომ ვითომც იდეოლოგიას თავის მხრით არავითარი გავლენა არ ჰქონდეს საზოგადოებრივ ცხოვრების ვითარებაზე. იდეოლოგია თავის მხრივ ახდენს გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, მაგრამ ამ ურთი-ერთ გავლენის პროცესში მთავარი საფუძველი—ეკონომიური სტრუქტურა. განსაზღვრული იდეოლოგია გარკვეულ ეკონომიურ-სოციალურ სტრუქტურის ნიადაგზე მუშავდება და თავის მხრით გავლენას ახდენს როდესაც ამისათვის ეკონომიურად და სოციალურად ნიადაგი არის მომზადებული. ასეთი ურთიერთული დამოკიდებულება ეკონომიკისა და იდეოლოგიის შორის, გარემოებისა და არსის შორის არ სურს დაინახოს კაპანელს: იგი „გარემოებასაც“ და „არსსაც“ თითქმის თანაბარ მნიშვნელობას აწერს: ეკონომიურ-სოციალურ მომენტს თითქმის იდეოლოგიის გვერდით აყენებს. ამ მხრივ კაპანელის დებულებები თავისებურ დუალიზმისაკენ გვემუქრება გადახრას.

ასეთი არის ავტორის პრინციპიალური საზრისი. მას აქვს თავისი პრინციპიალური ხასიათის შეცდომები. მაგრამ ავტორის „საზრისი“ აღსანიშნავი არის იმ მხრივაც, თუ მარქსიზმის **მოწინააღმდეგენი** ბოლოხანებამდის როგორ **ხდებიან იძულებულნი** ისტორიული კვლევა-ძიების დროს გამოიყენონ ამ მოძღვრების მეცნიერული დებულებანი.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ გამოიყენა ქართული ლიტერატურის თემატიური განხილვის დროს ავტორმა თავისი საზომი და რამდენად მისაღებია მისი დებულებანი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ორიგინალობას იჩენს: მისი შეფასება ცალკე მწერლებისა და მიმართულებათა მართლაც საინტერესო არის.

კაპანელის წიგნი იწყებს ქართული ლიტერატურის თემატიურ განხილვას მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. მე-19-ე საუკუნის დასაწყისი ეკონომიურად საინტერესო ეპოქაა ჩვენი ხალხის ისტორიაში მით, რომ რუსეთის ხიშტებზე დაყრდნობილმა სავაჭრო კაპიტალმა რღვევის პროცესში ჩააყენა ჩვენი ნატურალურ პატრიარქალური ცხოვრება და ამ ნიადაგზე სრულიად ახალი სოციალური ურთიერთობა შეიქმნა ჩვენში: დაიწყო დეკადანსი ფეოდალური წოდებისა, ამოძრავდა დაჩაგრული წოდება, გლეხობა, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მოქალაქე. ასეთს ეკონომიურ და სოციალურ პირობებში ვითარდებოდა ჩვენში ლიტერატურული მოღვაწეობა. ეს გარემოებანი თავის გავლენას ახდენდენ ჩვენს მწერლებზე. სამწუხაროდ ავტორი არ იძლევა შესაფერის მიმოხილვას ამ ეპოქის სოციალ-ეკონომიური წყობის დასახასიათებლად, რომ მასალები გვქონდეს იმ ეპოქაში მოღვაწე მწერლების ლიტერატურული მიმართულების ასახსნელად. მიუხედავად ამისა ავტორი მისაღებ დებულებას აყენებს, როდესაც სწერს: „რომანტიული მიმართულება ყოველთვის ჩნდება ლიტერატურაში, როდესაც ერთი წყობა სოციალურ-კულტურისა იშლება, ირღვევა და სული შერჩეული ამ წყობას, შეყვარებული იმას, რაც წარმავალია და ხრწნადი, ვერ ეგუება ახალ ბიოსფეროს, ახალ ფსიხოლოგიურ პერიოდს“. (გვ. 111). ქართული რომანტიზმი (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხ.) სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა, რასაკვირველია ამ რომანტიზმს სხვადასხვა მიმართულებანი ჰქონდა, მაგრამ მისი სოციალური საფუძველი მაინც ერთი და იმავე წყაროდან მოსჩქეფდა: ეს იყო ღრმა სოციალური კრიზისი იმ წოდებისა, რომლის წიაღიდანაც გამოვიდნენ ჩვენი რომანტიკოსები. საინტერესოდ არის დაწერილი ბარათაშვილის „კოსმიური სევდის“ განხილვა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით ავტორს მასალების დალაგებაში. ქართულ ლიტერატურის თემატიური განხილვის მეთოდით ქართულ რომანტიზმს უნდა მოჰყოლოდა გ. ერისთავის, ლ. არდაზიანის და ჭონქაძის ნაწერების განხილვა და არა ილია ჭავჭავაძის განხილვა. რატომ? იმიტომ, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ჩვენს ბრწყინვალე წოდებას ახალი მეტოქე გამოუჩნდა მოქალაქე—მევახშე ვაჭრის სახით და ეს იყო ღრმა მნიშვნელობის ეკონომიურ-სოციალურ ბრძოლის შედეგი. არ არის ავტორის დებულება მართალი თითქოს „კარაპეტები, დღიმშაპანები, მეჯლანუაშვილები მათი მემკვიდრეებით შემოდიან ჩვენს საზოგადოებაში მას შემდეგ, რაც საზოგადოებიდან თავიანთი უფლებებით და პრეტენზიებით გავიდნენ ფეოდალები“ (გვ. 7), წინააღმდეგ ეს ახალი სოციალური ფენები შემოდიან ჩვენში მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ძალაშია ძველი სოციალური არისტოკრატია და ლიტერატურის ისტორიისათვის, როგორც თეზა, საინტერესო არის ამ ორი მოწინააღმდეგე სოციალური წრის ეკონომიური ბრძოლის ასახვა. ეს მომენტი ჩვენ მოგვცა ქარ. ლიტერატურამ ზემოდაღნიშნულ ავტორების სახით, ხოლო ჩვენმა ავტორმა გაუმართლებელ მიზეზებით გვერდი აუარა მას.

დიდი ხალისით და ინტერესით იკითხება თავი ილ. ჭავჭავაძის შესახებ, შეიძლება ავტორს ზოგიერთ დებულებაში არ დაეთანხმოთ, მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს თავი მოხდენილად არის დაწერილი. სრულიად სამართლიანად სწერს კაპანელი: „ილია ჭავჭავაძის თვალწინ იშლება საქართველო, შებოჭილი ნახევრად ფეოდალური წესწყობილების პირობებით; ხოლო რეალურად ფეოდალური წესწყობილება უკვე აღარ არის აქტიური ძალა, კლასი, რომელიც წინ მიუძღოდა ქართულ კულტურას საუკუნეთა განმავლობაში, დაქვეითებულა და მხოლოდ ჭორზე ფიქრობს“ (გვ. 131). 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძე ახალი საქართველოს მამამთავარი იყო, მაგრამ ჩვენ იმაში ვერავის დავეთანხმებით, რომ ილია ეროვნული და სოციალისტური იდეების შემაერთებელი ყოფილიყოს: აღნიშნულ პერიოდში ილია ჭავჭავაძე, რუსეთის 60-იან წლების იდეებით გატაცებული, არსებითად ეროვნულ იდეას უერთდება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პრინციპებს და სწორედ ეს არის დამახასიათებელი თვისება ილიას სოციალ-პოლიტიკური აზროვნების დაახლოვებით 1877 წლამდე. შემდეგში ილია ჭავჭავაძე გადაიხარა თავადაზნაურობისაკენ და მის აზროვნებასაც რადიკალური ცვლილება დაეტყო და სრულიად მართალია კ. კაპანელი, როდესაც სწერს, „ოთარაანთ ქვრივში“ ილია ჭავჭავაძე „გლეხობისა და თავადაზნაურობის ინტერესების კონსოლიდაციას“ ქადაგებს. (გვ. 161).

კიდევ და კიდევ ჩვენ ვერ გაგვიგია, თუ ილ. ჭავჭ. ვაჟას შემდეგ რად იხილავს ავტორი „მთაში გახიზნულ სულისა“ და ვაჟა ფშაველას პოეზიას. ისტორიულადაც და თემატიურადაც უფრო სწორი იქნებოდა ავტორს განეხილა: „კაპიტალიზმისა და მუშის ურთიერთობა თავისი ესთეტიურ-ლიტერატურული შედეგებით“, რომლის განხილვას იგი ჰპირდება მეორე წიგნში. ვაჟასა და ყაზბეგის შემოქმედება ისტორიულ სოციოლოგიური და თემატიური საზომით საინტერესო არის, თუ როგორი გამოხატულება ჰპოვა ლიტერატურაში მთებში დარჩენილ პატრიარქალურ-ნატურალურ მეურნეობის რღვევის პროცესმა კაპიტალიზმის ზეგავლენით.

საერთოდ წიგნი, რომელსაც ჩვენ დღეს ბიბლიოგრაფია უძღვენით აუცილებლად საინტერესოა და მწერლობამ მას ყურადღება უნდა მიაქციოს. კაპანელმა წამოაყენა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რომელთაც დიდი კავშირი აქვთ ქართული კულტურის ისტორიის შესწავლასთან. მანვე სცადა სოციოლოგიური პრინციპი გამოეყენებია ლიტერატურის ისტორიის თემატიურად შესწავლის საქმეში. ჩვენ ვერ დავეთანხმეთ ავტორის ზოგიერთ დებულებებს. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია ამ წიგნის გამოსვლა. აღსანიშნავია აგრეთვე ავტორის ორიგინალური მიდგომა წამოყენებულ პრობლემებისადმი.

წიგნი გამოცემულია ძლიერ სუფთად და კარგად.

მო.—ლი.

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

24 იანვარს, დასავლეთ საქართველოში შემჩნეულია ქარის გაძლიერება. მიუხედავად ამისა ტემპერატურა მაღლა იწევს.

აზერბეიჯანში სიცივე მატულობს. კასპიის ზღვის სანაპიროებზე ადგილი აქვს ძლიერ წვიმებს. გუშინ ქარი სავსებით დაცხრა დასავლეთ საქართველოში.

გუშინ დილით ასეთი ამინდი იყო:

თბილისში

ღრუბლიანი დღე. ქარი არ ქრის. სიწყნარეა. ტემპერატურა—6 გრადუსია.

სოხუმში

ღრუბლიანი დღეა. ქრის სუსტი აღმოსავლეთის ქარი. ზღვაზე სიწყნარეა. ტემპერატურა + 9 გრადუსს უდრის.

ფოთში

ღრუბლიანი დღე. ქარი არ ქრის. ზღვაზე სიწყნარეა. ტემპერატურა + 7.8 გრადუსს უდრის.

ბათომში

ღრუბლიანია. ზღვაზე სიწყნარეა. ქარი არ ქრის. ტემპერატურა + 8 გრადუსს უდრის.

სამტრედიაში

ცა მოწმენდილია. ქარი არ ქრის. ტემპერატურა + 5,4 გრადუსს უდრის.

ჭიათურაში

მოწმენდილი დღეა. ქრის სუსტი ქარი. ტემპერატურა—0,5 გრადუსია.

ბორჯომში

ცა მოწმენდილია. ქარი არ ქრის. ტემპერატურა—8,0 გრადუსს აღწევს.

გორში

ღრუბლიანი დღეა. ქარი არ ქრის. ტემპერატურა—11,8 გრადუსს აღწევს.

მუხრანში

მოწმენდილი დარი სდგას. ქარი აღარ ქრის. ტემპერატურა—11,3 გრადუსს უდრის.

საგარეჯოში

ცა მოწმენდილია. ქრის სუსტი ჩრდილოეთის ქარი. ტემპერატურა—3,2 გრადუსია.

მუღანლო

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისიამ, რომელიც მოსკოვიდან ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონების გამოსარკვევად, უკვე დაამთავრეს მუღანლოს ველის გამოკვლევა.

გამოირკვა, რომ მდ. არაქსის ბუნებრივი შესაძლებლობანი საკმარისი არ არ იქნება მუღანლოს და მილის ველების მოსარწყავად; ამიტომ შემუშავებულია მთებში სამი დიდი წყალმიმღები აუზის მოწყობის პროექტი. შედგენილია აგრეთვე შირვანის და სალიანის ველების მორწყვის პროექტი, რომელიც განსახილველად გადაგზავნილია ცენტრში.

მუღანლოში სარწყავი არხების დამთავრების შემდეგ ამიერ-კავკასია მიიღებს 600.000 დესეტინა მიწას, რომელზედაც შეიძლება დათესილი იქნეს ბამბა. თუ ბამბის საშუალო მოსავალს ვიანგარიშებთ 60 ფუთს დესეტინაზე, მაშინ ახალი მიწების მთელ ამ სივრცეზე შეიძლება მიღებულ იქნეს წელიწადში 36.000.000 ფუთი ბამბა ანუ 12.000.000 ფუთი ბამბის ძაფი.

მუშაობა მუღანლოს ველის მოსარწყავად გაგრძელდება 5 წელიწადი, მილის ველზე 3 წელიწადი და შირვანის ველზე—5 წელიწადი.

კომისია ამ დღეებში შეუდგება შირვანის ველის გამოკვლევას.

ხილის ბაღები

საუკეთესო ხარისხის ხილი საქართველოში მოდის გორის მაზრაში.

1913 წელს ხილის ბაღებს მთელ საქართველოში ეჭირა 6.800 დესეტინა, 1926 წელში კი—18.136 დესეტინა; აქედან 50 პროც. მოდის გორის მაზრაზე.

გორის მაზრაში არ არის ისეთი მეურნეობა, რომელსაც არ ქონდეს ხილის ბაღი; უკანასკნელ ხანებში ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება ბაღებისათვის საჭირო მასალებზე, მაგრამ ამ მოთხოვნილებას სავსებით ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

ხილის ბაღების გაშენებას გორის მაზრაში ხელს უწყობს ოთხი დიდი სანერგე, რომლებიც სახელმწიფო მამულების ტრესტს, აღმასკომს და ცეკავშირს ეკუთვნის. გლეხებს უმეტესად ამ სანერგეებიდან მიაქვთ ნერგები ახალი ბაღების გასაშენებლად.

კლიმატიური პირობების მხრივ გორის მაზრა საუკეთესო რაიონია მეხილეობის განვითარებისათვის. ყოველწლიურად ამ რაიონიდან გააქვთ 500.000 ფუთი ხილი.

ვენახების აღდგენა

ფილოქსერასთან საბრძოლველად სოხუმის მაზრის სადგილ-მამულო განყოფილებამ საქართველოს სახალხო მამულების ტრესტიდან თავისი მაზრის ვენახებისათვის გაიწერა 150 ათასი ცალი ამერიკული ვაზის ნამყენი. ამ მიზნისათვის აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გაიღო მოკლევადიანი სესხი ხუთი ათასი მანეთის რაოდენობით. სადგილმამულო განყოფილებას მაზრაში უკვე არჩეული აქვს სამი პუნქტი, სადაც ეწყობა ვაზის მყნობის შესასწავლი კურსები, რომელზედაც მოწვეული არიან გლეხები მევენახეობის ახალი წესების შესასწავლად. გარდა ამისა, სკოლებთან ეწყობა საჩვენებელი ვენახები და სანერგეები, რომლისთვისაც იმავე ბანკმა საკრედიტო ამხანაგობებს გაუხსნა კრედიტი. მრავალი მეურნეობათაგანი შეუდგა მუშაობას ახალი პლანტაციების ჩასაყრელად. გლეხების თაოსნობით სადგილ-მამულო განყოფილებამ მიწად-მოქმედების კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ხე-ტყის მასალის დათმობის შესახებ ვენახების ახალი სანერგეების შემოსაკავებლად.

მუშკოოპი

ფასების დაკლება

მუშკოოპის დადგენილებით მუშკოოპის მაღაზიებში შაქარზე დაკლებულ იქნა ფასები 77 კაპეიკიდან 75 კაპეიკამდე კილოზე. მზესუმზირას ზეთზე — 68 კაპ. 60 კაპიკამდე.

ნავთის ფასები

მუშკოოპმა უკვე დაიწყო ნავთის გამოშვება ბაზარზე კასრებით. ფუთი ნავთი ღირს 1 მ. 50 კ.—2 მანეთის მაგიერ.

ამ დღეებში მუშკოოპი დაიწყებს აგრეთვე ნავთის გამოშვებას ხელით დამტარებლების საშუალებით.

ბრძოლა საქონლის გადაყიდვასთან

მუშკოოპის გამგეობამ დაადგინა სასტიკი ბრძოლა გაუწიოს საიმპორტო საქონლის ხელიდან ხელზე გადაყიდვას, რამაც გამოიწვია ის, რომ ბევრ საიმპორტო საქონელზე ფასებმა აიწიეს. კერძოთ, ამჟამად შეინიშნულია ბაზარზე საპნის დიდი კრიზისი.

საპნის კრიზისთან საბრძოლველათ მუშკოოპმა საკუთარ მაღაზიებში დაარიგა საპნის დიდი პარტია, რომელზედაც ფასები დაკლებულია.

სასკოლო კოოპერატივები

მუშკოოპი უკვე შეუდგა სასკოლო კოოპერატივების ქსელის მოწყობას. ჯერ-ჯერობით გახსნილია სამი სასკოლო კოოპერატივი.

სუბტროპიკული

მცენარეები

კახაბერის სანერგემ, სადაც სპეციალურად გაშენებულია სუბტროპიკული მცენარეები, ჭოროხის მაზ. გლეხ. დაურიგა 15 ათას ცალზე მეტი ლიმონის, მანდარინის და ფორთოხლის ნერგი. თვითეულ ძირზე გლეხებს გადახდათ ერთი აბაზი, მაშინ, როცა კერძო ბაზარზე თვითეულ ნერგის ფასი 1 მანეთს აღემატებოდა. მომავალი სეზონისათვის სანერგეს უკვე დამზადებული აქვს 45 ათას ცალზე მეტი ციტრუსოვანი მცენარის ნერგი და 150 ათას ცალზე მეტი ტრიფოლიატა. 1923 წლიდან დაწყებული უკანასკნელ წლამდე სანერგის მუშაობა საგრძნობლად გაფართოვდა. ამჟამად სანერგეს უკვე უჭირავს ექვსი დესეტინა მიწა. მიმდინარე წლისათვის სანერგე კიდევ იქნება გაფართოებული.

წითელი ჯვარი

20 იანვარს ცხინვალში დასრულდა სამხრეთ-ოსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 50 დელეგატი სხვადასხვა რაიონებიდან. საზოგადოების გამგეობის წლიური ანგარიშიდან გამოირკვა, რომ წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა რიცხვი სამხრეთ-ოსეთში გასულ წელს 400 კაციდან 1600 კაცამდე გადიდებულა. საზოგადოებაში წევრებად შედიან უმთავრესად გლეხები. საზოგადოებას ეტყობა აგრეთვე მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება. გასულ წელს წითელი ჯვრის საზოგადოებას სოფლელი მოსახლეობისათვის გაუწევია სამი ათასი მანეთის სხვადასხვა ხასიათის დახმარება.

საბჭოთა სოფლიდან

წერილები

ბიტარაშვილი თავისას [illegible]

გიორგი ბიტარაშვილს დიდი ყაჩაღური სტაჟი აქვს. ჯერ კიდევ ცხონებულ მენშევიკების დროს შეუდგა ის ამ „სასახელო“ საქმეს. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კი დიდხან აღარ უზოგინებია მას. სახელგანთქმული ყაჩაღი მალე გამოასალმეს ტყეებისა და მინდორ-ველების წიაღს და გორის გამასწორებელ სახლში დააბინავეს.

მაგრამ ბიტარაშვილმა თავისი ჩვეულება არც აქ მოიშალა. მას თვალი მხოლოდ გაქცევისაკენ ეჭირა. გამოსწორებაზე და მოჭკვიანებაზე ფიქრი ხომ ზედმეტი იყო. ერთ დღეს თავისი საწადელი კიდევაც გაიმართლა. აჰყარა დარაჯს იარაღი, გასტეხა ციხის კარები, თვითონაც გაიქცა და სხვებიც გაიყოლია.

როცა ახალ სოფლის გლეხებმა გაიგეს ეს ამბავი, მთელი კუთხე შიშის ზარმა მოიცვა. ყველა ბიტარაშვილის შურისძიების მოლოდინში იყო. მაგრამ შიში ნაადრევი აღმოჩნდა. ბიტარაშვილმა თავის მორიდება არჩია, თითქოს მშვიდობიანი ცხოვრება განიზრახა და ტყეს მიჩვეულმა ისევ ტყეს მიაშურა. მაზრის სატყეოში მოეწყო. ცხადია აქ მას დიდხანს არ დაედგომებოდა. იმდენად კარგად იცნობდა ბიტარაშვილს გორში დიდიც და პატარაც, რომ მას სატყეოში [illegible] ბორჯომის [illegible] კურორტის სამმართველოში ბიტარაშვილს ძალიან გულკეთილი ხალხი დახვდა, რომლებმაც მას ტყის მცველის თანამდებობაც მისცეს, მაუზერის ნებართვაც დაუმზადეს და საქმეზე გაისტუმრეს.

ბიტარაშვილს ძველმა ბოლომ მაინც არ მოუსვენა. ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო, ამბობენ ჩვენი ძველები. თუმცა რჯული ეხლა იმდენადვე მტკიცეა, რამდენადაც თიხის ქოთანი, მაგრამ ბიტარაშვილზე ამ თქმულებას თავისი ძალა არ დაუკარგავს.

ჩამოვიდა ეს ყმაწვილი ამას წინათ გორში, იძრო მაუზერი და მოკვლას უპირობდა გლეხ მიხეილ საკაევს. ბედათ იქ დამსწრეებმა გადაარჩინეს საკაევი უბედურებისაგან.

ამის მოწმე გლეხები განცვიფრებით ამბობდენ, ნუ თუ ბიტარაშვილისათვის აღარც კანონი არსებობს და არც სამართალიო? თუ ბორჯომის კურორტის სამმართველოში გულკეთილი ხალხი არ გამოილია, ბიტარაშვილი ასეთ „ვაჟკაცობით“ თავს არავის მოანატრებს.

გ. ბნ—ლი.

ქალების მოტაცება გახშირდა

(მანავის თ., გარე-კახეთი)

თოხლიაური საკმაოდ მოზრდილი სოფელია მანავის თემში. აქ არ სწარმოებს მეზობელ სოფლებსავით რაიმე აღმშენებლობითი მუშაობა და ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმიანობაც მიძინებულია.

სამაგიეროთ ქალების მოტაცებაში ძალიან განთქმული აქვს ამ სოფელს სახელი. აქ არის რამდენიმე მოხალისე ახალგაზრდა, რომლებსაც ძალიან უყვართ ლამაზი, ნასწავლი ქალიშვილები, განსაკუთრებით კი ხელი აქვთ შეჩვეული მასწავლებლობაზე.

მართლაც თოხლიაურს სულ ქალი მასწავლებლები ებედებიან. ერთ-ერთ კვირას ეს ჩვეულება მათ კიდევ განიმეორეს. გიორგი ბეგუტიშვილი ახალგაზრდა, სულ 20 წლისა იქნება. ერთ საღამოს ის მშვენიერად შექეიფიანდა ამხანაგებში, გრძნობები აეშალა და ღამის პირველ საათზე განმარტოებულ ბინაზე მცხოვრებ ორ ქალიშვილ მასწავლებლებს გარეთ დაუწყო გამოძახება. უარის შემდეგ მან ფანჯრის მინებს დაუწყო მტვრევა, ბოლოს რომ ვერას გახდა თოფიც დააჭექა, მაგრამ მის სურვილს მაინც არ ეშველა.

გულდაწყვეტილმა გარედან ფანჯარაში თავგადაყოფილმა დაუწყო საუბარი შეშინებულ ქალიშვილებს. ამ ხმაურობამ მეზობლების ყურამდისაც მიაღწია, რომლებმაც ფანჯარაში თავ-გადაყოფილი ბეგუტიშვილი დაიჭირეს.

ასეთი შემთხვევები ბევრჯელ მომხდარა თოხლიაურში. საჭიროა ამ მოვლენებს სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ადგ. თემ-აღმასკომის და მილიციის მიერ, თორემ თუ ასე გაივარჯიშეს ახლა მეზობელ სოფლის ქალიშვილ მასწავლებლებს მონახავენ.

ამ გარემოებამ კი ხელი შეუშალა და სრულიად შეაჩერა საღამოს სალიკვ. სკოლის მუშაობა.

ალ. ბედიაშვილი.

საჭიროა საჩქარო დახმარება

(გურია)

წელს აღმოსავლეთ გურიის თემები დამშეულია. ძვირად ურევია ისეთი გლეხი, რომელსაც თებერვლამდე მიჰყვება სარჩო, დიდ უმეტესობას ეხლაც შემოლეული აქვს. თუმცა ამ თემებს საყოფი სიმინდი წინადაც იშვიათად მოსვლიათ. მაგრამ დანაკლისს ივსებდენ ღვინით, თუთუნით და ალაგ თხილიც მოდიოდა. წელს კი არც ერთი ამათგანი არ მოსულა. ხშირი წვიმების გამო როგორც ყანები, ისე თუთუნი და ყურძენი განადგურდა; აგრეთვე გაჩნდა საქონლის ჭირი და საქონელი სრულიად დაილუპა. დღეს ასეთი მოუსავლიანობისა გამო გლეხები დიდ გასაჭირშია. საჭიროა საჩქარო დახმარება.

გრ. გ.

მფლანგველობით სახლი აიშენა

(ლანჩხუთი, გურია)

ლანჩხუთის აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარემ კოსანდილე ცინცაძემ ავანსების სახით მიითვისა და გაფლანგა 800 მანეთი. აღმასკომის თავმჯდომარე ცინცაძემ „უთრედიდი“-ს საზოგადოებას თხოვა სახლის მასალა. ცხადია, უარს არ ეტყოდენ კეთილ აღმასკომის თავმჯდომარეს. მიიღო კოსანდილემ მასალა, გაყიდა, კიდევ მიიღო და ჰყიდა. თავის ძველი სახლი თვალში პანტათ უჩანდა და აგურის სახლი წამოდგა.

ვინ იცის, ვინ არ მუშაობდა ამ სახლზე. ზოგი ფულით, ზოგი მეზობლურად და ზოგი კიდევ ალბათ ხათრით, აღმასკომის თავმჯდომარის პატივსაცემად. ხალხში ხშირად მოკრავდით არა სასურველ სიტყვებს ყურს. საჭიროა კოსანდილე ცინცაძე მიცემულ იქნას პასუხისგებაში და ავანსებით წაღებული ფულები ანაზღაურდეს. მასთან საქმე უნდა გაირჩეს ადგილობრივათ, რომ ყველამ დაინახოს თუ როგორ ებრძვის საბჭოთა ხელისუფლება ხალხის მტრებს და გამფლანგველებს.

იერემი იმნაიშვილი.

ვისი ბრალია?

(ს. ეკი, სენაკის მაზრა).

სოფ. ეკის თემის შვიდწლიანი შრომის სკოლის მოწაფეებს სწავლის დამთავრების შემდეგ შეემთხვა უბედურება. მათ გასასვლელი ქონდათ მდინარე ეკუსკურზე ხიდი და სწორედ ამ ხიდზე გასვლის დროს ხიდი ჩატყდა. ბავშვები ჩაცვივდნენ მდინარეში. სუყველამ გადაირჩინა თავისი თავი დაღუპვისაგან, მხოლოდ 9 წლის ბავშვმა ვერ უშველა თავს და შთანთქა მდინარემ ის. ორი დღის ძებნის შემდეგ დაღუპული ბავშვი იპოვეს მდ. ეკუსკურში.

ეკის თემში არის რამოდენიმე ხიდი მდინარეებზე გასასვლელი და სწორედ ამ მდინარეებზე არ არის ხიდები შეკეთებული, რითაც ზიანს აყენებს ჩვენს თემს, ყველაფერი ეს უნდა მივაწეროთ თემ-აღმასკომს, რომელიც ვერ აქცევს ყურადღებას ასეთ მდგომარეობას.

ალ. ხუნჯუაშვილი.

მუშათა ცხოვრება

რა უშლის ხელს ნაყოფიერებას

(თელავის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში)

გადავხედოთ რა გააკეთა თავის არსებობის პირველ დღიდან ე. ი. ექვსი თვის განმავლობაში ჩვენმა ფაბრიკამ. გ. წ. 5 ივლისიდან დაწყებული ა. წ. პირველ იანვრამდე გადამუშავებულია სულ 17.000, 65 კილოგრამი პარკი. აქედან მიღებული ძაფის რაოდენობა უდრის 30.874 კილოგრამს. ფუთი აბრეშუმის ძაფი ღირს 700 მან. მთელი დამზადებული ძაფის ღირებულება შეადგენს 169.410 მან.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკაში წარმოების ნაყოფიერების აწევას ძლიერ უშლის ხელს ფაბრიკის უგეგმო მუშაობა, რაც გამოიხატება შემდეგში: ფაბრიკაში საორთქლე ქვაბი მუშაობს ქვა-ნახშირით, რომელიც ამ ბოლო ხანებში სრულიად უვარგისი მოსდის ფაბრიკას. ნახშირის უვარგისობის გამო საორთქლე ქვაბი ვერ ხურდება სათანადოთ და თითქმის ყოველ დღიურად დღეში 2-3 საათი გაჩერებულია ფაბრიკა. ამავე მიზეზით საორთქლე ქვაბი ვერ აძლევს სათანადო ძალას და მისი მიზეზით ვენტილიატორები ვერ მუშაობენ. ამის მიზეზით ორთქლის ამოსაღებ განყოფილებაში დგება ორთქლი, ისე, რომ ერთ ნაბიჯზე არ შეიძლება გაარჩიოს კაცმა წინ მდგომი ამხანაგი. ეს ძლიერ მავნებელია როგორც მუშების ჯანმრთელობისათვის, ისე ძაფის ხარისხისათვისაც. ძაფი ორთქლის მიზეზით ნესტიანდება, რაც აუარესებს ძაფის ხარისხს. ყველა ეს ფაბრიკის დირექტორმა რამოდენიმეჯერ აცნობა დეპეშით აბრეშუმის ტრესტს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ზომები არაა მიღებული.

არ ვიცი რა მიზეზია, რომ ქვაბს არ ახურებენ მაზუთით, თუ იმას ფიქრობენ, რომ ქვა-ნახშირით უფრო იაფი ჯდებაო. არ ვიცი ეს სადაური ანგარიშია. ნახშირის მიზეზით ზარალი მოსდის ფაბრიკას. ძაფის ხარისხის გაუარესების გარდა მუშების ჯანმრთელობა საგრძნობლად ზიანდება: თითქმის ყოვე დღე ორი სამი საათი ცდებიან მუშები. 142 კაცი ძალის უქონლობის გამო ღებულობენ კანონის მიხედვით მთლიან ჯამაგირს. საქმე კი დაყოვნებას არ ითმენს. ამას უნდა მიექცეს ყურადღება და უნდა გამოირკვეს ვინ ზღავს ფაბრიკის ზარალს.

ტანჯული მუშა.

ამ ვაკხანალიას ბოლო უნდა მოეღოს

გასულ წლის 30 აგვისტოს მთავარ სახელოსნოების ადგილკომს გაუგზავნეს კოლექტიური განცხადება, ამავე სახელოსნოს საამქრონო განყოფილების მუშებმა იმის შესახებ, რომ ხსენებული განყოფილების გამგე ბრაბეცი თავის უფლებებს იყენებს ბოროტად და სხვა. ამის შესახებ წარსული წლის 16 სექტემბერს გაზ. „კომუნისტშიაც“ იყო მოთავსებული წერილი „მომჭირნე თავის თავისთვის“ სათაურით. რამდენადაც მახსოვს სახელოსნოს ადგილკომმა გამოჰყო კომისია საქმის გამოსაკვლევად, მაგრამ როგორც ეტყობა ხსენებული კომისია ლმობიერად მოეპყრო ამხ. ბრაბეცის. ეს სჩანს იქიდან, რომ წათამამებული ბრაბეცი უფრო მკაცრად ეპყრობა თავის ხელქვეითებს. მით უმეტეს გაგებული აქვს, რომ მის შესახებ თანამშრომლებმა მისცეს კოლექტიური განცხადება ადგილკომს. თანამშრომლებს ამა წლის 14 იანვარს ხელმეორედ მიუციათ განცხადება ბრაბეცის შესახებ სახელოსნოს უფროსისათვის. ჩემის აზრით საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექცია ჩაერიოს ამ საქმეში და ბოლო მოუღოს ამ ვაკხანალიას.

მუშკორი ირა.

მადლობის ღირსნი არიან

თუ რომელიმე მუშათა კლუბში კი სწარმოებს კულტურული მუშაობა, პირველობა ამაში პლეხანოვის კლუბს ეკუთვნის. კლუბის გამგეობამ გამოჰყო თავის რიგებიდან კომისია, რომელმაც უნდა აწარმოოს სალექციო საექსკურსიო მუშაობა. ხსენებულმა კომისიამაც დაიწყო მუშაობა, და აი პირველად ამ წლის 11 იანვარს მოიწვია ლექტორები ამხ. ს. ამაღლობელი და ბ. ელენტი, რომლებმაც წაიკითხეს ლექცია შემდეგ თემაზე: „სიყვარული, ქორწინება და ოჯახი თანამედროვე პირობებში“. ლექციის შემდეგ აჩვენეს კინო-სურათი. ლექციაზე არ უშვებდენ 16 წლ. ქვევით, მიუხედავათ ამისა ლექ. დაესწრო 77-ზე მეტი რკინისგზ. მუშა-მოსამ. ლექტორებს მისცეს 200 მეტი შეკითხვა, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცეს ლექტორებმა.

14 იანვარს ამავე კლუბში გაიმართა კითხვა პასუხის საღამო: დაესწრო 800-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე. შეკითხვები 500-ზე მეტი იყო. შემდეგ უჩვენეს კინო-სურათი. დამსწრე საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა, თან კიდევ კითხულობდენ, თუ როდის გაიმართება კიდევ ასეთი საღამოები. კლუბის გარეთაც აუარებელი ხალხი დარჩა, ვინაიდან კლუბმა ვერ დაიტია ყველა მსურველები.

მუშური მადლობა კლუბის გამგეობას მუყაით მუშაობისათვის.

კლუბის მეგობარი.

მოხსენება საბჭოს მუშაობის შესახებ

20 იანვარს, საღამოს შვიდ საათ. პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის სადგურის, სალოკომოტივო ფარეხის და სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა მოხსენება ქალაქის საბჭოს მუშაობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენება წაიკითხა ამხ. ივანოვ-კავკასიელმა, რომელიც ვრცლად შეეხო ქალაქის საბჭოს მუშაობას და აღნიშნა საბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბჭოს წევრების 35 პროც ძლივს ესწრებოდა საბჭოს სხდომებს. ამხ. ივანოვ-კავკასიელმა მოუწოდა მუშებს, რომ საბჭოების არჩევნების დროს მათ აირჩიათ ისეთი მუშები, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდენ საბჭოს მუშაობაში.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის შემდეგ გაერთიანებულ კრებამ საბჭოს მუშაობა მოიწონა და მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც კრება იწონებს საბჭოს მუშაობას.

ასეთივე მოხსენება გააკეთა ამხ. ლადო სუხიშვილმა იმავე პლეხანოვის სახელობის კლუბში მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა შორის. მოხსენებას დაესწრო 1200 კაცი.

მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია მუშებს შორის.

მუშკორი ჯავ.

ტყავტრესტის და მაკარონის ქარხნების მუშათა კრება

18 იანვარს შესდგა ტყავტრესტის პირველი ქარხნის და მაკარონის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა მოხსენება საბჭოს მუშაობის შესახებ.

მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ლადო სუხიშვილმა. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ქალაქის საბჭოს მუშაობას.

მომხსენებლის თქმით ზოგიერთი წევრები არ ესწრებიან საბჭოს სხდომებს და ამიტომ საჭიროა წინასწარ მომზადების შემდეგ ისეთი მუშები იქნეს ამორჩეული, რომლებიც საქმისადმი სიყვარულს გამოიჩენენ, და საბჭოს მუშაობაში ენერგიულად ჩაებმებიან.

მუშებმა კამათში აღნიშნეს ორთაჭალის და სხ. განაპირა უბნების შეკეთების საჭიროება.

კრებას აუარება მუშები დაესწრენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს კამათში.

ტყავტრესტელი.

მუშკორთა კრება

19 იანვარს შესდგა გაზ. „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა მოხსენება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროს გამგემ ამხ. ვ. გოგიბერიძემ, რომელიც დაწვრილებით შეეხო ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს და აღნიშნა მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი.

ბიუროკრატიზმი ეს მონობის დროის ნაშთი და უვიცობის შედეგია. ბიუროკრატიზმი მრავალი ტიპისაა, როგორიც არის მაგალითად: ვოლოკიტა შტატის გაბერვა, უპასუხისმგებლობა, ფორმალიზმი და სხვა. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხი პარტიამ და ხელისუფლების ორგანოებმა მორიგ ამოცანად დაისახა. ამხ. მომხსენებელს მრავალი მაგალითები მოყავს ბიუროკრატიზმის ნათელსაყოფად.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც ამხ. გოგიბერიძემ დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მუშკორი ჯ. ვ.

მუშათა ქრონიკა

— **„სურამის ციხე“.** კვირას, 30 იანვარს პლეხანოვის სახ. კლუბში წარმოდგენილ იქნება პიესა „სურამის ციხე“.

— **ამავე კლუბის** ქართული დრამწრე ახლო მომავალში დასდგამს პიესა „დაფლეთილი პატიოსნებას“.

— **აივანი.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობას განზრახული აქვს მოაწყოს აივანი [illegible].

— **კლუბის წევრები.** ქუთაისის პროფკავშირების კლუბს 1.000-მდე წევრი ყავს.

— **საამქრო ბიუროები.** რკინისგზაზე უკვე დასრულდა საამქრო ბიუროების დაარსება.

— **საუბნო კომიტეტმა** გაიღო საჭირო თანხა სადგ. გურჯაანის ახალგაზრდათა კლუბის საჭიროებისათვის.

— **გამოკვლევა.** ახლო მომავალში მოხდება რკინისგზის კლუბების მუშაობის გამოკვლევა.

— **რადიო კონცერტი.** ამ დღეებში გაიმართება ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში რადიო - კონცერტი.

— **დანიშვნა.** საქარხნო - საფაბრიკო სახელოსნოს გამგეთ დაინიშნა ამხ. მალაკიანი.

ქრონიკა

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის გამგზავრება

ამ დღეებში მოსკოვში სამსახურის საქმეების გამო მიემგზავრება ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ამხ. ბ. ჭიჭინაძე.

ინჟ. ჭიჭინაძესთან ერთად მიემგზავრება აგრეთვე ს. მ. უ. ს. სატეხნიკო განყოფილების უფროსი ინჟინერი ტიმოფეევი.

სკოლების გათბობა

თბ. ალმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა წინადადება მისცეს განათლების განყოფილებას სასწრაფოდ მიიღოს ზომები, რათა ქალაქში არსებული სასკოლო შენობები სათანადოდ თბებოდეს. გამოყოფილია კომისია საუწყებო კონტროლის და კომუნალურ მეურნეობის წარმომადგენელთა შემადგენლობით სკოლების დასათვალიერებლად და გათბობის საკითხის მოსაწესრიგებლად, რათა სკოლებში არ იქნეს შეფერხებული სწავლა სიცივის გამო.

საბინაო მშენებლობა

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მუშათა საცხოვრებელი ბინების კოოპერატიულ აღმშენებლობის დამხმარე ადგილობრივი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: **ახრიევი** (თავმჯდომარე), **სიხარულიძე** (მოადგილე), **კალანდაძე** (უქსიდან), **შენგელია** (კომუნალურ ბანკიდან), **დაროშვილი** (საბინაო კავშირიდან), **ბუაძე** (პროფკავშირთა საბჭოდან), **ალექსეევი** (არსენალის მუშა), **კულსკი** (რკ. გზ. მუშებიდან).

ღამის გასათევი სახლი

თბ. ალმასკომმა წინადადება მისცა კომუნალურ მეურნეობას სასწრაფო წესით შეუდგეს უბინაოთათვის ქალაქში ღამის გასათევ სახლის მოწყობას. სახლი მოეწყობა დაახლოებით 200 კაცისათვის.

თბილისის ალმასკომში

◆ **საამშენებლო ფონდი.** ალმასკომის პრეზიდიუმმა დაავალა საგეგმო კომისიას საამშენებლო ფონდის შესაქმნელად შეიმუშაოს საგანგებო გეგმა.

◆ თიანეთის თემ-აღმასკომს სხვადასხვა ხარჯების დასაფარავად დამატებით მიეცა 1.665 მანეთი.

◆ 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის ნაწილებში კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად ალმასკომმა გადასდო 2.000 მანეთი.

◆ თელავის მაზრის ალმასკომს გადაეცა ერთი ელექტრო - მანქანა.

◆ ჯარის ნაწილების სასანიტარო ქარავნის საჭიროებისათვის ალმასკომმა გადასდო 8.300 მანეთი.

◆ სოციალურ დაზღვევის სამართველოსათვის თბილისის მაზრაში მდებარე საკურორტო სახლებისა, სანატორიუმების გადაცემის საკითხის შესასწავლად ალმასკომმა გამოყო სპეციალური კომისია ამხ. ივანოვ - კავკასიელის თავმჯდომარეობით.

◆ **ქუჩებისათვის ახალი სახელების დარქმევა.** რომანოვის ქუჩას დაერქვა პროლეტარის ქუჩა, ხოლო იურიევის — საშა ობოლაძის ქუჩა.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **მამულის აღდგენა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი შეუდგა მანოვისის სახალხო მამულის აღდგენას. მამულში უმთავრესად გაშენდება ნამყენი ვაზი.

◆ „**კარდანახში**" წელს მოეწყობა სათბური 600 ათასი ნამყენი ლერწისათვის.

◆ „**წინანდალში**" გაზაფხულზე დაიმყნება 2 მილიონი ძირი ვაზი. 20 დესეტინაზე შენდება ახალი ვენახი.

◆ **აკაციის მოშენება.** ბაღდადის რაიონის მცხოვრებ გლეხებმა აღძრეს შუამდგომლობა, რათა მათ დაეთმოთ ბაღდადის სატყეოებში ცარიელი ადგილები აკაციის მოსაშენებლად.

◆ **ღვინის სარდაფი.** წინანდალის სახალხო მამულში ეწყობა ღვინის სარდაფი, 60 ათასი ვედრო ღვინის შესანახად.

◆ **ნორიის ფერმაში** ეწყობა მეფუტკრეობის ცოდნის გამავრცელებელი ცენტრი.

◆ **მეაბრეშუმეობის სპეციალისტთა ყრილობა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოიწვიოს მეაბრეშუმეობის სპეციალისტთა ყრილობა.

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში

— **გლეხკომების გადარჩევა.** სოცუზრუნველყოფის კომისარიატი ამჟამად მთელ რესპუბლიკაში აწარმოებს სამაზრო გლეხკომების გადარჩევას, რომელიც დამთავრდება 10 მარტს.

— **რეორგანიზაცია.** ამჟამად ხდება გლეხკომების რეორგანიზაცია მათი სათემო სისტემიდან სასოფლო სისტემაზე მოსაწყობათ.

აღმშენებლობა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო მოწყობილი იქნეს მოკლე დროის განმავლობაში რესპუბლიკანური და ამიერ-კავკასიის საამშენებლო-ტეხნიკური კომიტეტები.

შემუშავებულია საამშენებლო სამუშაოების გეგმის შედგენის წესი, რომლის მიხედვით აღმშენებლობა უნდა სწარმოებდეს ერთიანი პერსპექტიული გეგმის საფუძველზე.

საამშენებლო გეგმა შედგენილი უნდა იქნეს 5 წლისათვის; ამასთანავე მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ტეხნიკური და ფინანსიური რესურსები სამუშაოების ცალკე დარგებისათვის.

საამშენებლო გეგმები რესპუბლიკებში შედგენილი უნდა იქნეს რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიების მიერ.

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისია ამჟამად იმუშავებს აღმშენებლობის საერთო გეგმას მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის.

ჩვენი მრეწველობა

აგურ-კრამიტის ქარხნები

ა. მ. უ. ს. სატეხნიკო განყოფილება ამ დღეებში გზავნის სპეციალისტებს სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში აგურ-კრამიტის ქარხნების ასაგებ ადგილების ამოსარჩევად.

ადგილმდებარეობის გამოსარკვევად და არსებული ნედლი მასალების შესამოწმებლად იგზავნება აგრეთვე გეოლოგი თათარიშვილი. სენაკის მაზრაში აგებული ქარხანა იმუშავებს ჰიდრო-ელსადგურის ელექტრო ენერგიით.

ეკონომიური ცხოვრება

— **თამბაქო.** გასულ წელს აფხაზეთში დამზადდა 550,000 ფუთი თამბაქო.

— **ნავთი.** 1925—26 წელში საქართველოში შემოტანილი იქნა 56.647.800 ტონა ნავთი.

—**ბამბა.** გასულ წელს ა.-კავ. მებამბეობის კომიტეტმა დაამზადა 4.531.500 ფუთი ბამბა.

— **მატყლი.** ახალგორის კოოპერატივმა სამხრეთ - ოსეთში დაამზადა ათასი ფუთი მატყლი.

— **არაყის და კონიაკის ქარხნები.** სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეუდგა სოხუმში კონიაკის და არაყის სახდელ ქარხნების მოწყობას.

— **სატყეო მრეწველობის ტრესტმა** აამუშავა გუდაუთის ტყრის ქარხანა.

კრებები და მოხსენებები

— **საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოებაში.** პარასკევს, იანვრის 28-ს, საღ. 7 ს. საზ-ბის ჩვეულებრივ კრებაზე (საქ. მუზეუმის აუდიტორიუმში, ფურცელაძის ქ. № 1) პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „ქართულ, ალვანურ და სომხურ ანბანთა წარმოშობა". კრება საჯაროა.

— **შინამრეწველთა კავშირი** 29 იანვარს იწვევს სრ. საქართველოს შინამრეწველთა თათბირს.

სხვადასხვა

— **ტირიფონის არხის** გაყვანა დამთავრდება მიმდინარე წელში.

— **შემნახველი სალაროები.** მთელ ა.-კავკასიაში ამჟამად ითვლება 438 შრომის შემნახველი სალარო, 17,059 წევრით.

შემთხვევები

ქურდის დაპატიმრება

ნიკოლოზ პორშნევი ერთ დღეს ეწვია სტუმრად მის მეგობარს **კარაპეტ დავიდოვს.**

დავიდოვის სამსახურში წასვლის შემდეგ პორშნევმა მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდა მეგობრის ბინა.

დავიდოვმა ეჭვი მიიტანა პორშნევზე.

პორშნევი დააპატიმრეს. იგი გამოტყდა დანაშაულობაში და მასვე აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

ხულიგნების შეპყრობა

გუშინ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის მილიციამ დააპატიმრა: **ვასილ დანილოვი, სტეფანე პოროშინი და სიმონ ფომინი.**

— **თავდასხმა.** 24 იანვარს ყოფილ სომხის სემინარიის ახლო გაძარცვეს ღამით შიო ვასილისძე ბაუკოვი. მიღებული ზომებით ერთი ბოროტმოქმედთაგანი დაპატიმრებულია.

— **მორგებული გასაღების საშუალებით** 24 იან. კრილოვის ქ. № 15 გაქურდეს ქეთევან კუპრაძის ბინა. წაიღეს 120 მ. ნივთები.

— **სოფელში ყოფნის დროს** გაქურდეს ვარვარა ფარნიევის ბინა (თუმანოვის ქ. № 13).

— **სატრანსპორტო ასეულის იარაღების საწყობიდან** 24 იანვარს მოიპარეს რევოლვერი „ნაგანის" სისტემის.

— **კარების შემტვრევის საშუალებით** 24 იან. პლეხანოვის გამზირი № 38 ალექსანდრე ყურულიანის ბინიდან მოიპარეს 285 მანეთის ნივთები.

— **სახელოსნოს გაქურდვა.** 24 იან. ჩერქეზიშვილის ქ. № 149 გაქურდეს გაბრიელ აგაჯანოვის ფეხსაცმელების სახელოსნო.

— **რუსთაველის თეატრში** 22 იან. ლეონტი ჯაშს ჯიბიდან ამოაცალეს 40 მან.

— **შეპყრობა.** 24 იან. ქურდობისათვის დააპატიმრეს ნიკოლოზ სიმონისძე პორშნევი.

— **ქურდი მეეზოვე.** 24 იან. რაგიმ აგიტ-ოღლის სახლის გაქურდვისათვის შეიპყრეს მეეზოვე არაქელ ტერ-ვართანოვი.

— **მორგებული გასაღების საშუალებით,** 24 იან. კომუნალური ქ. № 9 მოქ. ურიენ ზენის ბინიდან მოიპარეს 600 მ. ნივთები.

— **სახლში არ ყოფნის დროს** 24 იან. მესხეთის შესახვევი № 12 გაქურდეს გურგენ ორუხანოვის ბინა.

◆ **ბოქლომის მოგლეჯის საშუალებით** ლენინგრადის ქ. № 7 გაქურდეს მოქ. ლევაშოვის ბინა.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** ნორიის ქ. № 17 გაქურდეს არშაკ პაპოიანცის ბინა.

◆ **აგურის მე-2 ჩიხი** № 2 მიხეილ ყარამანის ძე მჭედლიძის ბინიდან მოიპარეს 150 მანეთის ნივთები.

◆ **გრიბოედოვის** ქ. № 22 გაქურდეს იოსებ კოსმინინის ბინა. წაიღეს 120 მ. ნივთები და რევოლვერი.

◆ **ვიტრინის გამოტვრევის საშუალებით** ლორის მელიქოვის ქ. № 3 გაქურდეს მუშკოვის მე-48 მაღაზია.

◆ **თათრის მოედანზე** გაქურდეს მარდან ყურბანოვის სავაჭრო.

ხელოვნება

— **პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე** ახლო ხანში რუსთაველის თეატრში წაიკითხავს საჯარო მოხსენებას „ვეფხის ტყაოსანის" შესახებ.

— „**ჯანყი გურიაში**". დღეს მუშათა თეატრში ქართული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ჯანყი გურიაში".

— **სანდრო ინაშვილის** მონაწილეობით დღეს ოპერის თეატრში წავა „აბესალომ და ეთერი".

— **ცირკში** დაიწყო ფრანგული ჭიდაობა და მახიობ შირაიების გამოსვლები.

— „**მაკბეტ**". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება სომხურ ენაზე: „მაკბეტ".

— **სანდრო დოლიძის** მონაწილეობით 28 იანვარს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „თამარ ცბიერი".

— „**სულამიტე**". დირიჟორ მელიქ - ფაშაევმა დასწერა ერთმოქმედებიანი ოპერა: „სულამიტე".

— **პროლეტარულ მწერალთა შორის.** ხელოვნების სასახლეში პროლეტარულ მწერალთა შორის ამხ. ს. თალაკვაძე წაიკითხავს თავის ახალ რომანს. „ბრძოლის დიდ გზაზე".

— **მუშათა თეატრის დრამის წარმოდგენა ნაძალადევში.** ხუთშაბათს, 27 იანვარს, მუშათა თეატრის ქართული დრამა ნაძალადევის თეატრში დასდგამს პიესას „პარიზი"-ს.

— **საღამო სახ. კონსერვატორიაში.** პარასკევს, 28 იანვარს, სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მუსიკალურ - ვოკალური საღამო: მონაწილეობენ: ვ. ტაბიძე, ს. გრიშაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ნ. ჩახავა, მომღერალნი: დოლიძე, მრავალი, ქუმსიაშვილი, ანდღულაძე, ეპიტაშვილი (როიალი).

რკინისგზებზე

ბრძოლა მარცხებთან

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოსთან არსებულმა მარცხებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ დაასრულა ნავთლუღ-ვაზიანის გადასარბენზე მატარებლის № 194 და სამანევრო მატარებლის დამტვრევის საქმის გარჩევა.

მთავარ დამნაშავედ ცნობილი იქნა სადგურის მორიგე — **ჭილაშვილი,** რომელმაც მეზობელი სადგურის ნებადაურთველად გაუშვა მატარებელი № 194. კომისიამ საჭიროდ სცნო ჭილაშვილის გადაყენება და პასუხისგებაში მიცემა.

დაჯახების ასაცილებლად სათანადო ღონისძიებათა მიუღებლობის გამო, სამანევრო მატარებლის მემანქანე **სარალოვი** ჩამოყენებულია მემანქანე 'ს თანაშემწედ 12 თვით.

მემანქანის თანაშემწეს ჩილოკავას გამოეცხადა საყვედური.

მატ. № 194 მემანქანე **გორგიჯიანი** დაუდევრობისათვის ჩამოყენებულია მემანქანის თანაშემწედ.

მთავარი კონდუქტორი **კაპანაძე** ჩამოყენებულია უნცროს კონდუქტორად 12 თვით. შემადგენელს გელოვანს გამოეცხადა საყვედური.

სად. ნავთლუღის უფროსს—**ვაჭარაძეს** გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით, მოძრაობის დარგის რევიზორს **ჭიპაშვილს** საყვედური, ხოლო მოძრაობის მეორე განყოფილების უფროსს მაღრაძეს კი გამოეცხადა, რომ მის უბანში შემჩნეულია სამანევრო ორთქლმავლების უწესო მიმოსვლა.

საგზაო კომისიამ მიმართა წესის დარგს წინადადებით მოეწყოს კახეთის ნავთლუღისა და სად. ნავთლუღის შორის ცალკე რკ. გზის შტო.

შპალები

ა.-კ. რკ. გზის სამმართველომ შეუკვეთა რუსეთის ხე-ტყის სინდიკატს 150.000 ცალი შპალი.

ბლინშულ შპალის შესაძენათ სამმართველომ გადასდო 352.500 მანეთი.

საულტეხილო უბნების ტელეფონიზაცია

ა.-კ. რკ. გზ. ელექტრო - ტეხნიკური სამსახური ამჟამად ამუშავებს ხარჯთაღრიცხვას საულტეხილო უბნების ტელეფონიზაციისათვის.

ამ მიზნით სწარმოებს სატელეფონო აპარატების შესყიდვა ცენტრში.

შავი ზღვის რკინისგზა

საამშენებლო მუშაობის მიმდინარეობა

უკანასკნელი დღეების ცუდი ამინდების მიუხედავად, ზოგიერთ უბნების გამოკლებით, შავიზღვის რკინისგზის გასაყვან სამუშაოებზე მუშაობა არ შეჩერებულა.

გაყვანილ გზებზე სწარმოებს ქვიშის, ხრეშისა და ღორღის მოყრა, გაჰყავთ აგრეთვე მისადგომი გზა მდინარე რუხის წყალთან. მდინარე ჯულზე ხიდის გასადები ბურჯების აგება უკვე დამთავრებულია. ეხლა სწარმოებს ხიდის რკინის ფერმების აწყობა. ამ ერთი თვის განმავლობაში დაიწყება ხიდის აგება მდინარე ხოფის წყალზე. ხიდი შენდება აგრეთვე მდინარე ენკურზე, სადაც ამჟამად მუშაობს 300-მდე მუშა ხელი. მდინარე კოდორთან დამთავრებულია წინასწარი სამზადისი სამუშაოების დასაწყებად: აგებულია მუშათა საცხოვრებელი ბინები, დაგროვილია ინვენტარი საქსონო მუშაობის საწარმოებლად, დაშლილია ძველი ხიდი, მომზადებულია ხე-ტყის მასალა და სხვა.

სასამართლო

განაჩენი სალახოვის საქმეზე

სასამართლომ ბრალდებულ **აშრაფ ხადიმ-ოღლი სალახოვი** დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

მოქ. მელანაშვილის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ჯაჯანიძის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **შახბუდაგიევის** და **ბაბილონის** მონაწილეობით გორში გაარჩია კოლა მელანაშვილის საქმე.

1925 წ. 17 აპრილს, მელანაშვილმა სოფ. შინდისის მახლობლად, გაძარცვის მიზნით **ვასილ მახათაძეს** კეტით მიაყენა 30 ჭრილობა.

ჭრილობებისაგან მახათაძე გარდაიცვალა.

სასამართლომ მელანიშვილს მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

მეისრე მაქსიმენკოს საქმე

(საზოგადო-საჩვენებელი გასამართლება)

გუშინდელ საღამოს სხდომაზე დასრულდა მოწმე ლიუბა მაქსიმენკოს დაკითხვა.

მოწმე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრალდებული ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა და ოჯახის მოთხოვნილებას ყურადღებას არ აქცევდა.

მოწმე მატინოვა აღნიშნავს, რომ ცოლ-ქმარს შორის ცუდი განწყობილება არსებობდა. ბრალდებული ხშირად მთვრალი დადიოდა სახლში და სრულიად უმიზეზოდ სცემდა ცოლს.

ზოგიერთი მოწმეები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ მაქსიმენკომ ცოლი სიყვარულით შეირთო და პირველ ხანებში ცოლ-ქმარს შორის კარგი განწყობილება არსებობდა.

მოწმეებმა უამბეს სასამართლოს, თუ როგორ პირობებში მიაყენა ბრალდებულმა ცოლს ჭრილობები.

წინასწარი გამოძიების დროს ექსპერტიზით გამოირკვა, რომ ჩაქუჩზე მიკრული იყო ლიუბა მაქსიმენკოს თმები, რაიც იმის მაჩვენებელია, რომ ბრალდებული მთელი თავისი ძალით და ღონით სცემდა ჩაქუჩს ქალს.

გუშინ ბრალდებულმა სასამართლოში განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა ცოლი. ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს.

ბრალდებულმა პროკურორის შეკითხვაზე უპასუხა, რომ ცოლი მას არ სძულდა და ამიტომ მიიღო ყოველგვარი ზომები, რათა ცოლი არ გაშორებოდა მას.

ექსპერტები ბრალდებულს აძლევენ მრავალ შეკითხვებს.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

დღეს საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნება ექსპერტების დასკვნა და გაიმართება მხარეების კამათი.

ელდარის ფიჭვის დაცვა

აზერ. სატყეო კულტ. შემსწავლელმა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა საქ. მიწ. მოქმ. კომისარიატის წინაშე ელდარის რაიონში დარჩენილი განსაკუთრებული ჯიშის ფიჭვის დასაცავად გამოცხადებული იქნეს სათანადო ნაკვეთები ე. წ. სახელმწიფო მონუმენტად. ელდარის ფიჭვის ჯიში გარდა საქართველოსა მოიპოვება აგრეთვე მცირედის რაოდენობით აზერბეიჯანში—შამქორის მაზრაში.

საქართველოში ელდარის ფიჭვნარი ხარობს გარდა კახეთის სატყეოებისა, აგრეთვე შორაპნის მაზრაში, სადაც მისი რაოდენობა უკანასკნელ ხანებში ძლიერ შემცირდა.

მიწათმოქმედების სატყეო განყოფილება ამჟამად აგროვებს ელდარის ფიჭვის თესლს მის სხვა რაიონებში მოსაშენებლად. გარდა ამიერ-კავკასიისა ელდარის ფიჭვნარი საბჭოთა კავშირში არსად არ მოიპოვება.

კეცის მკურნალობა

რენტგენის სხივები

27 იანვრისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მოწვეულია რენტგენოლოგების თათბირი კეცის მკურნალობის მეთოდების განსახილველათ.

ჯანსახკომისარიატში მიღებული ცნობებით უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკაში ძლიერ გავრცელდა კეცი. გადაწყვეტილია რენტგენოლოგების თათბირზე გამომუშავებულ იქნას კეცის რენტგენით მკურნალობის საშუალება.

გარდა რენტგენოლოგებისა თათბირზე მოწვეული არიან სხვა ცნობილი სპეციალისტებიც.

მონადირეთა კავშირში

ნადირის ჩამოსვლა მთიდან ბარში

თელავის მაზრიდან იტყობინებიან: დიდი თოვლისა და ძლიერი ყინვების გამო გარეული მტაცებელი ცხოველები მთებში აღარ ჩერდებიან და საზრდოს საძებრად დაბლობ ადგილებში ჩამოდიან.

უკანასკნელ ხანებში სოფლად განსაკუთრებით გამრავლდენ დათვები, მგლები და მელები. ხშირად მტაცებლები იჭრებიან ბოსელში და ფარეხში და იტაცებენ შინაურ ფრინველსა და პირუტყვებს. გახშირდა აგრეთვე მგლების და დათვების თავდასხმა ცხვრების ფარაზე.

მონადირეთა კავშირის ადგილობრივმა განყოფილებამ დაადგინა მოაწყოს მასსიური ნადირობა მტაცებელ ცხოველებზე.

ნადირობის აღკრძალვა შველებზე და ხოხბებზე

მონადირეთა კავშირის თელავის სამაზრო კონფერენციამ, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინად შეიკრიბა თელავში, დაადგინა: ორი წლის განმავლობაში აღიკრძალოს მაზრის ფარგლებში ნადირობა ხოხბებზე და შველებზე მათი რიცხვის შემცირების გამო. კონფერენციას დაესწრო ასამდე დელეგატი სტუმარი - მონადირე. ამჟამად კავშირს მთელ მაზრაში ჰყავს სულ 650 წევრი.

ნარევი

როგორ ერთობა ბურჟუაზია

კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე ნერვების გამაღიზიანებელ სანახაობებით გატაცება გადაგვარების გზაზე დამდგარ კლასის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენდა. ახლაც, მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის გადამწყვეტი ბრძოლის ეპოქაში, ჩვენ ასეთი მოვლენის მოწმე ვართ. სპორტსაცკი, რომელიც უხსოვარ დროიდან ჯანსაღ გასართობ საშუალებას წარმოადგენდა, ფიზკულტურის ინტერესებს ემსახურებოდა, ბურჟუაზია აქცევს უაზრო გასართობათ, ნერვების გაღიზიანების საშუალებათ.

ამის საილუსტრაციოთ გამოდგება თუ გინდ სპორტის ახალი სახე, რომელიც ამჟამად „მოდაშია" ინგლისში და იქიდან მთელ დასავლეთ ევროპაში ვრცელდება. სპორტის ეს ახალი სახეა—ნადირობა ელექტრონის კურდღლებზე. მანჩესტერში მოწყობილია სპეციალური იპპოდრომი ამ სპორტისათვის. ლონდონი მანჩესტერის მაგალითს ბაძავს და ასეთივე იპპოდრომს აწყობს.

მანჩესტერის იპპოდრომი სავსეა დუბლინის, პარიზის და რომის ბურჟუაზიული სპორტსმენებით. ისინი ისე არიან გატაცებულ ამ მხრივ, რომ თავიანთ სამშობლოში დაარსეს განსაკუთრებული კავშირები, რომლებიც მიზნად ისახავენ ხელის შეწყობას ამ სპორტის გავრცელებისათვის. ნადირობა ელექტრონულ კურდღლებზე საფრანგეთში (პარიზში) პირველად გაიმართება მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

სპორტი შემდეგში მდგომარეობს:

ლითონიდან გაკეთებული კურდღელი მოძრაობაში მოჰყავს ელექტრონის ძალას. მსგავსება ცოცხალ კურდღელთან იმდენად დიდია, რომ მწევრები მას ისეთივე გააფთრებით მისდევენ, როგორც ნამდვილი ნადირობის დროს. ძაღლები დასმული ყავთ რამდენიმე მეტრის მანძილზე „კურდღლებისაგან" იმ დრომდე, სანამ მისცემდენ „ნადირობის" დაწყების ნიშანს. ამ მომენტში ელექტრონის მექანიზმი მოდის მოძრაობაში და „კურდღლები" ხტუნვით გარბიან. ძაღლებს უშვებენ და ისინიც მისდევენ მათ. კურდღელი მირბის რელსებზე. მისი გაქცევის სისწრაფე სურვილისამებრ შეიძლება იქნეს აჩქარებულ ან შენელებული. ძაღლები კვალდაკვალ მისდევენ მათ. მოზღვავებული ხალხი ფშტვენითა და ყიჟინით აცილებს ძაღლებს. სდებენ სანაძლეოს, თუ რომელი ძაღლი დაიჭერს კურდღელს.

ძაღლი ვერასოდეს ვერ იჭერს კურდღელს, ვინაიდან უკანასკნელის რბენის სისწრაფეს ისე აწესრიგებენ, რომ მწევარი ყოველთვის რამდენიმე მეტრის მანძილზე იყოს მისგან, სანამ კურდღელი არ დაიმალება პატარა გვირაბში, სადაც ძაღლი ვერ მისწვდება მას. გამარჯვებულად ითვლება ის ძაღლი, რომელიც ყველაზე ახლო იყო კურდღელთან მისი გვირაბში დამალვის მომენტში.

მანჩესტერში ამ რამდენიმე ხნის წინათ ასეთ „ნადირობას" 20.000 კაცი დაესწრო.

ბიბლიოგრაფია

მიხეილ კახიანი—საკავშირო კომპარტიის მე-XV კონფერენციის შედეგები

სახელგამი, 1927 წ. ტირ. 3.000 გვ. 92, ფასი 30 კაპ.

კომპარტიის მე-15 კონფერენცია, თავისი მნიშვნელობით, პირველ ადგილთაგანს დაიჭერს პარტიის ისტორიაში. კონფერენციაზე დასმული იყო მეტად საგულისხმო საკითხები, რომლებზედაც გაცემულ იქნა სათანადო პასუხები.

სრულიად ბუნებრივია, რომ მე-15 კონფერენციის შესახებ დიდძალი ლიტერატურა იცემა, განსაკუთრებით—რუსეთში. ჩვენშიაც საკმაო ყურადღება ექცევა კონფერენციის მუშაობას, მისი შედეგების გაშუქებას პოპულარულ გამოცემათა საშუალებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი,—თუ შეიძლება ასე ითქვას,—რომელიც მდგომარეობს კონფერენციის შედეგებზე ორიგინალურ ნაწარმოებთა გამოუცემლობაში. თითქმის ყველაფერი გამოიცა რუსულიდან ნათარგმნი. ამ მხრივ ჩვენს სახელგამს საყვედური არ ეთქმის. რაც შეეხება ორიგინალურ ლიტერატურის გამოცემას, ამ დარგში საქმე ძალიან მოიკოჭლებს.

ამხ. მ. კახიანის ბროშურა კონფერენციის შედეგებზე უსათუოდ ღირსშესანიშნავი ორი მოსაზრებით: პირველი—როგორც ორიგინალური შრომა და მეორე—როგორც ისეთი ნაწარმოები, რომელიც იძლევა კონფერენციის მუშაობის სწორ შეფასებას და ყველა „საკონტროლო საკითხების" ლენინურ გაშუქებას. რასაკვირველია, კონფერენციაზე დასმულ საკითხებზე წერა ითლი საქმე არაა. კონფერენციის შედეგების სწორი ანალიზი, მათი ახსნა-განმარტება და ლენინურ თვალსაზრისით გარკვევა ძნელია, რომლის გადალახვა ყველასათვის შესაძლებელი არაა. ამხ. კახიანის ბროშურა საყურადღებოა იმით, რომ აქ მთელი თავისი სიღრმე-სიგანითაა მოცემული კონფერენციის ცოცხალი საქმიანობა, აგრეთვე გაშუქებული სადაო საკითხები, რომლებიც წარმოადგენდა პარტიისა და ოპოზიციის შორის გამწვავებულ მსჯელობის საგანს. მრავალსიტყვაობა, ქრიაშვილობა, ზედმეტი ფრაზები და განმეორება ბროშურაში ვერსად ვეხვდება, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვამჩნევთ „პოპულიარობის მიზნით" გამოცემულ წიგნაკებში. ბროშურა თავიდან ბოლომდის დაწერილია, დახვეწილი ზომიერი „ლიტერატურულ ბალანსიდან" და მკითხველს იწვევს კითხვის ხალისსა და ინტერესს.

ამხ. კახიანი არკვევს სამ ძირითად საკითხს, ავტორის ენაზე რომ ვსთქვათ, „საკითხთა სამ ჯგუფს". ეს ის საკითხებია, რომლებზედაც კონფერენცია მსჯელობდა. საკითხთა პირველი ჯგუფი შეეხება საერთაშორისო პოლიტიკას, მეორე—სამეურნეო მდგომარეობას და პროფკავშირებს, მესამე—შინაპარტიულ მდგომარეობას.

საერთაშორისო მდგომარეობის სამი ძირითადი მომენტის განხილვაა ბროშურაში მოცემული. ეს მომენტები შეეხება კაპიტალისტურ სტაბილიზაციას, ჩინეთის რევოლუციას და ინგლისის ამბებს. როგორც ვიცით, თითოეულ ამ საკითხზე ოპოზიციის ქონდა საკუთარი შეხედულება შემუშავებული, საკუთარი აზრი, რომელიც განსხვავდებოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და მისი პოლიტბიუროს საერთაშორისო პოლიტიკის ხაზისაგან. ოპოზიცია უარყოფს კაპიტალისტურ სტაბილიზაციის ფაქტს, მას არ სჯერა, რომ არსებობს კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია. ამხ. კახიანი სისწორით გადმოგვცემს კონფერენციის მიერ ამ საკითხის შეფასებას. ავტორს მოჰყავს სათანადო სიტყვები, მოსაზრებები და ციტატები: „როგორ ვეგებოდა ჩვენ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია", ეუბნება:

„აშკარაა, ძალიან რბედა ის ვიმარტება, რომელიც ამ საგანზე პარტიამ მოგვცა: არსებობს ნაწილობრივი, დროებითი, შედარებითი სტაბილიზაცია... არ შეიძლება თვალს დახუჭვა და ამ მოვლენების არ დანახვა, რომლებიც ცხოვრებაში ადგილი აქვთ, არ შეიძლება შემცდარი დასკვნების გამოყვანა". (გვ. 16).

მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ კაპიტალიზმის საქმე ყველგან კარგად არის? „არ შეიძლება—განაგრძობს ავტორი—საკითხი მთლიანად დაისვას და ითქვას, რომ კაპიტალიზმის საქმე ყველგან კარგად და საუცხოვოდ მიდის". ამ დებულების ავტორი რამდენიმე მოსაზრებით და არგუმენტებით ასაბუთებს. მათ შორის ანგარიშში მისი განსაკუთრებით და ისტორიული მნიშვნელობის ამბებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩინეთში. ამხ. კახიანი ეხება ჩინეთის რევოლუციას და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებს.

„ჩინეთის რევოლუციის წინაშე სდგას ორი ძირითადი ამოცანა: ერთია—შეიქმნა მთლიანი ეროვნულ-რევოლუციონური ფრონტისა, რომლებიც უნდა განდევნოს უცხოელი კაპიტალისტები". (გვ. 22) ჩინეთის რევოლუციის მეორე ამოცანა შეეხება სოციალურ რეფორმებს, რაც ლოღიკურ შედეგათ უნდა მოჰყვეს რევოლუციის გამარჯვებას. ამ სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტაში წარმოიდგება დიდი სიძნელე რევოლუციის განვითარების პროცესში. ავტორი სამართლიანად აქ სწორად შენიშნავს:

„როდესაც რევოლუცია (ჩინეთში. გ.—ლი) შეუდგება მიწის საკითხის გადაჭრას, სადავლე - მამული რეფორმას, აუცილებელი იქნება შეტაკება წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ზოგიერთ ჯგუფებთან. სპეცირო განდება მიწის ჩამორთმევა, რაც ხსენებულ ჯგუფების ინტერესებს ეწინააღმდეგება. ეს ხელს შეუშლის პირველ ამოცანის—მთლიანი ეროვნული ფრონტის შექმნას... და აქ არის ჩინეთის რევოლუციის სიძნელე. ჩინეთის ამ ნაწილშიაც, სადაც ეხლა რევოლუციონერი მოძრაობა, კანტონში, ბლომათ არიან მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც ამ ეამად მხარს უჭერენ რევოლუციას. მათ უნდა ჩამორთვას მიწა და გადაეცეს უმიწოდ გლეხობას. ეს ზომა აუცილებლად საჭიროა, რადგან გლეხობის ვარეში შეუძლებელია რევოლუციის ჩატარება. აქ არის მთავარი სიძნელე" (გვ. 23-24). შემდეგ ავტორი ეხება ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელ საშუალებას. მთლიანი ეროვნული ფრონტიც უნდა შეიქმნას და მიწის რეფორმაც „ნელ-ნელა და თანდათან" უნდა გატარდეს, „აქ საჭიროა სიფრთხილე, საჭიროა საქმის ისე წაყვანა, რომ ადგილი არ ქონდეს გადაჭარბებულ მეშლინებებს... ასეთია ვითარება ჩინეთში".

საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვას ამხ. კახიანი ამთავრებს ინგლისის მემაღაროვეების გმირულ ბრძოლის ახსნა-განმარტებით. „უნდა ითქვას—სწერს ავტორი,—რომ მემაღაროების გაფიცვა უდიდეს ფაქტიერი ისტორიული არა მარტო ინგლისის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის საქმეში". (გვ. 28). მართალია, გაფიცვა დამარცხდა, მაგრამ გაფიცვის შედეგები მაინც მნიშვნელოვანია მუშათა მასების განმარცხებების თვალსაზრისით. გაფიცვის დამარცხებაში ისტორიული დანაშაული და ღალატი მიუძღვით სოციალ-რეფორმისტებს, მაკდონალდის ტიპის „სოციალისტებს". ამხ. კახიანი მოსწრობულად, ყოველგვარ გადაჭარბების გარეშე აღნიშნავს ფაქტს, როდესაც სწერს: „პირველ ადგილზე იმათ შორის, ვინც ინგლისელ მუშებს შველოდა და უხმარებოდა, იდგნენ ჩვენი საბჭოთა კავშირის მუშები, და თუ ინგლისელთა გაფიცვამ 7 თვეს გაძლო მაინც, ამაში ჩვენის სასახელოდ, დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს პარტიას და მთელ ჩვენ ქვეყანას".

შემდეგ ამხ. კახიანი გადადის „საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობასა და პროფკავშირებზე". აქ განხილულია ყველა სადაო საკითხი, რომელიც წარმოადგენდა ოპოზიციის საკვებ მასალას. ავტორი დაწვრილებით და საფუძვლიანად არკვევს ჩვენ სამეურნეო მდგომარეობას, რეკონსტრუქციის პერიოდს, ინდუსტრიალიზაციის საკითხებს და იძლევა პასუხს ძირითადი ზრდის სიჩქარის „შენელებაზე", რომელზედაც ისტერიულად გაჰკიოდა ოპოზიცია: „რეკონსტრუქციის ხანაში... ზრდის შენელება აუცილებელია. თუ წინედ ზრდა უდრიდა 60 პროც., შემდეგ წელს—40 პროც., ეხლა—... რომ მომავალ წელს ისეთ დიდ პროცენტს ვერ მივიღებთ,—ეს ზრდა 18 პროც. იქნება... მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უკან მივდივართ, სრულიადაც არა". (გვ. 30-31).

ავტორი აამჩქარავებს, თუ რატომ არ ნიშნავს რეკონსტრუქციის პერიოდში 18 პროც. უკან სვლას, ჩამორჩენას. აქ მოყვანილია კაპიტალისტური სახელმწიფოების მაგალითი. იქ „ზრდის ტემპი" არ აღემატება 3—4—5 და 6 პროცენტს. ამ მხრივ ჩვენი მეურნეობის ზრდა (18 პროც.) გაცილებით უფრო მეტი სიჩქარით სწარმოებს, ვინემ კაპიტალისტურ მეურნეობის ზრდა რეკონსტრუქციის ხანაში. ოპოზიციის „ყაყანი" აქაც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ბროშურაში გზადაგზა გარკვეულია მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც შეეხება ახალ სამეურნეო წამოწყებებს, მეურნეობის მმართველობის ამოცანებს, ოპოზიციის შეხედულებათ „ეკონომიური პლატფორმის" სიღატაკეს და პროფკავშირების ზრდას, საკონტროლო კომისიების დაარსებას და მათ მუშაობას. განხილულია აგრეთვე ხელფასის საკითხი. როგორც ვიცით, ოპოზიცია მოითხოვდა ხელფასის გადიდების დაჩქარებას მუშებისათვის. ეს მოთხოვნა იყო აშკარა დემაგოგია და ჩვენი ფინანსიური რეფორმების გამოსათავრებლად. ხელფასის გადიდება გამოიწვევდა ფულის კურსის დაცემას, ვალუტის რყევას, რაც ზიანს მოუტანდა როგორც მწარმოებელ მასებს, ისე მისს ხელისუფლებას, დღეს კი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს ხელფასის შედარებით მომატების... „...როდესაც სექტემბერსა და ოქტომბერში ჩვენი მოსავლი და სილიბის გამოვიდა და დავინახეთ, რომ საქმე კარგად მიდის, რომ მართლაც შეიძლება მომატება, პარტიამ მიიღო წინადადება ხელფასის მომატების შესახებ... იმ დროს კი, როდესაც ოპოზიციონერები ხელფასის გადიდებას ყვიროდნენ, ეს დემაგოგია იყო და მეტი არაფერი"—ასკვნის ავტორი (გვ. 45).

დასასრულ, ამხ. კახიანი ეხება ოპოზიციონურ ბლოკს საკავშირო კომუნისტურ პარტიაში. ეს საკითხი ყველაზე უფრო ვრცლადაა გაშუქებული. სამწუხაროდ, მე საშუალება არ მომცეს წერილის ვიწრო ფარგლები შევეხო ბროშურის ამ საინტერესო ადგილს დაწვრილებით და საფუძვლიანად. ვფიქრობ, არც არის საჭირო, რადგან „კომუნისტის" გუშინდელ ნომერში საკმაოდ იყო აღნიშნული ამხ. კახიანის ბროშურის ეს თავი. „სოფლის კომუნისტის" შესახებ მოთავსებულ ბიბლიოგრაფიაში (ეს თავი დაიბეჭდა „სოფლის კომუნისტში").

მე ვფიქრობ, არ დარჩება არც ერთი კომუნისტი, რომელიც არ გაეცნობა ამხ. კახიანის ამ მეტად სასარგებლო და საინტერესო ბროშურას.

გამოცემა ლამაზადაა შესრულებული. სამწუხაროდ ბროშურა არაა აკინძული, ეტყობა —„ნაჩქარევიაა" გამოცემული, სახელგამისათვის, რაც უსათუოდ ესაყვედურება გამომცემლობას. იმედია კითხვა: ნუ თუ შეიძლება წიგნაკის ასე გამოცემა მესაერო მკითხველისათვის?!

გ. მ—ლი.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს „იქს"-ს

პასუხი

სამემკვიდრეო ქონება კანონით და ანდერძით მემკვიდრეთა შორის (ე. ი. შვილებსა და შვილის შვილების და სხ.), რომელნიც გარდაცვალებულთან ერთად სცხოვრობდენ (მის სიცოცხლის დროს) ან და იმ პირებზე, ვინც ანდერძში არიან აღნიშნულნი, უნდა განაწილდეს თანასწორ წილად. (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 418 და საქართველოს ცაკის დადგენილება № 35-ის 1926 წ. ივლისიდან 420 მუხ. შენიშვნა ახალი რედაქციით) ყოველგვარი დავა სამემკვიდრეო ქონების განაწილების შესახებ წყდება სასამართლოს წესით, რომელსაც გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით, თანახმად სამოქ. სამართლის კოდექსის მუხ. 427-ისა.

რაჭის მაზრ. სოფ. ღვარდიაში მცხოვ. გლეხებს ნესტორ და სიმონ მოწონელიძეებს

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 16 და 49-ისა, მიწის ყველა ისეთი მოსარგებლენი, რომელნიც არა საპატიო მიზეზების გამო (რომლებიც ჩამოთვლილია ამავე კოდექსის მუხ. 18-ისა და 49-ის შენიშვნაში) არ გამოიყენებენ მიწას ზედიზედ სამი წლის განმავლობაში თავიანთ მეურნეობისათვის არა საპატიო მიზეზების გამო (ამ შემთხვევაში თქვენი ძმაც) ჰკარგავენ მიწის სარგებლობის უფლებას და მათ არა აქვთ უფლება მოითხოვონ კომლის გაყრა და კომლის ქონების განაწილება.

გლეხ იასონ აბესაძეს

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 47 და 48-ისა კომლის გაყრის დროს კომლის სარგებლობაში მყოფი საერთო მიწები და ქონება განაწილდება კომლის შემადგენელ ყველა ოჯახებსა და წევრთა შორის თანასწორად, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, თუ კი თითეულ გაყოფილს შეხვდება ცალკე მეურნეობის საწარმოებლად საკმაო მიწა (არა ნაკლები ნახევარი კანონიერი ნორმისა). მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ძმისწული სუსტად მეცადინეობს უნივერსიტეტში (თქვენი სიტყვით, 4 წელია, რაც იგი არის მხოლოდ პირველ კურსზე) მას მაინც არ ერთმევა უფლება მიიღოს თავისი კანონიერი წილი საერთო ქონებიდან. (იხ. მიწის კოდექს. მუხ. 42-ის შენიშვნა).

ვინ ჰკარგავს მიწის არგებლობის უფლებას

პარტიული კალენდარი

—საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აღმრიცხველ-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას იძლევა, რომ 3 დღის ვადაში აღმრიცხველ-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ქუჩარიშვილთან გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: 1. [illegible], 2. [illegible] ანდრო, 3. [illegible], 4. [illegible], 5. მამულოვი მამომედ, 6. [illegible] მანე, 7. ფრიდონაშვილი იოსები, 8. მუსერიძე კონსტანტინე, 9. ვასილიევი პეტრე, 10. ცაგურია ბიქტორი, 11. ელიავა ვლადიმერი.

ქალაქის რაიკომი.

— არსრაიონის საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ საარჩევნო კომისიის ყველა საკითხების შესახებ ცნობების მიღება შეიძლება საარჩევნო კომისიის მორიგ წევრთან დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე და 5-დან — საღამოს 8 საათამდე ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის გამზ. 123).

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ 27 იანვარს, საღამოს 6 საათზე ცენტრალური მუშათა კლუბის შენობაში შესდგება გაფართოებული პლენუმი უჯრედების მდივნებთან და ფაბქარკომების ფრაქციების წევრებთან ერთად.

რაიკომის ყველა წევრების და აგრეთვე უჯრედების მდივნების და ფაბქარკომების ფრაქციების წევრების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

მდივანი ფანცულაია.

— ოთხშაბათს 26 იანვარს საღამოს 5 საათზე ქაქვსე უბნის კლუბის შენობაში შესდგება რკინის გზელთა ოჯახის წევრების (დიასახლისების) საერთო კრება.

ლენრაიონის ქალთა განყოფილება.

— ხუთშაბათს 27 იანვარს დანიშნულია კოოპერატიული სექციის მეცადინეობა, ქართული ჯგუფი—5 საათზე, რუსული ჯგუფი—6 საათზე მოლოკნების ქუჩა № 60.

ლეხრაიონის ქალთა განყოფილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს მოქ. ვარდენ ჩხაიძეს გამოცხადდეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის გამზ. 24, მესამე სართული, ოთახი № 9) ა. წ. 26 იანვარს.

სამუდამოდ დაღუპული ცოლი თამარა პაწია შვილებით ვახტანგით და ოთარით ულრმეს მადლობას უძღვნიან ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომლებმაც პირადათ, თუ დეპეშებით თანაგრძნობა გამოუცხადეს მათ იმ უდიდეს მწუხარებაში, რომელიც განიცადეს სამუდამოდ დაუვიწყარ ქმრის, მეგობრის და ძვირფასი ტკბილი მამის

აკაკი ისმაილის ძე ბერძენიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო 1384

ეკატერინე პავლეს ასული ქუთათელაძისა შვილებით უძლევის გულითად მადლობას ყველა დაწესებულებების, ორგანიზაციებს, მეგობრებს და ნაცნობებს განუსაზღვრელ მწუხარებაში თანაგრძნობისათვის და განსვენებულ

ექიმ **ალექსანდრე (ალიოშა) იასონის ძის ქუთათელაძის**

ხსოვნის პატივის ცემისათვის 1393

მეუღლე დორა ვლადიმერის ასული გაგუა-ჭუბაბრიასი თავისი პატარა ვაჟით ლაშიკოთი აუწყებს ნათესავთ და მეგობართ, რომ ძვირფასი და დაუვიწყარი

შალიკო ჭუბაბრიას

ორი წლის თავის აღსანიშნავად 23 იანვარს, ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე გადახდილ იქნა პანაშვიდი. (უ.ზ.გ.)

კვირას, 30 იანვარს, დილით კვირას 12 საათზე, ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უსაყვარლესი და ძვირფასი

ალექსანდრე (საშა) სოლომონის-ძე

კიკიანის

რასაც ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე აგრაფინა ლევანის ასული, პატარა ასული ნუნუთი: მშობლები ეკატერინე ალექსის ასული და სოლომონ მერაბის ძე, ძმა გრიგოლ სოლომონის-ძე, დები: ოლღა სოლომონის ასული ლოლუსა, მარიამ და ნინა სოლომონის ასული კიკიანები, და სიძე კონსტანტინე გრიგოლის ძე ლოლუა. ბ. 546

მწარე ხვედრით გულმოკლულნი უნუგეშო დედა—ფატი, მწუხარე მეუღლე—თებრონე, დაობლებული ქალიშვილი—თამარი და მგლოვიარე ძმები: გრიგოლი, კონდრატი და აქვსენტი ოჯახებითურთ და მტირალი დები: პელაგია სარჯველაძისა, ბარბალე მახარაძე, ქრისტი ბარამიძისა, სიდონია კობალაძისა და მარიამ ასკურავა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი

იპოლიტე ამბაკოს-ძე მახარაძის

გარდაცვალებას თბილისში 24 იანვარს. დაკრძალვის დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. 1395

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 27 იანვარს ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**
ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით
დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი
შაბათს, 29 იანვარს, ან. გლებოვის **ზაგმუკ** (ყეინობა ბაბილონში)
ისტორ. დრამა 5 მოქ. და 6 სურათ.
მუსიკა: იონა ტუსკიასი დადგმა ალ. ახმეტელისა.
დეკორაციები და კოსტიუმები მხ. ირ. გამრეკელისა
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
5—2 ბ. 543

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 26 იანვარს სანდრო ინაშვილის 1-ლი გამოსვლისათ. **აბესალომ და ეთერი**
მონ. მრავალი, მაყაშვილი, გაბაშიძე, ქუმსიაშვილი, ინაშვილი და სხვ.
27 იანვარს **ტრავიატა**
პარასკევს, 28 იანვარს ა. დოლიძის მონაწ. **თამარ ცბიერი**
ბ. 544

ცირკი
ძმ. ტანტების

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ. ოთხშაბათს 26 იანვარს
ახალი სანახაობანი და სპორტი 3 განყ. საუკ. №№ მე-3 დღე
ფრანგულ ჭიდაობის ჩემპიონატის გახსნისა
ცნობილ არბიტრის მსოფლიო ატლეტიკის პროფესორის, ლიტერატორ-ჟურნალისტის ივანე ვლადიმერისძე ლებედევის (ძია ვანია) ხელმ.
ჩამოსულ მოჭიდავეთა აღლუმი. ჭიდაობა სამი წყვილი
დასაწყისი 8 ნახ. საათზე
ანონსი: ამ დღეებში 6 დღიანი [illegible]
ადმინ. ხელმ. [illegible]
2—2 ბ. 537
ტელ. 16—67

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

უკანასკნელი დღე

უკანასკნელი დღე! მსოფლიო შედევრი
ჩვენი სტუმართმოყვარეობა
ბესტერ კიტონის მონაწ.
უკანასკნელი დღე! „ნიბელუნგები"-ს გმირები პაულ რიხტერი და კლაინ როგე სურათში
კორსარ პიეტრო
უკანასკნელი დღე!
ამერიკელ მაცისტის ზვგა ტომასის თავგადასავალი
უკანასკნელი მე-5-ე და მე-6-ე სერია ერთად
27 იანვ. სახკინმრეწვის კინო თეატრებში **ორი მონადირე**
0—16 ბ. 419

ს. ს. ს. რ.
სახელმწიფო
გამომცემლობა

გამოვიდა და იყიდება სახელგამის მაღაზიებში მოთხრობა
ი. ელეფთერიძისა
ორი მონადირე ფ. 60 კ.
იანვრის 27-დან წიგნი გაიყიდება შემდეგ კინოებში.
„არფასტო", „სოლეისა" „დარბაზსა", და „აპოლოში",
სადაც უჩვენებენ ამ მოთხრობიდან აღებულ სიუჟეტის კინო-სურათს: „**ორი მონადირე**"
2—1 ბ. 545

მუშათა თეატრი
(ყოფ. სახალხო სახლი)

ქართული დრამა
ოთხშაბათს, 26 იანვარს ე. ნინოშვილის
ჯანყი გურიაში
ეპიზოდი 4 მოქმ. 8 სურათად
დადგმა ალ. წუწუნავასი
1388

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვულ და გარეგან [illegible] ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით [illegible]. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20
25—21

ქ. ბათომში
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ხელის მოწერა მიიღება ბათომის განყოფილების გამგე
გ. გოგეშვილთან
3—1
„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 29 იანვარს 1927 წ. დილის 1 საათზე სახლში № 2 თავისუფლების მოედანი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ და ევგენი ლომიძეების მოძრავ ქონებას: ერთი კომპლექტი პრეპარატორს ფირმა „მაიერის" შეფასებულ 200 მანეთად, ივანე ზედგინიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 19 იანვარს 1927 წ. თარიღით, № 158 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 1391

გამგეობა თბილისის ქალაქის ბანკისა

ამით აცხადებს, რომ ილია ილარიონის-ძე მიქაძის სახლის, რომელიც ბანკს დარჩა **საჯარო ვაჭრობით** და რომელიც იმყოფება მეჩნიკოვის ქ. № 5, ნოტარიული სიმტკიცის სიგელი № 67 დამტკიცებული 1925 წ. 16 დეკემბერს, რეესტრის № 663 და აღმასკომში რეგისტრაციაში გატარებულია № 2159-ით დაიკარგა და ეს ხელშიაც არ უნდა აღმოჩნდეს გარდა ბანკის გამგეობისა. იქნეს ბათილი. 1394

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 30 იანვარს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ბ. 547

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
კარდა საქმიმ. ხიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერი) სპეციალისტი. ავადმყოფებს მიიღებს დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.
ნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი
[illegible] მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტი
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე, [illegible]. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

დაკარგა სამხედრო საღრიცხვო ბარათი აბელ დავითის-ძე ელიოზიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1387

დაკარგა პირადობის მოწმობა ნინა მურადიანის 1381

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი 1925 წლის 13 მარტის № 12 ცირკულიარისა ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. გერასიმე მაკარის-ძე სალუხიმ შემოიტანა განცხადება მისი გვარის გვარ სვიტლიზე შესაცვლელად.

საერთო საადმ. ქ | განყ. უფროსი კილურაძე.
მმაჩის ბიუროს გამგე შარაშენიძე.
საქმის მწარმოებელი ქვანტალიანი.
1383.

დაკარგა გადასატანი მოწმობები №№ 2151 და 2152, რომლითაც კასრებით № 13, 4, 21 და 1 გადმოგზავნილია ოზურგეთის მაზრიდან სახსპირტის სახელზე ჭაჭის არაყი, ჩ. გ. 1390

დაკარგა პარტ. მანდატი № 491180, საწევრო წიგნაკი, მოცემული ზუგდიდის ს.ს. ამხან გობისაგ., პროფკავშირის წიგნაკი და დამზღვევ სალაროს წიგნაკი თეოფინე თორდიას სახელზე, ჩ. გ. 1389

დაკარგა სახლის გირავნობის მოწმობა 1899 წ. № 657 ნატალია მათეს ასული გლურჯიძის სახელზე, ჩ. გ. 1392

დაკარგა პირადობის მოწმობა № 22841—სერგო სტურუას სახელზე, ჩ. გ. 1396

დაკარგა სააღრიცხვო ბარათი № 2205 მე-11 უბნის სამხედრო მაგიდის უფროსის მიერ მოცემული გიორგი ლადიმერის-ძე ვაჩეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1386

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 93 | 2 გაცემული ქუთაისის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან ილია ნიკოლაძის სახელზე, ჩ. გ. 1385

დაკარგა კავშირის წიგნაკი და რემედასის საწევრო წიგნაკი—გიორგი ოსიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1382

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.